ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ახალი და უახლესი ისტორია**

ხელაძე მარიამი

ეთნო -რელიგიური კონფლიქტები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1992-1995 წლებში და საერთაშორისო ორგანიზაციები

ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი
კახაბერ ყალიჩავა

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in **Modern and Contemporary History**

International Organizations and Ethnic-religious Conflicts in the Former Yugoslav Territory in 1992-1995

Mariam Kheladze

Thesis is prepared for obtaining MA Degree in History

Research Supervisor: PhD in History

Kakhaber Khalichava

Tbilisi

2019

ანოტაცია

აღნიშნული თემა ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1992-დან 1995 წლამდე და ასახავს იმ მოვლენათა ციკლს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, თუმცა ასევე მიმოხილულია ის საკითხები, რომლებიც წინ უძღვოდა იუგოსლავიის დაშლის პროცესს. სწორედ ამ თემატიკას ეხება ნაშრომი და განიხილავს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობასა და ზოგადად, ეთნონაციონალიზმის გამოვლინებას, რამაც გამოიწვია იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა. ამასთანავე, შიდა სეპარატიზმს, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა ხორვატიასა და ბოსნია ჰერცეგოვინაში, კრაინის რესპუბლიკის, ბოსნიის სერბთა რესპუბლიკისა და ჰერცეგ-ბოსნას მაგალითზე.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს უახლესი ისტორიის საკითხს. ამასთანავე, ქართულ ენაზე ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნამშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კრიზისების მართვის საკითხში , ასევე ის ტრანსფორმაციები, რომელიც მათ განიცადეს ცივი ომის დასრულების შემდეგ . კონკრეტულად კი, გაერთიანებული ერებს ორგანიზაციის, ევროკავშირის ჩართულობაზე აღნიშნულ კონფლიქტში და ბოლოს , ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტრატეგიის ცვლილება და ის სამშვიდობო ოპერაციები , რომელიც განხორციელებული იქნა მის კონფლიქტის მსვლელობისას .

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებსა და კონფლიქტის მიმდინარეობისას სამშვიდობო კონფერენციების დადგენილებებს, ასევე პრესის მიერ გამოქვეყნებულ ქრონოლოგიურ მონაცემებს, სხვადასხვა ინსტიტუტების კვლევებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ოფიციალურ ანგარიშებსა და დოკუმენტებს.

Abstract

This research chronologically covers the period from 1992 to 1995 and reflects the chain of events that took place in the former territory of the Yugoslavian Federation and also the issues that led to this process. The emergence of ethnic conflicts on the territory of the former Yugoslavia and, in general, the issue of the ethnic-nationalism, is also the focus of the research. In addition, internal separatism, which was followed by the declaration of independence in Croatia and Bosnia Herzegovina, on the example of the Republic of the Republic of Bosnia, Bosnia and Herzegovina-Bosnia.

The topic is relevant to the extent that it covers the recent historical event. What is more, there is not much information available about the topic in Georgian scholarly. The work deals with issues such as the role of the international organizations in crisis management, the transformation that they experienced after the end of the Cold War. In particular it covers the United Nations' and EU involvement in the conflict. Furthermore, it describes the strategy of the North Atlantic Alliance and the peacekeeping operations carried out thought out the conflict. The work is mainly based on the resolutions of international organizations and the Peace Conference Resolutions. Also it stands on the chronological data published by the press, the surveys of various institutions and the official reports and documents prepared by the International Information Department of the International Organizations.

შინაარსი

შესავალი 6

I თავი..... 9

სეპარატიზმი და ერთა თვითგამორკვევა 9

1.1 სამართლებრივი ასპექტები 11

1.2 სეპარატიზმის ტიპოლოგია 12

1.3 ერთა თვითგამორკვევის პრინციპი 15

თავი II 17

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფორმირებისა და დაშლის პროცესი..... 17

2.1 ფორმირების ისტორიული წინაპირობა..... 15

2.2 დამოუკიდებლობის პირველი ნაბიჯები იუგოსლავიის ტერიტორიზე..... 17

თავი III.....

ეთნო-ნაციონალისტური რყევების შედეგად წარმოშობილი ავტონომიები ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე..... 21

3.1სერბული კრაინა 21

3.2ბოსნიის სერბული რესპუბლიკის ფორმირება 27

(ბოსნიის ომის პირველი ფაზა) .....

თავი IV..... 54

სერბულ - ხორვატული „მშვიდობა“ 54

თავი V 563

მუსლიმ-ხორვატთა დაპირისპირება და საერთაშორისო საზოგადოება 56

(მეორე ფაზა).....

თავი VI..... 66

უსაფრთხო ზონები..... 66

თავი VII 70
ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და სამშვიდობო მოლაპარაკებები 70
დასკვნა 82
ბიბლიოგრაფია 88

შესავალი

თემის აქტუალობა

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისთვის შეიარაღებული კონფლიქტები წამოადგენს პოტენციურ საფრთხეს, შესაბამისად, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამშვიდობო მისიების გრძელვადიანი მხარდაჭერა, უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ფორმირებისთვის. ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს სახელმწიფოების ¾ ზე მეტს ჰყავდა ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი და ქმნიდნენ ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების სერიოზულ საფრთხეს. ეთნიკური კონფლიქტების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 90-იანი წლების დასაწყისში. თავდაპირველად, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ევროპის თანამედროვე პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბებაზე XX საუკუნეში უდიდესი გავლენა მოახდინა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, ასევე გასულ საუკუნეში 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ , სსრკ-ს დაშლის შედეგად 1990-1991 დამოუკიდებლობა მოიპოვა 15 ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, იუგოსლავია კი დაიშალა ექვს სახელმწიფოდ. თანამედროვე პერიოდში ეთნიკური კონფლიქტების გამწვავების ტენდენციას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, აქედან ერთ-ერთი კი სწორედ უკავშირდება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის დაშლას, რომელმაც წარმოშვა ახალი უმცირესობების პრობლემა.

შესაბამისად, მეოცე საუკუნის მიწურულს, კონფლიქტის პრევენციისაა და სტაბილური გარემოს შექმნაში უდიდესი როლი ითამაშეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა,

განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად ახალი რეალობა ჩამოაყალიბა, საკითხი მეტად სენსიტიურია, ვინაიდან ცივი ომის შემდეგ დღემდე მსოფლიოში არაერთი რეგიონალური კონფლიქტი წარმოიშვა, რომელთაც საფუძვლად ჰქონდა ეთნო-რელიგიური თუ პოლიტიკური სარჩული, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია , განხილულ იქნას ის საკითები, რომლებიც უკავშირდება სამშვიდობო მისიებს, პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის საკითხში .

საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი ვითარება წარმოშვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლის თვალსაზრისითაც. მისი მისია, რომელიც მდგომარეობდა საბჭოთა საფრთხის შეკავებაში, დიდწილად შეიცვალა, აუცილებელი გახდა მისი სტრატეგიისა და მიზნების ახლებური გააზრების საკითხი, ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი გზების ძიება. იწყება პერიოდი, როდესაც სახელმწიფოთაშორის ომი იწევს მეორე ადგილზე, ხოლო წინა პლანზე წამოწეულია შიდაომები, რომლებიც დაიწყო ახალწარმოქმნილი სახელმწიფოების შიგნით. ისინი ძირითადად რელიგიურ და ეთნიკურ საბურველში იყო გახვეული და თან ახლდა უდიდესი ძალადობა და სისასტიკე.

ამ დროიდან იწყება ნატოს უმნიშვნელოვანესი ცვლილება, კერძოდ, იგი იწყებს სამშვიდობო მისიებსა და კრიზისების რეგულირების პროცესში მონაწილეობას. პირველი კონფლიქტი , რომელმაც არა მარტო რეგიონალური, არამედ საერთოევროპულ უსაფრთხოებას შეუქმნა საფრთხე , სწორედ იუგოსლავიის დაშლა იყო. იუგოსლავია, რომელიც ამ დროისთვის წარმოადგენდა კომპლექსური საზოგადოების გაერთიანებას, არაერთი შიდა პრობლემით იყო მოცული, რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკურ , სოციალურ პოლიტიკურ თუ ეთნიკურ საკითხებთან. საბოლოოდ, სწორედ ამ მიზეზებმა მოახდინა მისი დაშლა ცალკეულ რესპუბლიკებად, აღნიშნულმა პროცესმა ცალკეულ რესპუბლიკებში ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტის გამწვავებას შეუწყო ხელი , რომელსაც უდიდესი მსხვერპლი მოჰყვა. თუმცა ისმის კითხვა , შეიძლებოდა თუ არა ამ პროცესის წარმართვა მშვიდობიანი გზით და როგორი იყო მშვიდობის ფორმირების საკითხში საერთაშორისო საზოგადოების როლი.

ამდენად, ნაშრომში უშუალოდ განვიხილავთ სეპარატიზმის პრობლემას ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ხორვატიის ტერიტორიაზე, სადაც ერთი მიზეზით დაიწყო საბრძოლო

მოქმედებები და ასევე, საერთაშორისო მედიატორების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებს.

კვლევის მიზანი

ნაშრომის მთავარი მიზანია განიხილოს ეთნო-რელიგიური კონფლიქტების წარმოშობის საფუძველი ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში, ასევე დადგენა იმისა, თუ რამ განაპირობა სეპარატიზმის გაღვივება ეთნიკურ ჯგუფებში და როგორია საერთაშორისო ორგანიზაციის როლი კონფლიქტის პრევენციის საკითხში. კვლევის მიზნის შესაბამისად, ამოცანა მდგომარეობას შემდეგში : ბოსნია ჰერცეგოვინისა და ხორვატიის ტერიტორიაზე წარმოშობილი ავტონომიური რესპუბლიკების მაპროვოცირებელი ძალისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, კონფლიქტის ქრონოლოგირი მიმდინარეობა და საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედება, როგორც კონფლიქტისას ასევე კონფლიქტის დასრულების შემდეგ,

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი მოიცავს არსებული თეორიული მასალის განხილვას, ანალიზსა და დასკვნას, ასევე ნაშრომი მოიცავს ისტორიული, შედარებითი, აღწერილობითი და შეფასებითი კვლევის მეთოდებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

არაერთი ნაშრომი ეძღვნება სეპარატიზმის პრობლემას , თუმცა ამ შემთხვევაში , ჩვენი მიზანია იგი კომპლექსურად იქნას განხილული საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ერთად ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიის მაგალითზე ქრონოლოგიურ ჩარჩოში , რომელიც მოიცავს 1992-95 წლებს.

რაც შეეხება ლიტერატურას, გამოყენებული ძირითადი მასალებიდან , რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული ნაშრომი, აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი რეზოლუციები, ოფიციალური დოკუმეტები, ძირითად საძიებო სისტემას წარმოადგენს ინტერნეტი , სხვადასხვა სახის ელექტრონული წიგნები და პუბლიკაციები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ბიბლიოგრაფიის სახით.

I თავი

სეპარატიზმი და ერთა თვითგამორკვევა

სეპარატიზმის დეფინიციას არაერთ ნაშრომში ვხვდებით, სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, სეპარატიზმი ეს არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის მცდელობა - მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ ავტონომიას, ფედერაციის შემთხვევაში მიაღწიოს ცალკე სუბიექტის სტატუსს ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით. [1]

სეპარატიზმი ნაციონალიზმის ფენომენია. ის იწვევს მხარეებს შორის ხშირ შემთხვევებში სამხედრო ჩარევას, რაც თავისთავად იწვევს ადამიანურ მსხვერპლს. ის ხელს უწყობს სახელმწიფოებში არასტაბილურობის ზრდას.

ომებში, რომლებიც მიმდინარეობს სამთავრობო და სეპარატისტულ პოლიტიკურ ძალებს შორის , ორივე მხარე აპელირებს ისეთ იდეალებზე როგორებიცაა: ეთნიკური

[1] **ალექსიძე, ლ.**(2010 წლის 10 მარტი). *სამოქალაქოგანათლებისლექსიკონი.* ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=664(ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს).

თანასწორობა, თვითგამორკვევა. სეპარატისტული კომფლიქტების ობიექტი ყოველთვის არის ტერიტორია, შესაბამისად, ყოველი სეპარატისტული კონფლიქტი წარმოადგენს ტერიტორიულ კონფლიქტს.[1]

სეპარატისტული მიმდინარეობა დამახასიათებელი იყო საზოგადოების უმრავლესობისათვის, ისტორიის მანძილზე იცვლებოდა მხოლოდ მისი ფორმები. თანამედროვე ლიტერატურაში ასახელებენ სეპარატისტულ მისწრაფებათა ოთხ ტიპს:

1. ხელისუფლებისა და მართვის პოზიციების პოლიტიკურად უსამართლო დანაწილება. 2.სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცის შემჭიდროვება (მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისა და ეკოლოგიური პირობების გაუარესების გამო) 3. რელიგიური შეუწყნარებლობა და კულტურული ასიმილაცია. 4. სეპარატისტების მიერ უსამართლოდ მიჩნევა საზღვრებისა და ხელშეკრულებების.

სეპარატიზმს უფრო ფართო მასშტაბები ეძლევა მაშინ, თუ მას გააჩნია მფარველები დიდი სახელმწიფოების სახით. სახელმწიფო, რომელიც დახმარებას უწევს ნებისმიერ სეპარატისტულ რეჟიმს, თამამად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტულ სახელმწიფოდ. ნებისმიერ სეპარატისტული რეჟიმების მხარდამჭერი სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაგმონ და მის მიმართ გაატარონ სათანადო სანქციები. [2]

გარკვეული ცნებების განმარტება ხშირად პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე სოციალურ მეცნიერებებს ეხება. ამიტომ უმჯობესია განვიხილოთ ცნებების უნივერსალური დეფინიცია.

სეპარატიზმი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან Separatus - ცალკე. ინგლისურ ენაში Separatism და ფრანგულ ენაში Separatisme ნიშნავს განცალკევებისკენ, გამოყოფისკენ სწრაფვას.

---

[1]**მელიქიძე, ა.** *საერთაშორისოსეპარატიზმისპრობლემაჩინეთისმ'აგალითზე.* ივლისი 25, 2016 ვებგვერდი:http://irtoday.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B/(ნანახია 2016 წლის 27 ნოემბერს).

[2]**ნადარეიშვილი, თ., ჩიტაია, დ., დავითაია, დ**. *სეპარატიზმისპრობლემა (ისტორიადათანამედროვეობა).*თბილისი: გამომცემლობა "აკადემია", 2003 . გვ.10-11.

წიგნში „სეპარატიზმის პრობლემა“ თ. ნადარეიშვილის, თ. ჩიტაიასა და დ.დავითაიას ავტორობით განხილულია სეპარატიზმის აქტუალობა და მახასიათებლები, რომელსაც ტერიტორია უნდა ფლობდეს, რათა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. წიგნის მიხედვით, ყოველი ერი მისი ეროვნული კონსოლიდაციისა და თვითშეგნების ფორმირების პროცესში, როგორც წესი, მიისწრაფვის თავისი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნისაკენ, მაგრამ ამ დონის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი პირობები - ტერიტორია, სამეურნეო და კულტურული განვითარების დონე, ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალი, ხელშემწყობი გეოპოლიტიკური ვითარება. ამ გარემოებათა გამო, კერძოდ, მათი არარსებობის ან ნაწილობრივ არსებობისას, ყველა ერი როდი აყალიბებს თავის სახელმწიფოს. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოში არსებობს 4,5 ათასი ეთნოსი, ხოლო სახელმწოფოთა საერთო რიცხვი 200-მდეა, მათგან მხოლოდ 193 არის გაწევრიანებული გაეროში. ბუნებრივია, რომ ეთნოსთა დიდი უმეტესობა, რომელსაც არ აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა, შედის უკვე არსებული სახელმწიფოების შემადგენლობაში ავტონომიის სახით ან პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული მოწყობის სხვა ფორმით. რომელიმე ეთნოსი, რომელსაც არ გააჩნია ზემოჩამოთვლილი თვისებები და არ განიცდის დისკრიმინაციას, ცდილობს, მიაღწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას და სრულ სუვერენიტეტს უკვე არსებული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გზით. [1]

ხშირ შემთხვევაში, სეპარატიზმი წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირების მიზეზს, რაც ხშირად ფართო მასშტაბებს იღებს და გადაიზრდება სამხედრო დაპირისპირებაში. ასეთ შემთხვევაში იზრდება რასობრივ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული გენოციდის რისკი. არაერთი მაგალითი გვიჩვენებს, რომ სეპარატისტულ რეგიონებში გაცილებით მაღალია კორუფციის, ტერორიზმის, კონტრაბანდის, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის მაჩვენებელი.

---

[1] **ნადარეიშვილი, თ., ჩიტაია, დ.,დავითაია, დ.** *სეპარატიზმის პრობლემა (ისტორია და თანამედროვეობა).* თბილისი: გამომცემლობა "აკადემია",2003 , გვ.13.

1.1 სამართლებრივი ასპექტები

გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ასევე ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში განსაზღვრულია ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლება, როგორც ყველა ერის (ხალხის) უფლება თავისუფლად, გარედან ჩაურევლად განსაზღვრონ პოლიტიკური სტატუსი და თავად აირჩიონ თავისი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების გზები. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თითოეული სახელმწიფო მოვალეა პატივი სცეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად. [1]

ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლების შინაარსი ჩამოყალიბებულია 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციაში კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციაში კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

გაეროს წესდების მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით.“[2]

---

[1] **მჭედლიშვილი, მ.** *ერთათვითგამორკვევისპრინციპიდაკომფლიქტები.* 1 თებერვალი, 2015 ვებგვერდი:http://irtoday.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98/ (ნანახია 2016 წლის 30 ნოემბერს).

[2] **კორკელია, ა.** *ხალხთათანასწორუფლებიანობისდათვითგამორკვევისპრინციპი.* 2015, 16 მარტი ვებგვერდი:www.iuristebi.ge/5467/xder/87678(ნანახია 2016 წლის 17 დეკემბერს).

1.2 სეპარატიზმის ტიპოლოგია

გამოყოფას შეიძლება ქონდეს ორი განსხვავებული სახე. ერთი ეს არის ირედენტიზმი, ირედენტისტული სახის გამოყოფა გულისხმობს რომელიმე ქვეყანაში პრაქტიკულად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნას გამოეყოს ამ ქვეყანას და შეუერთდეს ისტორიულ სამშობლოს.

გამოყოფის მეორე სახეა სეცესიური სახის, რისი მაგალითიცაა აფხაზეთის რეგიონი. ამ შემთხვევაში იგულისხმება რომელიმე ტერიტორიის გამოსვლა სახელმწიფოს შემადგენლობიდან და ამ ტერიტორიაზე ახალი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნა. [1]

სეპარატიზმი შეიძლება იყოს როგორც ეთნიკური, ასევე: რელიგიური, ლინგისტური, კულტურული, რასობრივი და სხვ. აღსანიშნავია რომ ყველაზე ხშირად პრაქტიკაში სწორედ ეთნიკური სეპარატიზმი გვხვდება.

- ეთნიკური სეპარატიზმის გამომწვევი მთავარი ფაქტორია ეთნიკური განსხავებები ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხებს შორის, მაშინ როდესაც ეთნიკური განსხვავებები ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ქმნის კომფლიქტურ სიტუაციას და არ ხდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ ერად ჩამოყალიბება.
- რელიგიურ სეპარატიზმს განაპირობებს ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფების რწმენას, რომ მათ მხოლოდ თავიანთი რელიგიის მიმდევრებთან უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა. ასევე სეპარატიზმის გამომწვევ ფაქტორად ხშირად სახელდება რელიგიური დისკრიმინაცია რელიგიური ჯგუფის მიმართ. რელიგიური სეპარატიზმის ყველაზე ცნობილი მაგალითია ტიბეტელი ბუდისტები ჩინეთში.
- რაც შეეხება ლინგისტურ და კულტურულ სეპარატიზმს, ეს გახლავთ ეთნიკური სეპარატიზმის ძირითადი საფუძველი. ამა თუ იმ ჯგუფისთვის დამახასიათებელი საერთო ენა და კულტურული ნარატივები არის ძლიერი კატალიზატორი სეპარატისტული მოძრაობების დასაწყებად.

---

[1] **მაცაბერიძე, მ.** *კავკასიისკომფლიქტებისშედარებითიანალიზი . 28 მარტი, 2014*ვებგვერდი:http://politscience.info/Filemanager/files/bakalavriati/kavkasshedpol/Kavk-shed-pol-V-konfliqtebi-2014.pdf (ნანახია 2016 წლის 5 დეკემბერს).

➢ რასობრივი სეპარატიზმი გულისხმობს გამოყოფას რასობრივი ნიშნით, სხვადასხვა რასობრივ ჯგუფებს უჩნდებათ სურვილი განცალკევდნენ სხვა რასობრივი ჯგუფისგან. მათთვის დამახასიათებელია ქორწინება მხოლოდ საკუთარი რასის წარმომადგენელზე. რასობრივი სეპარატიზმის მაგალითია აპარტეიტი სამხრეთ აფრიკაში. [1]

1.3 ერთა თვითგამორკვევის პრინციპი

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი გულისხმობს მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლებას, თავად განსაზღვროს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსი, მაგალითად შექმნას ახალი სახელმწიფო ან აირჩიოს სხვა სახელმწიფოს ნაწილად გახდომა. [2]

ერთა თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს გაეროს წესდების პირველი მუხლის მეორე პარაგრაფი და 55-ე მუხლი. იმავე დებულებას შეიცავს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14დეკემბრის „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“, „1970 წლის დეკლარაცია“ და სხვა. [3]

თვითგამორკვევის საკითხის საერთაშორისო დონეზე სამართლებრივად დაკანონების საკითხი ერთი შეხედვით ბუნდოვანია. გაეროს მიერ წესდებაში თვითგამორკვევის უფლების აღიარებით თვითგამორკვევა, როგორც პრინციპი, საერთაშორისო სამართალში პირველად იქნა ნახსენები. თუმცა მხოლოდ ერთა შორის

---

[1] **ნაროჩნიცკაია, ეა**. *სეპარატიზმი: ტიპოლოგიადაევროპულირეალობა. 21 სექტემბერი,2015* ვებგვერდი:http://inion.ru/index.php?page_id=352&id=1434(ნანახია 2016 წლის 5 დეკემბერს).

[2] **მჭედლიშვილი, მ.** (2015 წლის 1 თებერვალი). *ერთათვითგამორკვევისპრინციპიდაკომფლიქტები.* ვებგვერდი:http://irtoday.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98/(ნანახია 2017 წლის 15 იანვარს).

[3] **ალექსიძე, ლ.** *თანამედროვესაერთაშორისოსამართალი.*თბილისი: საგამომცემლოსახლი "ინოვაცია", 2005 გვ. 57.

მეგობრული დამოკიდებულების კონტექსტში. თვითგამორკვევის პრინციპი შევიდა საჯარო საერთაშორისო სამართლის სამყაროში და მისი გარანტირებული გამოყენება აუცილებელი ვალდებულება გახდა წევრი სახელმწიფოებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით თანაარსებობა წარმოადგენს ამ ორგანიზაციის მკაცრად განსაზღვრულ წესს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასთან დაკავშირებით - ეს არის პოლიტიკა, რომელიც მძაფრად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაში ნაწილობრივ ან სრულ ჩარევას.[1]

დღესდღეობით არცერთი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სეცესიის შესაძლებლობას, ხდება ფედერალური ტერიტორიის აღიარება როგორც „განუყოფელის". შესაბამისად გამოყოფის ნებისმიერი მცდელობა აღიქმება როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი და ფასება როგორც სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველი. [2]

თვითგამორკვევა და მასზე დაყრდნობით გამოყოფის უფლების ლეგიტიმურობა საკმაოდ რთული გადასაწყვეტია. საერთაშორისო სამართლის თურქი ექსპერტის მარტი კოსკენიემის სიტყვებით, „უცნაური სიძნელეები რომლებსაც ქმნის ამ პრინციპის გამოყენების დაჟინებული მცდელობა, მომდინარეობს იმ პარადოქსიდან, რომ ის იცავს და ამავე დროს პრობლემებს უქმნის სახელმწიფოს და შეუძლებელს ხდის პატრიოტული და სეპარატისტულ აზროვნებას შორის ზოგადი განსხვავების დადგენას.

---

[1]**სმიტი, რ.***ადამიანისსაერთაშორისოუფლებები.(გამოყოფა).*თბილისი: გაეროსგანვითარებისპროგრამა, საქართველოსსახალხოდამცველიაპარატი. თარგმნამ. კობიაშვილმა, 2006, გვ.27.

[2]**ხუბუა, გ.***ფედერალიზმი, როგორცნორმატიულიპრინციპიდაპოლიტიკურიწესრიგი.*თბილისი: საქართველოსახალგაზრდაიურისტთაასოციაცია, 2000 გვ.34.

თავი II

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფორმირებისა და დაშლის პროცესი

2.1 ფორმირების ისტორიული წინაპირობა

მიმოვიხილეთ რა, პირველ თავში სეპარატიზმის ტიპოლოგია , დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს, რომელიც გულისხმობს სეპარატიზმის განხილვას იუგოსლავიის მაგალითზე. იუგოსლავიის დაშლის პროცესი ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა ბოსნია ჰერცეგოვინისთვის, რომელიც ეროვნული და კულტურული სიჭრელით ხასიათდებოდა, თუმცა ვიდრე უშუალოდ კონფლიქტს განვიხილავთ , აუცილებელია , შევეხოთ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფორმირების სათავეებსა და წარმოვაჩინოთ ის ისტორიული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა 1992-1995 წლამდე.

ოტომანთა იმპერიის მმართველობის შემდეგ, 1908 წლიდან ბოსნია ჰერცოგოვინა ავსტია-უნგრეთის მიერ იქნა ანექსირებული, თუმცა ქვეყანამ ერთიანობა შეინარჩუნა მეორე მსოფლიო ომამდე, მიუხედავად არსებული მნიშველოვანი პოლიტიკური პრობლემებისა, სერბო-ხორვატიული ანტაგონიზმის ჩათვლით. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის ოკუპაციის პირობებში, ხორვატიას მიენიჭა დამოუკიდებლობა, თუმცა მიმდინარე წლებში არსებული დამოუკიდებლობა, წარმოადგენდა დიქტატურას. [1] დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომი უმეტესად იყო სამოქალაქო დაპირისპირება იუგოსლავიის ტერიტორიაზე. უამრავ ჩადენილ საშინელებათა შორის,

[1]1941 წლის აპრილში იუგოსლავიის სამეფოს გერმანია და იტალია იპყრობს და სამეფოც უქმდება; სერბია, როგორც ვასალური სახელმწიფო ოკუპირებული რჩება, სლოვენიას გერმანია, იტალია და უნგრეთი ნაწილ–ნაწილ იყოფენ, ხორვატია (ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ჩათვლით) დიდ ხორვატიად (ფაქტობრივად ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ვასალურ სახელმწიფოდ) ცხადდება და ერქმევა უცნაური სახელი – ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, მონტენეგროსა და ზოგ სხვა მიწებს ქვეყნის სამხრეთში იტალია ისაკუთრებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ხორვატებმა ჩაიდინეს დანაშაული სერბების მიმართ, რომლებმაც სავსებით ძლიერი ნაციონალური კულტურისა და ხასიათს გამო ვერ შეძლეს ამის დავიწყება, ისევე როგორც ექვსასი წლის წინანდელი კოსოვოს ბრძოლის ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ . აქ, რა თქმა უნდა , იგულისხმება 1389 წლის ივნისის ბრძოლა, კოსოვოს ველზე, რომელიც სულთან მურად პირველის ხელმძღვანელობით წარიმართა. [1] მართლაც, კოსოვოს ბრძოლის ნარატივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სერბეთის ისტორიულ წარმოსახვაში და ის წარმოადგენდა ძლიერ ინსტრუმენტს ეროვნული პოლიტიკური პროპაგანდისთვის. ამის მაგალითად შეიძლება ვიგულისხმოთ არაერთხელ აღნიშვნა იმისა, რომ „კოსოვო ისტორიის, კულტურისა და მეხსიერების ცენტრია, ამასთანავე პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი არაერთ გამოსვლაში აღნიშნავს, რომ ექვსი საუკუნის წინ სერბებმა კოსოვოში თავად დაიცვა თავი, მაგრამ ამასთანავე, ევროპაც დაიცვა. „სერბეთი იყო ბასტიონი , რომელმაც ევროპის კულტურას, რელიგიას და ზოგადად ევროპულ საზოგადოებას იცავდა.“[2]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიამ მეტნაკლებად შეინარჩუნა ომამდელი სტატუსი, თუმცა მცირე საზღვრის ცვლილებებით.[3] მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წლის 29 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ბროზ ტიტოს სახალხო ფრონტმა არჩევნებში გაიმარჯვა, იუგოსლავია გამოცხადდა სოციალისტურ-ფედერაციულ სახელმწიფოდ, რომელშიც 6 წევრი–რესპუბლიკა (სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, სერბია და მაკედონია) შედიოდა და მისი სრული სახელი იყო იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკა. ტიტოს ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი იყო, ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ის აქცენტს ძირითადად აკეთებდა ფედერაციულ ერთობაზე და არა რომელიმე ეთნიკური ელემენტის დომინირებაზე ფედერაციული მასშტაბით. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობები არ იყო

[1] Battle of Kosovo (1389). Medieval Times History / Medieval Battles .
ინტ. რესურსი : http://web.archive.org/web/20110103190159/http://www.medievaltimes.info/medieval-battles/battle-of-kosovo.html
[2] SLOBODAN MILOSEVIC'S 1989 ST. VITUS DAY SPEECH. Gazimestan - June 28, 1989.
http://www.slobodan-milosevic.org/spch-kosovo1989.htm
[3] ისტრია დაემატა იუგოსლავიის ტერიტორიას.

მხარდაჭერილი და ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში , არ არსებობდა სხვა პოლიტიკური პარტია და თავისუფალი პრესა. რაც შეეხება ეკონომიკას, იგი დიდად არ ძლიერდებოდა კომუნიზმის პირობებში, მაგრამ განსხვავებით ვარშავის პაქტის ქვეყნებისგან, იუგოსლავური სოციალიზმი ბევრად უფრო ლიბერალური იყო, რომელიც გამოირჩეოდა ნაკლები წინააღმდეგობებითა და კარგი ეკონომიკური მიღწევებით, ვიდრე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში , ევროპის მასშტაბით , ცივი ომის დროს . 1980 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა იოსიპ ბროზ ტიტო, იწყება ეკონომიკური გაუარესების და უმნიშვნელო კეთილდღეობის პერიოდი, განსაკუთრებით კი ანტე მარკოვიჩის მმართველობისას.

2.2 დამოუკიდებლობის პირველი ნაბიჯები იუგოსლავიის ტერიტორიზე

ვიდრე უშუალოდ შევეხებით დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის პირველ ნაბიჯებს ფედერაციის მასშტაბით , სლოვენიისა და ხორვატიის მაგალითზე, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ეთნონაციონალური კონფლიქტების კლასიფიკაციისას კონფლიქტების ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ტერიტორია, რომელზეც ეთნოპოლიტიკური მოძრაობა წარმოიშობა, სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილთან შედარებით ეკონომიკურად უფრო განვითარებულია. ამ ტერიტორიული ერთეულის აზრით, მას აქვს „ეროვნული თვითგამორკვევის“ რეალიზაციის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და კულტურული საფუძველი. უფრო ხშირად იგი ტრანსფორმირდება სეცესიის შედარებით „რბილ“ ფორმად - „რეგიონალურ ავტონომიად“ - თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ეკონომიკური ფაქტორით დეტერმინირებული მოძრაობაც ესწრაფვოდეს სახელმწიფოსაგან სრულ გამოყოფას.[1] ნაწილობრივ, ასევე ეკონომიკური საფუძვლების არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ სლოვენიასა და ხორვატიაში.

[1]**ხუბუა, გ.***ფედერალიზმი, როგორცნორმატიულიპრინციპიდაპოლიტიკურიწესრიგი.*თბილისი: საქართველოსახალგაზრდაიურისტთაასოციაცია. 2000 წ., გვ. 161.

1980 წლის ბოლოდან გაიზარდა მოთხოვნები ხორვატიისა და სლოვენიის სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ იუგოსლავიურ რესპუბლიკაში უფრო მეტი ინდუსტრიული წარმოება იყო, ვიდრე შორეულ სამხრეთში და გააჩნდათ უკეთესი ცხოვრების პირობები ფედერააციის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით. ფაქტობრივად, ამ ორმა რესპუბლიკამ აღმოაჩინა, რომ ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ეკონომიკურად სწორედ თვითონ ეხმარებოდნენ და ამასთანავე, იყო და არის უდიდესი კულტურული განსხვავება ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ისევე როგორც სოციალური ქცევისა და რელიგიის კუთხით. ნათელი გახდა, რომ ამის დამალვა უფრო დიდი ხნით შეუძლებელი იყო. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით კი, სოციალიზმი ოფიციალურად ჩავარდა და ჩაანაცვლა ნაციონალიზმმა ისევე როგორც სერბეთში , ასევე ხორვატიასა და სლოვენიაში. ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ , თავისთავად წარმოშვა სამხედრო დაპირისპირება სერბეთთან, რომელსაც მხარს ბოსნია უჭერდა, თუმცა მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გააზრებული, რომ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ დამოუკიდებელთა რიგებს ისინიც შეუერთდებოდნენ და დაუპირისპირდებოდნენ ფედერალურ ძალებს.

იმისათვის, რომ 1992-95 წლების ვითარება შეფასდეს , მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე აღინიშნოს ფედერაციაში მცხოვრები ადამიანების ეთნიკურ წარმომავლობა პროცენტულად : სერბები იუგოსლავიაში მცხოვრები 23 მილიონიდან რაოდენობით 10 მილიონს წარმოადგენდნენ. სლოვენები 2 , ხორვატები 5 მილიონამდე, ხოლო სამოქალაქო ომამდე ბოსნია და ჰერცოგოვინაში ცხოვრობდა 4 მილიონი ადამიანი, საიდანაც 44 პროცენტი იყო მუსლიმი, 31 პროცენტი სერბი, ხოლო 17 პროცენტი ხორვატი. ნახევარი მილიონი კი ცხოვრობდა მონტენეგროში, ალბანელები 2 მილიონი, ხოლო მაკედონია ასევე ნახევარი მილიონი მოსახლეობით, ასევე ნახევარი მილიონი იყო წარმოდგენილი ავსტრიასა და უნგრეთში.[1] რაც შეეხება ებრაელებსა და დანარჩენ ხალხს, იუგოსლავიელებად იწოდებოდნენ, ვინაიდან ისინი და მათი შვილები შერეული ქორწინების შედეგად იყვნენ შობილნი. ამასთანავე, ყველა ეთნიკური ჯგუფი თავის

[1] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001 , გვ.14

„სამშობლოში“ არ იყო წარმოდგენილი, ზოგიერთი საზღვარი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის იყო პირობითი, დადგენილი ტიტოს ხელისუფების მიერ, ამიტომაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ადგილს იცვლიდა რესპუბლიკის ირგვლივ, თუმცა სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე , ნაციონალისტებმა ეს პრობლემა ეთნიკური წმენდის საშუალებით გადაწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ სერბები მთლიანი რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ, ისინი ძირითადად მაღალ პოზიციებს იკავებდნენ ნებისმიერ ადგილას, მაგალითად იუგოსლავიის ფედერალური არმიის ოფიცრების 75 პროცენტი სერბი იყო, ისინი თავს გრძნობდნენ იუგოსლავიელებად, ვიდრე სერბებად. იუგოსლავია ფაქტობრივად წარმოადგენდა სინონიმს დიდი სერბიისა. [1]

გარდა სერბებისა რესპუბლიკაში სხვა ეთნიკური წარმომადგენლებიც მიიჩნევდნენ თავს იუგოსლავიელებად, ეს ძირითადად განპირობებული იყო შერეული ეთნიკური წარმომავლობის გამო, იგულისხმებიან ბოსნიელი მუსლიმები, რომლებიც იდენტიფიცირებულები იყვნენ როგორც ხორვატებად , ისე სერბებად , სანამ 1970 წელს იოსიპ ბროზ ტიტომ არ დართო ნება გამოცხადებულიყვნენ ისინი მუსლიმი ეროვნების წარმომადგენლებად.[2]

ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გარადაუვალი იყო, რომ ამას არ გამოეწვია სერბების შესუსტება. მათ დაკარგეს როგორც ძალა, ასევე შემოსავალი , ვინაიდან აღარ ჰქონდათ ინდუსტრიის დიდი ნაწილი და ხელსაყრელი ტურიზმი ადრიატიკის სანაპიროზე, დამატებით კი, ნაციონალისტები აუცილებლად ჩაანაცვლებდნენ მაღალ პოზიციებზე სერბებს, სერბეთის გარეთ.

ვითარება ისე მწვავდებოდა, რომ საქმე ომამდე მივიდა, თუმცა სლოვენიაში შეიარაღებული ბრძოლა ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინაიდან აქ ძალიან ცოტა სერბი ცხოვრობდა 1991 წლის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს, 10 დღიანი ბრძოლის შემდეგ , რომელიც გაიმართა სლოვენებსა და იუგოსლავიის სახალხო არმიას შორის,

---

[1]**Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001 , გვ. 14

[2]**Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001, გვ 15.

დამთავრდა იმით , რომ არმიამ უკან დაიხია, ბელგრადისკენ. სლოვენია გახდა დე ფაქტო დამოუკიდებელი 1991 წლის ზაფხულში და საერთაშორისოდ აღიარებული იქნა 1992 წლის იანვარში.

რაც შეეხება ხორვატიას, მან ასევე გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის ზაფხულში და საერთაშორისოდ აღიარებული იქნა იმავე დროს, როცა სლოვენია.

ხორვატიის დამოუკიდებლობა პირველად აღიარებულ იქნა გერმანიის მიერ, რასაც მალე მოჰყვა დანარჩენი ევროპის მიერ დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ ცნობა. უნდა ითქვას, რომ გერმანიის სწრაფი აღიარება იყო გერმანიის შეთავაზება მხარდაჭერის გაგრძელებულიყო დამოუკიდებელი ხორვატიისთვის, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს , რამაც წარმოშვა შეთქმულების თეორიები სერბებს შორის, მათ შორის ერთერთი იყო ვატიკანის დადანაშაულება , რადგან ხორვატია იყო კათოლიკური და პაპის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, სერბები კი მართლმადიდებლები იყვნენ.

უნდა ითქვას, რომ ხორვატული საქმე უფრო ჩახლართული იყო, ვიდრე სლოვენური. სერბული უმცირესობა მერყეობდა მოსახლეობის 15 პროცენტამდე, რომელიც ცხოვრობდნენ ხორვატიაში ომამდე. ხორვატიელმა სერბებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა ხორვატიის ტერიტორიაზე და მიითვისეს იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც კრაინა ეწოდება და წარმოადგენდა ხორვატიის ტერიტორიის 30 %-ს.[1] მისი მოსახლეობა 1991 წლისთვის 300 000 -ს აღწევდა , თუმცა მას შემდეგ, რაც 1995 წლისთვის შეწყვიტა სერბულმა კრაინამ არსებობა, ნახევარი დაბრუნდა მხოლოდ უკან. მალე მდგომარეობა დაიძაბა და დაიწყო იმ ბრძოლების გაგრძელება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარეობდა და გაგრძელდა იქედან, სადაც გაჩერებულები იყვნენ ნახევარი საუკუნით ადრე .

[1] კრაინა, რომელიც აღნიშნავს სასაზღვრო ხაზს, ყოველთვის წარმოადგენდა საზღვარს ავსტრია-უნგრეთსისა და ოტომანთა იმპერიას შორის. ეს არის ტერიტორია დღევანდელი ბოსნიისა და ხორვატიის საზღვარის დასავლეთი. დაახლოებით 50-150 კილომეტრით შიგნით ადრიატიკის სანაპიროდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს არ იყო მსოფლიო ომის ბრძოლების გაგრძელება ან სათავე შეიძლება ვეძიოთ 1914 წლის მოვლენებში, ან საერთოდაც ეს მოვლენები იყო ახალი თავი და არ წამოადგენდა არცერთ გაგრძელებას.[1]

თავი III

ეთნო-ნაციონალისტური რყევების შედეგად წარმოშობილი ავტონომიები ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე

3.1სერბული კრაინა

ბოსნიის ომი , რომელიც 1992-1995 წლებში მიმდინარეობდა, ძალიან ახლოსაა იმ მოვლენებთან, რომელებიც თვითგამოცხადებული სერბული კრაინის არსებობას უკავშირდება და მისი ისტორია შესაძლოა, განვიხილოთ სწორედ ბოსნიის ომთან ერთად.

როდესაც უკვე ნათელი გახდა, რომ იუგოსლავიის არმია ვერ შეძლებდა ხორვატიის შენარჩუნებას ფედერაციის საზღვრებში ,მიუხედავად მათი სამხედრო უპირატესობისა, გადაწყვიტეს დაეკავებინათ 30 პროცენტი ხორვატიის ტერიტორიის, რომელიც მოიცავდა იმ არეალებს , სადაც ტრადიციულად საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ სერბები.[2] ამ ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ სლავონიის ჩათვლით ხორვატიის საზღვარზე, ვოივოდინასთან ერთად, რომელიც იწოდებოდა როგორც ვოინა კრაინა,[3] სამხედრო საზღვარი არსებობდა ოტომანთა დროიდან, საზღვარი ხორვატიასა და ბოსნიის ჩრდილო-

[1]**Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 17.

[2] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 19.

[3] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 19.

დასავლეთ და დასავლეთ მხარეებს მიჰყვებოდა და ჭრიდა ხორვატიის დიდი ტერიტორიის ნაწილს , ეს კი ხელს უშლიდა ხორვატიის სატრანსპორტო კომუნიკაციას.

სერბული კრაინა წარმოდგენილი იყო საკუთარი მთავრობით, რომელიც დამოკიდებული იყო სერბეთზე , რათა ეარსება. სერბული კრაინის დაყოფა, ორ მხარეს შორის, ძირს უთხრიდა მის არსებობას. მაშინ როცა სერბები დამოუკიდებლობას აცხადებდნენ და სერბეთთან ინტეგრაციას ითხოვდნენ, ამავდროულად ხორვატია ითხოვდა თავის ტერიტორიას ლეგიტიმურად, რომელიც მას ეკუთვნოდა როგორც ფედერაციის საზღვრებში, ასევე დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ ცნობის შემდგომაც.

რაც შეეხებბა ფედერაციაში არსებულ სამხედრო ვითარებას, იუგოსლავიის სახალო არმიის რიცხვი იზრდებოდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან და მოხალისეებისგან , რომლებიც ქმნიდნენ გასამხედროებულ ჯგუფებს, ისინი ძირითადად ქურდავდნენ და ძარცვავდნენ ხორვატთა სახლებს, რომელიც მათთვის კარგი შემოსავლის წყარო იყო , იუგოსლავიის სახალხო არმიის სტრუქტურა ერთნაირად მოქმედებდა როგორც კრაინაში, ასევე სერბულ ბოსნიაში.[1]

მრავალი სერბი ასევე ცხოვრობდა ხორვატთა კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელთაც მცირე არჩევანი ჰქონდათ, ან უნდა გაქცეულიყვნენ , ან შეგუებოდნენ ხორვატთა მხრიდან დისკრიმინაციას და მრავალ საშინელებას, თუმცა ეს ბევრად უფრო ნაკლები სიმძაფრის იყო იმაზე, რაც ხდებოდა სერბულ ტერიტორიაზე. ომის განმავლობაში შეუძლებელი იყო გაგერჩია სამოქალაქო პირი და ჯარისკაცი, ვინაიდან განსაკუთრებით ხორვატიაში ჯარისკაცებს არ ჰქონდათ ხშირ შემთხვევაში ფორმები, ხოლო რაც შეეხება იუგოსლავიის არმიას, იგი სერბებს სწრაფად ამარაგებდა ფორმითა და იარაღით.[2]

სერბულ კრაინას გააჩნდა სოფლის მეურნეობა და ამასთანავე სერბეთში საკვების დიდი მარაგი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა ამ ტერიტორიის მომარაგების. თუმცა იუგოსლავიის ფედერაციის სავაჭრო სანქციების გამო საწვავი სამჯერ ძვირად ფასობდა აქ,

[1] War Crimes in Bosnia-Hercegovina:მU.N. Cease-Fire Won't Help Banja Luka . June 1994 Volume 6, Issue 8 https://www.hrw.org/reports/1994/bosnia2/

[2] War Crimes in Bosnia-Hercegovina:მU.N. Cease-Fire Won't Help Banja Luka . June 1994 Volume 6, Issue 8 https://www.hrw.org/reports/1994/bosnia2/

ვიდრე ხორვატიაში, ხოლო ზოგიერთ მხარეს საერთოდ არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.[1]

სერბეთის კრაინის რესპუბლიკა წარმოადგენდა უჩვეულო ნაერთს ანარქიისა და წესრიგის. არმია და პოლიცია იყო ზუსტად ისეთი, როგორც იუგოსლავიაში, ისევე ნაკლებად ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა დაცვასა და თავისუფალ სიტყვას, შესაბამისად კრაინაში მცხოვრები ხორვატებისთვის ცხოვრება ტერორს წარმოადგენდა, მათ ასახლებდნენ, კლავდნენ ან საკონცენტრაციო ბანაკებში მიჰყავდათ, იმყოფებოდნენ გამუდმებით შიშში და მათ საკუთრებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო, სერბ მმართველობას კი უმცირესობისგან გაწმენდა ჰქონდა განზრახული. დახმარება, რომელიც გაერთიანებული ერების დაცვითი ძალით იქნა წარმოჩენილი შემაკავებელი ხასიათის იყო, თუმცა რეალურად ძალიან სუსტი, როგორც მოსალოდნელი იყო სერბები, რომელებიც ხორვატიის კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, გაიქცნენ და თავშესაფარი მოსთხოვეს სერბეთს, ჯამში 500 000 მდე ბოსნიიდან და ხორვატიიდან.[2] 1991-1995 წლებში მიმდინარეობდა გამუდმებული შეტაკებები ხორვატებსა და სერბებს შორის, თუმცა ფრონტის ხაზი უცვლელი დარჩა მას შემდეგაც, რაც ნათელი გახდა რომ სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო მოლაპარაკების გზით.[3]

ჯერ კიდევ 1993 წელს ბელგრადმა გადაწყვიტა ფოკუსირება ბოსნიის სერბთა რესპუბლიკაზე მოეხდინა, ვიდრე კრაინაზე და იმაზე, თუ როგორ გაეყო ხორვატებისთვის და სერბებისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინა, თუმცა უნდა ითქვას, რომ კრაინის არსებობის გაგრძელებით ბევრი ადამიანი იყო დაინტრესებული, ისინი ძირითადად წარმოადგენდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული ქონება, ასევე

[1] Croatia's Ethnic SerbControlled Areas: A Geographic Perspective, Intelligence Report - Office of Resources, Trade, and Technology, May 1995, გვ 5.

[2] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 23.

[3] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 22.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც კარიერა კრაინაში ჰქონდათ შექმნილი და ადამიანები, რომლებიც ომისგან სარგებელს ნახულობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა იარაღის ემბრაგო ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე,[1] რომლის დაწესება 1991 წლის ივლისში ევროპის კავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ იქნა გადაწყვეტილი, ხოლო 1991 წლის სექტემბერში 713 რეზოლუციით მთელს ტერიტორიაზე მიიღეს, ხორვატია მაინც იღებდა დიდი რაოდენობის იარაღას ყოფილი ვარშავის პაქტის , აღმოსავლეთ გერმანიისა და უნგრეთის შეიარაღებიდან.[2]

რაც შეეხება მოკავშირეთა საკითხს, დასავლეთ სამყაროს თვალი მიმართული იყო ხორვატიაზე, ხოლო სერბეთს მოკავშირედ ორთოდოქსი რუსეთი წარმოედგინა, რაც საკმაოდ არადამაჯერებელი იყო, ვინაიდან რუსეთი ამ დროს საშინაო არეულობით იყო მოცული.

1995 წელს ხორვატიის არმიის ძალა და სერბეთის მზადყოფნა გამოსცადეს დასავლეთ სლავონიაში ნახევრად დადგუმული ინციდენტის შემდეგ ახლადგახსნილ საავტომობილო გზაზე, რომელიც ხორვატიიდან კრაინის ტერიტორიისკენ მიემართებოდა. ხორვატიის არმიამ ყოველგვარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხმაურისა და სამხედრო წინააღმდეგობის გარეშე აიღო სლავონია. ზაფხულში ხორვატიამ მოახერხა, ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, რომ მან ყველა გზა მოსინჯა რათა მომხდარიყო მშვიდობიანად კრაინის რეინტეგრაცია ხორვატიასთან. ხორვატებმა სწრაფად დაიწყეს გაწმენდა ტერიტორის გვამებისგან და შეუდგნენ ომისგან განადგურებული შენობების აღდგენას, რადგან იცოდნენ, რომ მთელი მსოფლიოს თვალი მათკენ იყო მიპყრობილი.

რაც შეეხება აღმოსავლეთ სლავონიას, რომელიც სერბეთის საზღვარზე მდებარეობდა, იყო შემდეგი, რასაც ხოვატები უნდა შეჯახებოდნენ. თუმცა, საერთაშორისო ინტერესის გამო სერბო-ხორვატიული კონფრონტაციის, იგი ხორვატიას დაუბრუნდა 2

[1] EU arms embargo on the former Socialist Federal Republic of Yugoslavia. STOCKHOLM INTERNATIONAL PEACE RESEARCH INSTITUTE. https://www.sipri.org/databases/embargoes/eu_arms_embargoes/yugoslavia

[2] **Bjarnason , Magnus .** The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country. 2001, გვ. 23

წლის შემდგომ ბრძოლის გარეშე, ვინაიდან აქ დიდი როლი ითამაშა, დიპლომატიამ, რომელიც ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა ეფექტური , რომ იგი ძალისმიერი მუქარით იყო მხარდაჭერილი . თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიაში მომხდარი ომი საკმაოდ სერიოზული იყო , ინტენსივობით ის წარმოადგენდა იმის ნახევარს, რაც შემდგომ 1992-1995 წლებში მოხდა ბოსნიაში -ჰერცეგოვინაში.

3.2ბოსნიის სერბული რესპუბლიკის ფორმირება (ბოსნიის ომის პირველი ფაზა)

იუგოსლავიის ფედერაციიდან ხორვატიისა და სლოვენიის გამოყოფამ ცხადყო, რომ ამჯერად გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩდნენ ბოსნიელები, რომლებიც საკუთარ მომავალზე ღელავდნენ . თუმცა ბელგრადი აცხადებდა, რომ იუგსლავიას გამოეყო ხორვატია და სლოვენია, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ისინი იყვნენ მემკვდრეები იუგოსლავიის ფედერაციის. შემდეგი, ვისი მზერაც დამოუკიდებლობისკენ იყო მიპყრობილი, გახლდათ ბოსნია ჰერცეგოვინა . ბოსნია გეოგრაფიულად ჩრდილოეთით, ხოლო ჰერცეგოვინა კი სამხრეთით მდებარეობდა. პირველი მულტიპარტიული არჩევნების შემდეგ 1990 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში, პრეზიდენტი გახდა ალია იზეთბეგოვიჩი,[1] რომელიც ტიტოს მმართველობის დროს პატიმრობაში იმყოფებოდა პოლიტიკური დაუმორჩილებლობის ბრალდებით, თუმცა ის არ ყოფილა ერთადერთი, ვისაც მსგავსად ედებოდა ბრალი, ასევე პოლიტიკური ბრალდებით იმყოფებოდა საპყრობილეში ფრანიო ტუჯმანიც , რომელიც თანამედროვე დამოუკიდებელ ხორვატიას ედგა სათავეში.

[1] Alija Izetbegovic 1925 – 2003 . 2014 Balkan News, Inc., London, Paris and Berlin
ინტ. რესურსი : http://www.angelfire.com/dc/mbooks/izetbegovic.html

მიუხედავად იმისა, რომ ალია იზეთბეგოვიჩი მუსლიმი იყო, ის აცნობიერებდა , რომ ბოსნია უნდა დარჩენილიყო მულტი ეთნიკურ და მულტი კულტურულ ადგილად, რათა ეარსება.

ზუსტად იგივე მიზეზებით და იგივე განვითარებით, რასაც ადგილი ჰქონდა ხორვატიასა და სლოვენიაში, წარიმართა ვითარება ბოსნიაში, იმ განსხვავებით , რომ მასშტაბი უფრო ფართო იყო ამ უკანასკნელში. სლოვენიაში იმის გამო, რომ სერბები რაოდენობით ძალიან ცოტანი იყვნენ , ომმა 10 დღეს გასტანა. რაც შეეხება ხორვატიას, აქ მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ბოსნია ჰერცეგოვინაში მოსახლეობის 31 პროცენტს, დაახლოებით 1.3 მილიონ ადამიანს.[1]

1992 წლის მარტში, როდესაც ნათელი გახდა, რომ ბოსნია ჰერცეგოვინა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას აპირებდა და იუგოსლავიის ფედერაციიდან გამოსვლას, დაიწყო მედიის ბრძოლა, რომელიც პროპაგანდითა და ცენზურით შემოიფარგლებოდა.[2] იუგოსლავიის საჰაერო ძალებმა, იერიში მიიტანეს სამაუწყებლო კომუნიკაციებზე და ბრძოლა მაშინვე გადაიზარდა „მეტ სროლასა და ნაკლებ საუბარში“.[3]

ფედერაციის ხელისუფლების აპარატი იმართებოდა ყოფილი კომუნისტებისგან, მაგალითად , სლობოდან მილოშევიჩი, კომუნისტი , რომელიც ჯერ სერბეთის, შემდეგ იუგოსლავიის პრეზიდენტი იყო, როცა გააცნობიერა, რომ კომუნიზმი აღარ სარგებლობდა პოპულარულობით , ნაციონალიზმისკენ იბრუნა პირი, თუმცა იგი არ ყოფილა ერთადერთი, ვინც ამ ხერხს მიმართა.

1992 წელს ბოსნია ჰერცეგოვინა ორად გაიყო, ერთ მხარეს დარჩნენ სერბები, ხოლო მეორე მხარეს ხორვატები და მუსლიმები. ხორვატები და მუსლიმები ბევრად უფრო დამოუკიდებლები იყვნენ და ისინი ქმნიდნენ უმრავლესობას, მის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა მარტში, რომელიც ევროპული საზოგადოების მიერ აღიარებულ იქნა

---

[1] The Socialist Federal Republic of Yugoslavia (SFRY). ... Population statistics. ANNEX: DEMOGRAPHIC CHARACTERISTICS OF YUGOSLAVIA IN THE LATE 1980s, გვ. 130.

[2] How the Media in 1992 was reporting on the Referendum (gallery) . MARCH 1, 2016 4:30 PM https://www.sarajevotimes.com/how-the-media-in-1992-was-reporting-on-the-referendum-gallery/

[3] **Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001, გვ. 27.

6 აპრილს,[1] ხოლო ამერიკის მიერ 7 აპრილს, 1992 წელს.[2] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბოსნიის დედაქალაქი, სარაევო, ორ ნაწილად გაიყო: სარაევო და სერბული სარაევო. სერბული რესპუბლიკის ფორმირება ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ტერიტორიაზე იუგოსლავიის სახალხო არმიის მიერ იყო მხარდაჭერილი, რომლის დედაქალაქი მდებარეობდა პალეში, სარაევოს გარეთ და წარმოადგენდა სამთო-სათხილამურო კურორტს. პრეზიდენტი კი გახდა რადოვან კარაჯიჩი, რომელიც უფრო მეტად დამოკიდებული იყო სერბეთის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩზე. რაც შეეხება სამხედრო მდგომარეობას, ხორვატებს ძალიან ცოტა შეიარაღება გააჩნდა, ხორტვატიის მთავრობა აცნობიერებდა, რომ ომი სახლში უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე ბოსნია ჰერცეგოვინაში.

1992 და ადრეულ 1993 წლებში სერბულმა არმიამ კონტოლი აიღო ბოსნია ჰერცეგოვინის ტერიტორიის 70 % ზე.[3] თვითონ ბოსნია-ჰერცეგოვინის სახელმწიფო ჯერ კიდევ არსებობდა და სარაევოში იყო წარმოდგენილი ხელისუფლება, რომელიც დანარჩენ 30 %-ს აკონტროლებდა.[4] მიმდინარე კონფლიქტისას მოკლეს დაახლოებით 20000 დან 30000 მდე ადამიანი, ძირითადად მუსლიმები , ხოლო დანარჩენმა ასობით ათასმა გაქცევთ უშველა თავს სარაევოს ხელისუფლების კონტორლირებად ტერიტორიაზე, ხორვატიასა და დასავლეთ ევროპაში. სერბების ქმედება გაერთიანებული ერების მიერ იქნა დაგმობილი და გამოიყო ექვსი უსაფრთხო ერთეული: ზეპა, სრებრენიცა, გორაჟდე, ბიჰაჩი, ტუზლა და სარაევო, თუმცა სინამდვილეში, ეს ადგილები არც ისე უსაფრთხო იყო, მაგრამ 1992 და 1993 წლების დასაწყისში სერბების მიღწევები ასე თუ ისე შემცირდა, ძირითადად იმიტომ, რომ იგრძნეს, რაც მათ სურდათ ის მიღწეული იყო.[5]

---

[1] European Commission Press releases database , Press Release details. http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-96-54_en.htm

[2] **BINDER, DAVID** . U.S. Recognizes 3 Yugoslav Republics as Independent, //NYTIMES ARCHIVES // April 8, 1992, გვ. 10.

[3] **Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001, გვ. 30.

[4] **Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001, გვ. 30.

[5] **Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a “de facto” divided country, 2001, გვ. 30.

ახლადშექმნილმა ბოსნიის სერბულმა არმიამ, რომელსაც დახმარებას იუგოსლავიის სახალხო არმია უწევდა, საკმაოდ წარმატებით ჩამოაყალიბეეს თავიანთი "სახელმწიფო", რომელიც მოიცავდა ბოსნიის აღმოსავლეთს, ჰერცოგოვინის აღმოსავლეთს, ბოსნიის ჩრდილოეთსა და დასავლეთ ბოსნიას. ტერიტორიას, რომელსაც ისინი ვერ აკონტროლებდნენ, ჩრდილოეთ ჰერცეგოვინა, დასახლებული იყო ხორვატებითა და მუსლიმებით, ცენტრალურ ბოსნიაში, ბიჰაჩთან ახლოს, ჩრდილო დასავლეთით.[1] სერბეთის არმიას ასევე შეეძლო დაეკავებინა სარაევო, თუმცა ისინი თავს არიდებდნენ ზიანის მიყენებას მისთვის, რადგან განიზრახავდნენ იქ დამკვიდრებას მომავალში, ხალხის უმრავლესობა კი ძირითად მიზნად ხედავდა უნიფიცირებას სერბეთთან ბოსნიის სერბული რესპუბლიკის, თუმცა სერბეთის მთავრობა ამას უარყოფდა იმ მიზეზით, აგრესორად არ შერაცხულიყვნენ და უპირატესობას ანიჭებდა არაპირდაპირ დახმარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1993 წელს და მოგვიანებით, კრაინის მოთხოვნა, რომ გამხდარიყო ბოსნიის სერბული რესპუბლიკის ნაწილი იგნორირებულ იქნა, ვინაიდან ამით მათი პრობლემების რიცხვი გაიზრდებოდა, კრაინა კი ისედაც ბელგრადის დაქვემდებარებაში იყო , სიცოცხლისუნარიანი ტერიტორია ხანგრძლივი პერსპექტივით.

ბოსნია ჰერცეგოვინის ასამბლეამ, სერბი დეპუტატების მონაწილეობის გარეშე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება 1991 წლის 14 ოქტომბერს, რათა გარკვეულიყო მისი მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობა, მომდევნო დღეს კი პარლამენტმა გამოსცა მემორანდუმი ბოსნიის სუვერენიტეტის შესახებ,[2] რის შესახებაც რადოვან კარაჯიჩმა განაცხადა, რომ ეს გამოიწვევდა გამანადგურებელ ომს.[3] ამავე დღეს ერთმანეთს მოსკოვში ხვდებიან მიხაილ გორბაჩოვი, ხორვატიის პრეზიდენტი ფრანიო

---

[1] **Bjarnason , Magnus**. The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995 , The main events, disagreements and arguments, resulting in a "de facto" divided country, 2001, გვ. 31.

[2] Turner B. (1998) Bosnia-Hercegovina. In: Turner B. (eds) The Statesman's Yearbook. The Statesman's Yearbook. Palgrave Macmillan, London, გვ. 254.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a "safe" area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 30.

ტუჯმანი და სერბეთის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, სადაც გააფრომეს შეთანხმება დაუყოვნებელი ცეცხლის შეწყეტის თაობაზე.[1]

რაც შეეხება ბოსნიას, ამავე დღეს წარმოდგენილი იქნა ასამბლეაზე მუსლიმური პარტია და ასევე ხორვატიის დემოკრატიული პარტია, რომლებმაც მიიღეს მემორანდუმი სუვერენიტეტის შესახებ, რის შემდეგაც სერბთა დემოკრატიულმა პარტიამ დატოვა სესია.

ხორვატიულმა მთავრობამ იუგოსლავიის სახალხო არმიას ტერიტორიის დასატოვებლად ვადა 10 ნოემბრამდე მისცა.[2] ისევე როგორც ოქტომბერში, ნოემბერში გამართული სამშვიდობო კონფერენცია იუგოსლავიის მოწყობის საკითხს ეხებოდა, ჯამში 8 სესია მიეძღვნა კონკრეტულად იუგოსლავიას, სამშვიდობო გეგმამ, რომელიც ლორდი კარინგტონის მიერ იყო შემოთავზებული , არ გაამართლა, ვინაიდან შეთამხმებას ვერ მიაღწიეს.

რაც შეეხება მიმდინარე სიტუაციას , სერბმა დეპუტატებმა ჰერცეგოვინაში გამოაცხადეს კრება სერბული ერის, ხოლო ნოემბერში კი სეპატატისტული პლებისციტის შედეგად სერბების 90 პროცენტმა მხარი დაუჭრა იუგოსლავიის საზღვრებში დარჩენას. კონფლიქტის პირობებში გაჩნდა 500 000 მდე ლტოლვილი და სხვადასხვა სახის მსხვერპლი, ადამიანები, რომლებიც ითხოვდნენ დაცვასა და დახმარებას. ხოლო უშუალოდ კონფლიქტის გამწვავების შემდეგ გაჩნდა ჰუმანიტარული სახის პრობლემები, ასევე ფართოდ გავრცელდა ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევები.

1991 წლის 8 ნოემბერს, რომში EC-ს მიერ სანქციები დაეკისრა იუგოსლავიას,[3] ამერიკის მხრიდანაც დადეკლარირებულ იქნა , რომ შემოღებული იქნებოდა ასევე სავაჭრო სანქციები, რის შემდეგაც გაერთანებულ ერებს იუგოსლავიამ მოსთხოვა შემოეყვანათ სამშვიდობო ძალები ხორვატიის სერბულ ნაწილში, მაშინ როცა

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 30.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 30.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 31.

ხორვატიული ნაწილი ითხოვდა , რომ მსგავს სამშვიდობო ძალებს უნდა დაეცვათ ლეგიტიმური საზღვრები.[1]

მოლაპარაკებები გრძელდებოდა ნოემბრის მიწურულსაც, ჟენევაში მიღწეულ იქნა შეთანხემება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ხოლო 27 ნოემბერს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ მიიღო 721-ე რეზოლუცია,[2] რომელიც ეყრდნობოდა 23 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დაცვას, მოლაპარაკებები გაგრძელდა დეკემბერში, ბრუსელის შეხვედრაზე, მიუხედავად რვა ნოემბრის სანქციებისა, გადაწყდა, რომ ეკონომიკური სანქციები არ გავრცელებულიყო ბოსნია ჰერცეგოვინაზე, მაკედონიაზე, სლოვენიასა და ხორვატიაზე, ფაქტობრივად სანქციები შეეხო მხოლოდ სერბეთსა და მონტენეგროს.

იუგოსლავიის შესახებ კონფერენცია გაგრძელდა დეკემბერში და მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ცნობილია ვენსის სამშვიდობო გეგმის სახელწოდებით, გეგმა ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტის, ხორვატიის სერბების და იუგოსლავიის სახალხო არმიის (JNA) კონტროლს დაქვემდებარებული ნაწილების დემილიტარიზაციას, დაუშვებდა ლტოლვილების დაბრუნებას და კონფლიქტის მუდმივ პოლიტიკურ დარეგულირებაზე მოლაპარაკებებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. გეგმის მიხედვით, ხორვატიაში განთავსდებოდა სამშვიდობო ძალები და შეიქმნებოდა უნპა ზონები(იუნაითიდ ნეიშენ პროტექტიდ არეას) , ასეთი იქნებოდა სამი მხარე: არმოსავლეთ სლავონია, დასავლეთ სლავონია და კრაინა.[3] პირველი შეთანხმება , რომელსაც ხელი მოაწერეს იუგოსლავიის თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვოლკო კადჯევიჩმა, სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა და ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა 1991 წლის 23 ნოემბერს ჟენევაში, შვეიცარიაში შედგა.[4] იმის გამო, რომ ცეცხლის შეწყვეტა

---

[1]Rome Declaration on Peace and Cooperation , Press CommuniquéS-1(91)86 Issued by the Heads of State and Government Participating in the meeting of the North Atlantic Council in Rome 8th Nov. 1991. https://www.nato.int/docu/comm/49-95/c911108a.htm

[2] UNSecurity Council 3018th Meeting Resolution S/RES/721November 27, 1991 .

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ.33

[4] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ.34

შეთანხმებული არ იყო, შემდგომი მოლაპარაკებები 1992 წლის 2 იანვრის ხელშეკრულების შემდეგ გაგრძელდა. სარაევოს, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ხელმოწერილი შეთანხმება გაფორმდა იუგოსლავიის სახალხო არმიის (JNA) ლეიტენანტის გენერალ ანდრია რაშტაას და ხორვატიის თავდაცვის მინისტრის მიერ, თუმცა მხარეებმა გეგმის დანარჩენი ძირითადი ასპექტების სრული განხორციელება ვერ შეძლეს.

უშიშროების საბჭოს შემდეგი რეზოლუცია[1] , რომელიც ადასტურებდა 713 რეზოლუციას[2] და მიღებულ იქნა 15 დეკემბერს, შეიცვავდა შესაძლო სამშვიდობო ოპერაციების გეგმებს.

მომდევნო დღეს მიღებული დეკლარაცია,[3] რომელიც ეხებოდა ახალი სახელმწიფოების აღიარებას და მიღებულ იქნა 16 თეკემბერს 1991 წლის, გახდა მიზეზი იმისა, რომ იუგოსლავიის წარმომადგენლობამ ევროპული საბჭო დაადანაშაულა საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ქარტიის დარღვევაში, რაც შეეხება მდგომარეობას , იგი კიდევ უფრო მწვავდებოდა , ვინაიდან ხორვატიაში არსებობდა ორი ენკლავი, სერბიის კრაინის ავტონომიური რეგიონი და ავტონომიური რეგიონი სლავონიის, ბარანია და დასავლეთ სრემი, თავიანთავს აცხადებდნენ როგორც სერბთა კრაინის რესპუბლიკად. ამ ორ ენკლავს საერთო საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ისინი საერთო ჯამში ხორვატიის მესამედს აკონტროლებდნენ , 300000 ადამიანის ჩათვლით, მოგვიანებით სლავონიის, ბარანიისა და სრემის ენკლავი სერბულ კრაინას შეუერთდა, ხოლო ბოსნია ჰერცეგოვინაში 21 დეკემბერს მიიღეს რეზოლუცია სერბების მიერ, რათა წარმოქმნილიყო ბოსნიის სერბული რესპუბლიკა იუგოსლავიის ფარგლებში.[4]

რეგიონში საერთაშორისო ჩართულობის პირველი ეტაპად მაინც უნდა მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ გამოცემული 727-ე რეზოლუცია. ის ითვალისწინებდა 50 ოფიცერის გაგზავნას იუგოსლავიაში, რომლებიც მოახდენდნენ ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგს და გარკვეულ სამზადისს დაიწყებდნენ ათი ათასი

[1]UN Security Council 3023rd Meeting Resolution S/RES/724 December 15, 1991.

[2] UN Security Council 3009th Meeting Resolution S/RES/713 September 25, 1991.

[3] Declaration on the `Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union' (16 December 1991) .

[4] Ramcharan B. G. The International Conference on the Former Yugoslavia: Official Papers, Volume 2 , გვ. 1267

ცისფერჩაფხუტინის ჩასაყვანად, ხოლო ევროსაბჭოს სამშვიდობო კონფერენციამ მუშაობა განაგრძო ბრიუსელში. ვინაიდან ეთნიკური კონფლიქტის რისკი ძალიან მაღალი იყო, მილოშევიჩი დათანხმდა საბჭოს გეგმას უმცირესობების უფლებების შესახებ, რაც თავისთავად აისახებოდა ხორვატიის სერბულ ნაწილზეც, თუმცა მილოშევიჩის ეს ქმედება დაგმობილ იქნა ბაბიკის მიერ, რომელიც კრაინას ედგა სათავეში.[1]

1992 წლის 10 და 12 იანვარს ჩადენილი დანაშაულის გამო, რომელიც გამოიხატებოდა კათოლიკური ეკლესიისა და რესტორნების დაბომბვაში , ასევე მსხვერპლი იყო ბარანიის რეგიონში, უნგრეთის საზღვართან, 14 იანვარს გაერთიანებული ერების 50 დამკვირვებელი ჩავიდა ბელგრადსა და ზაგრებში.[2]

კონფიქტის პრევენციის მიზნით, უსაფრთხოების საბჭომ, რეზოლუციის თანახმად, ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების თავდაცვის ძალები, წინასწარი თორმეტ თვიანი პერიოდით და დათანხმდა განეთავსებინა 13 000 ჯარისკაცი, რათა შეექმნათ შუა რგოლი სამშვიდობო ვითარების შესაქმენელად და უსაფრთხოებისთვის, რომელიც საჭირო იყო მთელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე.[3]

რაც შეეხება ბოსნია ჰერცეგოვინას, ჯერ კიდევ 25 იანვარს, ასამბლეის დებატებისას, რომელსაც სერბები განუდგა, გამოცხადდა რეფერენდუმის ჩატარების ვადა 29 თებერვლიდან პირველ მარტამდე, რის შედეგადაც, 29 თებერვალს 63 %-იანი [4] აქტივობით 99.4 5-მა მხარი დაუჭირა ბოსნია ჰერცეგოვინის სრულ დამოუკიდებლობას.

პირველ მარტსვე მოკლეს სერბული მხარის მიერ ოფიციალურად ომის პირველ მსხვერპლად დასახელებული ნეფის მამა ,ნიკოლა გარდოვიჩი, სარაევოს ბაშჩარშიას უბანში სერბთა ქორწილზე თავდასხმისას. სწორედ ამავე დღეს ბარიკადები იქნა სარაევოს ირგვლივ აღმართული, რომლის დემონტაჟი სამ მარტს მოხერხდა , თუმცა რადოვან კარაჯიჩის განცხადებით შეუძლებელი იქნებოდა ბოსნია ჰერცეგოვინა გაქცეოდა ეთნიკურ

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 37.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 38.

[3] UN Security Council 3055th Meeting Resolution S/RES/743 February 21, 1992.

[4]**Shoup, Paul.** The Bosnian Crisis of 1992.University of Virginia, June 23, 1992, P -28

ომს იმ შემთხვევაში , თუკი დამოუკიდებლობა იქნებოდა მოპოვებული,[1] რაც პრინციპში, სწორი პროგნოზი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომელიც მარტში დაიდო იმ დაძაბულობის ფონზე , რაც ბოსნია ჰერცეგოვინასა და ხორვატიაში ხდებოდა , ეყდრნობოდა კუტილიეროს გეგმას, რომელიც ეხებოდა რესპუბლიკის მომავალს და ითვალისწინებდა მის დაყოფას სამ ავტონომიურ გაერთიანებად.[2] მუსლიმთა მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ შეექმნათ განუყოფელი სახელმწიფო მხოლოდ მათი მმართველობის ქვეშ, და თუ ეს არ იყო შესაძლებელი, მაშინ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დიდი ნაწილი შეძენა. Cutileiro- ის გეგმით შესთავაზეს მათ ტერიტორიის 44%, რომლიც შეესაბამება მათ წარმომადგენლობას ქვეყანაში და მოიცავს ურბანულ რაიონებს მრავალი მინერალური, სამრეწველო და ინფრასტრუქტურული რესურსებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ მუსლიმურ მხარეს შესთავაზეს სამივე ქვეყნის უმრავლესობა.[3] სერბები ასევე სთავაზობდნენ 44% -ს ტერიტორიის, რომელიც მოსახლეობის წილზე მეტი იყო. თუმცა, მოცემული ტერიტორიები არ იყო განვითარებული, რაც შეეხება ხორვატებს, მათ იმაზე ნაკლები შესთავაზეს, ვიდრე მოსახლეობას შეეფარდებოდა, თუმცა ისინი მაინც დათანხმდენენ, ხოლო რაც შეეხება თავად იზეთბეგოვიჩს, ის მხოლოდ იმიტომ დაეთანხმა სარაევოს შეთანხმებას, რომ ეს გარკვეულად იყო წინაპირობა მომავალი დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, გარდა ამისა ევროსაბჭოს მედიატორები დაჟინებით მოითხოვდნენ შეერთებოდა ამ შეთანხმებას.[4]

საერთაშორისო ჩართულობის ფონზე, მნიშვნელოვანია აქვე შევეხოთ საბრძოლო მოქმედებების საკითხს, ვინაიდან ვითარება მაინც საკმაოდ დაძაბული რჩებოდა, რადგან ბრძოლები და შეტაკებები მთელი ბოსნიის ტერიტორიაზე გრძელდებოდა. 1992 წლის 25–26 მარტს სიეკოვაცში, ხორვატიის საზღვართან მოკლეს 12 სერბი სამოქალაქო პირი,

---

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 40.

[2] **Vranić, Igor.** “The International Community’s Peace Plans in Croatia and Bosnia and Herzegovina 1991-1995”. Croatian Studies Review 9 , 2013 , 44.

[3]**Vranić, Igor.** “The International Community’s Peace Plans in Croatia and Bosnia and Herzegovina 1991-1995”. Croatian Studies Review 9 , 2013 , გვ 44-45 .

[4] **Vranić, Igor.** “The International Community’s Peace Plans in Croatia and Bosnia and Herzegovina 1991-1995”. Croatian Studies Review 9 , 2013 , 45

თუმცა მათი მიზანმიმართული დახოცვა არ დადასტურდა, თვითმხილველების (მათ შორის სერბების) განცხადებით, ისინი სროლაში მოყვნენ, ან იარაღს ატარებდნენ. ასევე, სერბულ ფორმირებებსა და ადგილობრივებს შორის შეტაკებები მოხდა ცაპლინასთან 7 მარტს, ბოსანსკი ბროდში 15–24 მარტს და გორაჟდესთან 15 მარტს, არმიის არტილერიამ დაბომბა ნეუმი 19 მარტს, ხოლო მარტის ბოლოს სერბებმა დაიკავეს ბიელინა, სადაც სერბ მოხალისეთა გვარდიის შენაერთებმა ჩაატარეს ეთნოწმენდა – ადგილობრივი ბოსნიელები აიძულეს ქალაქი დაეტოვებინათ.[1] 3 აპრილიდან 11 აპრილამდე ბოსნიის ხორვატულ ქალაქ კუპრესთან მიმდინარეობდა ბრძოლა ბოსნიელ ხორვატ მებრძოლებსა და იუგოსლავიის არმიას შორის.[2] ბოსნიელ ხორვატებს სურდათ დახმარებოდნენ თავის თანამემამულეებს, რომლებიც კნინის კრაინაში სერბ სეპარატისტებს ებრძოდნენ და მოეხდინათ მათი ბლოკირება. ბრძოლა იუგოსლავიის არმიის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ბრძოლას ორივე მხრიდან 200–ზე მეტი ადამიანი შეეწირა.[3] ბოსნიელები და ხორვატები , რომლებიც ომის დასაწყისად სუადა დილბეროვიჩსა და ოლგა სუჩიჩის მკვლელობას ასახელებენ , სარაევოელ დემონსტრანტების, სწორედ 1992 წლის 5 აპრილის სამშვიდობო დემონსტრაციაზე მოკლეს სერბმა სნაიპერებმა სერბთა დემოკრატიული პარტიის შტაბბინის წინ, ხოლო ჯერ კიდევ წინა დღით 1200 ფრანგი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების სამშვიდობო ძალებისა ჩავიდა რიეკაში.

შემდეგი აქტი , რომელიც უშიშროების საბჭომ მიიღო , იყო 749 რეზოლუცია, რომელიც ამერიკის მიერ ბოსნიის აღიარების შემდეგ იქნა მიღებული, ეხმაურებოდა გენერალური მდივნის 2 აპრილის ანგარიშს , რომელიც იტყობინებოდა, რომ მეთაურ-ინსტრუქტორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ საჭიროებას მთლიანი ძალების განთავსების, შესაბამისად, მობილიზირებულ იქნა მთელი გაეროს მშვიდობისმყოფელთა ძალები. [4]

---

[1] Chronology of Events: September 1991 - July 1992, Research Directorate, Immmigration and Refugee Board, Canada, 1 July 1992. იხ. https://www.refworld.org/docid/3ae6a81114.html

[2] Chronology of Events: September 1991 - July 1992, Research Directorate, Immmigration and Refugee Board, Canada, 1 July 1992. იხ.: https://www.refworld.org/docid/3ae6a81114.html

[3] Chronology of Events: September 1991 - July 1992, Research Directorate, Immmigration and Refugee Board, Canada, 1 July 1992. https://www.refworld.org/docid/3ae6a81114.html

[4] UN Security Council 3066th Meeting ResolutionS/RES/749 April 7, 1992 .

დაძაბული ვითარების გამო ერთხმად უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკისა და ევრო საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის ცნობამ[1] სამშვიდობო ვითარებას კიდევ უფრო შეუშალა ხელი.

სარაევოს შემდეგ, მეორე ძირითადი ქალაქი, სადაც ეთნიკური ნიშნით მიმდინარეობდა ბრძოლები, გახდა ზვორნიკი, ბრძოლები ასევე იმართებოდა ვიშეგრადასა და ფოკაში, ხოლო დაფიქსირებულ იქნა უამრავი დარღვევა შენთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, განსაკუთრებით ოსიეკსა და ვინკოვში. 1992 წლის 15 აპირილისთვის სერბები აკონტროლებდნენ ბოსნია ჰერცეგოვინის 70 პროცენტს, ბრძოლები ასევე გაგრძელდა დერვენტში, მოასტარში, კაპლინსა და ბოსანსკი ბროდზე.[2] ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა მაისის დასაწყისში, როდესაც ბრძოლაში ჩაება საბრძოლო ტანკები და ნაღმმტყორცნები, ეს შეჯახებები ყველაზე ძლიერი იყო ბოსნიის კრიზისის დასაწყისიდან მოყოლებული. გარდა ამისა, სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავა სოფელი გრანკა, რასაც ადგილობრივთა მსხვერპლი მოჰყვა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დარღვევები გავრცელდა მთლიანად აღმოსავლეთ სლავონიაში, დაიჭრა 12 და მოკლულ იქნა 9 ვინკოვცის შეტაკებისას.[3]

5 მაისს სარაევოშო, მხარეებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომხდარიყო ბარიკადების დებლოკირება და მხარეებს შორის დაჭრილების, მოკლულებისა და სამხედრო ტყვეების გაცვლა, ხოლო მომდევნო დღეს გაიმართა ხორვატიული და სერბული მხარეების შეხვედრა, რადოვან კარაჯიჩი და მათე ბობანი ერთმანეთს ხვდებიან გრაცში და თანხმდებიან დროებით ზავზე ევროპული საბჭოს ზედამხედველობით.[4] ისინი ასევე თანხმდებიან ეთნიკურ დაყოფასა და ტერიტორიულ დაყოფაზე ბოსნია ჰერცეგოვინის და აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის ყველა საკითხი

---

[1] European Commission Press releases database , Press Release details.
http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-96-54_en.htm

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 46.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 47.

[4] Karađorđevo and Graz meetings/negotiations
http://www.bosniafacts.info/history/serbian-aggression/karadordevo-and-graz-meetings-negotiations

სამშვიდობო მიზნებისთვის უნდა იყოს გადაჭირილი, აღნიშნავდნენ , რომ მუსლიმების ინტერესები არ იყო შეთანხმების დროს გათვალისწინებული, თუმცა სერბების განცხადებით გამოყოფილი იქნებოდა მცირე ბუფერი, რომელსაც „ალიას საფაშო“ ეწოდებოდა.[1] მომდევნო დღეს, რვა მაისს, ხორვატიის ასამბლემა მიიღო საკონსტიტუციო კანონპროექტი ადამიანის, ეთნიკური, ეროვნული უმცირესობების უფლებათა ცვლილებების შესახებ ხორვატიის რესპუბლიკაში, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ორი სერბული ავტონომიური ოლქი -კნინი და გლინა- 11 მუნიციპალიტეტით, სადაც მოსახლეობის ნახევარი სერბი იყო, კანონი მიღებული იქნა 210 ხმით 14-ის წინააღმდეგ, თუმცა ეს ძირითადად შედეგი იყო იმისა, რომ ხდებოდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლა.[2]

15 მაისს კი გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლუცია 752, რომლის მიხედვითაც მხარეებს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტათ ცეცხლი ყოველგვარი შეყოვნების გარეშე, ასევე ყველა გარე ძალები ბოსნია ჰერცეგოვინაში უნდა შეჩერებულიყო, განეხორციელებინათ სწრაფი ქმედება, რათა დაესრულებინათ ჩარევა და დაკვირვება ტერიტორიულ მთლიანობაზე, ასევე იუგოსლავიის სახალხო არმიას ბოსნიის ტერიტორია უნდა დაეტოვებინა ან უნდა ემსახურა ბოსნიის მთავრობის ბრძანების ქვეშ. ტყვიები, სამხედრო არჭურვილობა კი უნდა გადასულიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, ხოლო არარეგულირებული ჯარები უნდა დაშლილო და განიარაღებულიყო, ასევე დაზღვეული უნდა ყოფილიყო პირობები იმისთვის, რომ ჰუმანიტარული დახმარება შეუფერხებლად მისულიყო კონფლიქტურ რეგიონში.[3]

მხარეებს შორის მიღწეული ზავი დაირღვა მას შემდეგ, რაც ბრძოლები გაგრძელდა სარაევოსა და ტუზლაში, ბოსნია ჰერცეგოვინის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა უსაფრთხოების საბჭოსგან რომ შექმნილიყო უსაფრთხო ზონა , თუნდაც იმის მსგავსი,

---

[1] Karađorđevo and Graz meetings/negotiations
http://www.bosniafacts.info/history/serbian-aggression/karadordevo-and-graz-meetings-negotiations

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 49.

[3]UN Security Council 3069th Meeting Resolution S/RES/752 May 15, 1992 .

როგორიც იყო ირანში ქურთების მიწა, იუგოსლავიის თავმჯდომარეობამ განიხილა რა 752 რეზოლუციის ტექსტი და ასევე გაერთიანებული ერების ანგარიში იუგოსლავიის შესახებ, ეცადა ბოსნია ჰერცეგოვინის კონფლიქტისგან გამიჯნულიყვნენ, ისინი აცხადებდნენ, რომ იყო მცდელობლები უსამართლოდ დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა სერბეთისთვის ეთნიკური ომის თაობაზე ბოსნია ჰერცეგოვინაში, 26 მაისს იუგოსლავიის ხელისუფლებამ გაუგზავნა წერილი გაერთიანებული ერების გენერალურ მდინავს ბოტროს გალის, წერილი წარმოადგენდა ანგარიშს იუგოსლავიის ზოგად პოზიციაზე მიმდინარე კრიზისში, ასევე, თუ რა მოიმოქმედა იუგოსლავიამ კონფლიქტის დასაძლევად, ის გამოხატავდა მთლიან თანამშრომლობას გაერთიანებულ ერებთან და ხაზს უსვამდა , რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მიზნები დაკავშირებულია გაერთიანებული ერების წესდებასთან, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ევროპაში და ასევე თანხვედრაშია მათი მიზნები იმ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც მიღებულ იქნა სამშვიდობო კონფერენციებზე იუგოსლავიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის შესახებ, ამასთანავე იუგოსლავიის არმიის ლიდერი და ასევე სერბების ლიდერი რადოვან კარაჯიჩი აცხადებდნენ, რომ მზად იყო არმია გამოსულიყო სარაევოდან თუ მათ საშუალება ექნებოდათ მშვიდობიანად ქალაქის დატოვებისა.[1]

მიუხედავად აღნიშნული განცხადებებისა, სარაევოს ირგვლივ გრძელდებოდა ბრძოლა, მოლაპარაკებები კი, რომელიც 21 მარტს დაიწყო ბოსნია ჰერცეგოვინის მომავალ კონსტიტუციურ მოთხოვნასთან დაკავშირებით, შეწყვეტილ იქნა ლისაბონში, კაუტილიეროს მიერ , მუსლიმი დელეგატების მოთხოვნის საფუძველზე.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საერთაშორისო ჩართულობის თვალსაზრისით გახლდათ ევროპული საბჭოს მიერ ემბარგოს დაწესების მოთხოვნა, გაერთიანებულ ერებს წარედგინა მოთხოვნა რომ სერბეთისთვის დაწესებულიყო ემბარგო საწვავზე და გაეყინათ მისი აქტივები, ამასთანავე გაჩნდა განცხადება თურქეთის პრეზიდენტის, თურგუთ ოზალის მხრიდან, რომ ბოსნია ჰერცეგოვინის კრიზისში ჩაბმულიყო ისეთი სამხედრო ორგანიზაცია,

[1] Resolutions and Decisions of the Security Council, Volumes 37-46
By United Nations, United Nations. Security Council, 1996 , გვ. 127.

როგორიც იყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი , რის შემდეგაც კი გამოგზავნიდა თურქეთი არმიას სწორედ ამ მიზნისთვის.[1]

უნდა ითქვას, რომ NATO 1992-95 წლებში მართლაც აქტიურად უჭედა მხარს იმ სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და რეზოლუციებს, რომლების საომარი მოქმედებს შესაჩერებლად მიმდინარეობდა , თუმცა ეს მხოლოდ გაერთიანებული ორგანიზაციის ძალისხმევთ ხდებოდა, პირველ ეტაპზე კი ალიანსი არ ყოფილა უშუალოდ ჩართული მიმდინარე პროცესებში, ვინაიდან მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში გაეროს უშიშროების საბჭო იღებდა მთავარ ვალდებულებას, ხოლო ნატო მზად იყო გამოხმაურებოდა შემდგომ ინიციატივებს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მხრიდან. ამასთანავე, ალიანსი მხარს უჭერდა გაეროს საჰაერო ძალებს და მასთან ერთად ახორციელებდა ისეთ ოპერაციებს, რომელთა მიზანი იყო ემბარგოს დაცვა ადრიატიკის ზღვაში, ასევე კონტროლს უწევდა სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციებს, რომლის მიზანი იყო ბოსნია და ჰერცეგოვინაში აკრძალული საჰაერო ზონის უზრუნველყოფა.[2] 1993 წლამდე ნატოს არ ჰქონდა განხორციელებული არავითარი ოპერაცია დამოუკიდებლად, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ 1992 წლის ივლისში 713 რეზოლუციის თანახმად , რომლის მიხედვითაც დაწესებული იყო იარაღის ემბარგო, დაიწყეს ოპერაციების ჩატარება სანქციების კონტროლის მიზნით.[3]

უშიშროების საბჭოს შემდეგი რეზოლუციით 757, წაყენებულ იქნა მოთხოვდა ფართო სანქციების იუგოსლავიის ფედერაციის წინააღმდეგ , რომელიც იმ დროისთვის წარმოდგენილი იყო მონტენეგროსა და სერბეთის სახით. რეზოლუცია ასევე ითხოვდა შექმნილიყო პირობები იმისა, რომ შეუზღუდავად მიეღო ჰუმანიტარული დახმარება სარაევოსა და ბოსნია ჰერცეგოვინის დანარჩენ ნაწილებს. რაც შეეხება სანქციებს, რეზოლუციის თანახმად ის შეეხო ყველა მიმართულებით, როგორებიცაა“ ტრანსპორტი, კომერციული აქტივები, ვაჭრობა, ასევე გაიყინა ყველა იუგოსლავიის საზღვარგარეთული

[1] U.N. Is Said to Be Ready On Yugoslav Sanctions. PAUL LEWISMAY 30, 1992 https://www.nytimes.com/1992/05/30/world/un-is-said-to-be-ready-on-yugoslav-sanctions.html

[2] Peace support operations in Bosnia and Herzegovina https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52122.htm

[3] UN SecurityCouncil 3009th Meeting Resolution S/RES/713 September 25, 1991 .

შემოსავალი. ასევე, შეჩერებულ იქნა იუგოსლავიის მონაწილეობა საერთშორისო სპორტულ ღონისძიებებზე, სამეცნიერო თუ ტექნიკური თანამშრომლობა, რაც შეეხება დიპლომატიურ საქმიანობას, ეს მიმართულებაც ლიმიტირებული გახდა.[1] აღნიშნულმა ვითარებამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობის ტალღა ბელგრადში, მილოშევიჩის წინააღმდეგ, რის საპასუხოდაც მილოშევიჩმა განაცხადა, რომ ეს იყო საზღაური იმისა, რომ ისინი სერბებს ეხმარებოდნენ სერბეთის გარეთ.[2]

დაკისრებულმა სანქციებმა საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია, რის შედეგადაცგენერალური მდივნის მისამართით გაგზავნილ იქნა წერილი, სადაც ხაზგასმულია, რომ სანქციები უგოსლავიას დაუწესდა ცრუ ბრალდებების გათვალისწინებით , რომელიც თითქოსდა ჩადენილი იყო ბოსნია - ჰერცეგოვინის მიმართ. რეალური სურათის საჩვენებლად კი ითხოვდა გაერთიანებულ ერებს გამოეგზავნათ დამკვირვებლები.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ თვეში მოხდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ოსლოში, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ნატოს ჯარები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც მშვიდობის დამცველები ნატოს არეალის ფარგლებს გარეთ და ასევე მიიღო სპეციალური რეზოლუცია სამხედრო ჩარევის შესახებ თუ ეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ იქნებოდა მოთხოვნილი.[4] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მსგავსი განცხადება წარმოადგენდა წინაპირობას იმისა, რომ თავისი არსებობის ისტორიის განმავლობაში, მან გადაწყვიტა სამხედრო პოტენციალის გამოყენება ნატოს საზღვრებს გარეთ.

უზენაისი საბჭოს მომდევნო რეზოლუცია 758 ეთანხმებოდა გაერთიანებული ერების თავდაცვის ძალების მანდატს და ასევე უზრუნველყოფდა როგორც დამკვირვებლების განთავსებას ტერიტორიაზე, ასევე ზედამხედველობა უნდა გაეწია თავიდანგახსნილი

---

[1] UN Security Council 3082nd Meeting Resolution S/RES/757May 30, 1992 .

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 54.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 55.

[4] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 55.

სარაევოს აეროპორტისათვის ჰუმანიტარული დახმარებისთვის,[1] ამასთანავე, დემოკრატიული ძალები ტოვებენ ბელგრადს, რათა სარაევოში შეთანხმება მიეღწიათ.[2] მიუხედავად იმისა, რომ სერბების განცხადებით აეროპორტის ზონიდან გაყვანილი ჰყავდათ ათობით ტანკი და საარტილერიო ფორმირებები მოლაპარაკებების ხელშესაწყობად, ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა.

შემდეგი რეზოლუცია, რომელიც იქნა მიღებული ევრო პარლამენტის მიერ, იუგოსლავიის შესახებ, აცხადებდა, რომ იუგოსლავიამ , როგორც 6 რესპუბლიკისგან შემდგარმა ფედერაციამ, არსებობა შეწყვიტა და სერბულ-მონტენეგრულ კავშირს არ შეეძლო ჰქონოდა რაიმე სახის პრეტენზია მის სამართალმემკვიდრეობაზე. ამით ევროპული პარლამენტი მტკიცედ ადანაშაულებდა ეთნიკურ ჰომოგენიზაციაში, რომელიც იძულებითი მიგრაციითა და არაუსაფრთხო გარემოთი იყო პროვოცირებული, ის აცხადებდა აგრეთვე, რომ იუგოსლავიის ეროვნულ არმიას არ ჰქონდა არანაირი ლეგალური საფუძველი არსებობისთვის და ის უნდა დაშლილიყო გაერთიანებული ერების კონტროლქვეშ, დანარჩენი სამხედრო ნაწილები კი ლეგიტიმურ მმართველებს უნდა დაქვემდებარებოდა.

სეპარატისტული ერთეულების წარმოშობის ადგილები, ჯერ ხორვატია , შემდეგში კი ბოსნია ჰერცეგოვინა , ახალი მიმართულებით იწყებს მოქმედებას, რაც გამოიხატებოდა საერთო კავშირში და დადებულ შეთანხმებაში, რათა მომხდარიყო მათი კუალიციის დაცვა სერბების წინააღმდეგ საბრძოლველად, შეთანხმებას სათავეში იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკების პრეზიდენტები ედგნენ სათავეში.

გაერთინებული ერების შემდეგი რეზოლუციით 760, გაუქმდა აკრძალვა საკვებსა და ჰუმანიტარულ პროდუქტებზე,[3] რომელიც დაწესებული იყო 757-ე რეზოლუციით[4].

---

[1]UN Security Council 3083rd Meeting Resolution S/RES/758 June 8, 1992 .

[2] გენერალი ლუის მაკენზი, რომელიც 1992 წლის 9 ივნისს ტოვებს 30 ადამიანთან ერთად ბელგრადს, ცდილობს სარაევოში მიაღწიოს შეთანხმებას ზავთან დაკავშირებით.

[3] UN Security Council 3086th Meeting Resolution S/RES/760 June 18, 1992

[4] გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს 757 რეზოლუცია, თავი IV .

ამასთანავე გაერო ახერხებს როგორც სერბებთან, ისე ბონია-ჰერცეგოვინასთან ერთნაირი სახის შეთანხმების მიღწევას, რომლის მიხედვითაც მძიმე არტილერიას უნდა დაეხია იმ პოზიციებზე, სადაც გაეროს მონიტორინგი ხორციელდებოდა.

მიუხედავად არაერთი რეზოლუციისა და მოლაპარაკებისა, სარაევოს ალყასა და მრავალ სხვა ლოკალურ ბრძოლას თან დაერთო ხორვატების მიერ კრაინის ტერიტორიის დაკავება, რომელიც გაეროს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, რაზეც გენერალურმა მდივანმა ნოთრედამმა მკაცრი გაფრთხილება გაუგზავნა ხორვატიას კნინსა და დრნინზე თავდასხმისთვის,[1] თუმცა ვითარება უფრო გამწვავდა მაშინ, როცა ხორვატების დამოუკიდებლობიდან ერთი წლის თავზე შეუტიეს კნინში სერბულ ციხესიმაგრეებს, მსხვერპლი საკმაოდ დიდი იყო. მსხვერპლი ასევე დიდი იყო სარაევოში , სადაც სერბების მხრიდან გახსნილმა ცეცხლმა, მოკლა 19 ადაიანი და დაჭრა 87. გაერომ სასწრაფოდ მოსთხოვა ცეცხლის შეწყვეტა სერბულ მხარეს და აეროპორტის დატოვება 48 საათის განმავლობაში,[2] თუმცა თუ ეს არ მოხდებოდა, გენერალურ მდივანს სხვა ალტერნატიულ გზებზე უნდა ეფიქრა.

ევროპული გაერთიანების სამიტზე ლისაბონში მიღებულ იქნა დეკლარაცია იუგოსლავიის შესახებ[3], რომელშიც მეორე დანართი მიეძღვნა ყოფილი იუგოსლავიის საკითხს. დეკლარაციაში ხაგასმულია, რომ ევროსაბჭო გმობს იმ ძალადობას, რაც იუგოსლავიის ტერიტორიაზე გრძელდება ერთი წლის მანძილზე და ანგრევს ტერიტორიას.[4] დეკლარაციის თანახმად, ევრო საბჭოს განსაკუთებით აწუხებს აეროპორტის საკითხი, რომელიც უნდა გახსნილიყო ჰუმანიტარულ მიზნებთან დაკავშირებით, 758 რეზოლუციის თანახმად,[5] რომელიც ვერ იქნა მიღწეული, ამიტომ აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება. რაზეც ევრო საბჭო იმედოვნებს, რომ

---

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 58.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 59.

[3] THE EUROPEAN COUNCIL LISBON 26-27 JUNE 1992 Documents in the dossier include: Lisbon European Council Reproduced from the Bulletin of the European Communities, No. 6/1992 .

[4]Annex II, 1.32, გვ. 22.

[5] UN Security Council 3083rd Meeting Resolution S/RES/758 June 8, 1992

კომპეტენტური შუამდგომი იქნება გაერო, რომელიც დაყოვნების გარეშე მიიღებს ყველა იმ ზომას, რომელიც საჭიროა. თავის მხრივ, ევროპული თანამეგობრობა და მისი წამომადგენელი ქვეყნები მზად არიან თანამშრომლობისთვის და დახმარებისთვის, ისინი არ გამორიცხავენ გაეროს ამ ჰუმანიტარული მიზნის მისაღწევად , გამოიყენონ სამხედრო ძალა.

ამასთანავე, ევროპის საბჭო რეზოლუციით აცხადებს, რომ მისი გადაწყვეტილება, დაეხმაროს ყოფილი იუგოსლავიის ხალხს, წარმოადგენს ევროპაში მშვიდობისკენ სწრაფვას და შეახსენებს ხაზგასმით, რომ ევროკომისიის იუგოსლავიის კონფერენცია, ლორდი კარინგტონის ხელმძღვანელობით, არის ერთადერთი ფორუმი, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს სამართლიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტა ყოფილი იუგოსლავიის იმ პრობლემებისა, რომელიც გამოწვევის სახით იდგა იმ მომენტისთვის.[1] იგი ასევე მოუწოდებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართულ ყველა მხარეს მაქსიმალური მონაწილეობისთვის მოლაპარაკებებში, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე.

მას შემდეგ, რაც ულტიმატუმი იქნა წაყენებული, შეიარაღებული დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა სარაევოსა და დობრინის მახლობლად, ასევე ჩრდილოეთ და ცენტრალურ ბოსნია-ჰერცეგოვინაში, რაც ძალზედ შემაშფოთებელი იყო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ამერიკის განცხადებით, თუ კი ბრძოლები კვლავ გაგრძელდებოდა, ამერიკა თანახმა იქნებოდა განეხილა ნებისმიერი მოქმედება.[2]

29 ივნისს გენერალურმა მდივანმა უსაფრთხოების საბჭოს წინაშე გააკეთა მოხსენება, რომლის მიხედვითაც, აეროპორტი უნდა დაეტოვებინა ბოსნიელ სერბებს და ასევე ორივე მხარეს მოეხდინა მძიმე იარაღის კონცენტრაცია იმ ლოკაციებზე, სადაც გაეროს კონტროლქვეშ აღმოჩნდებოდა, ხოლო კიდევ ერთი რეზოლუციით, 761[3], ხაზგაზმით აღინიშნა სარაევოსა და მის შემოგარენში ჰუმანიტარული დახმარების სწრაფი მიწოდების აუცილებლობა, გარდა ამისა, გენერალურ მდივანი აწესებს გაერთიანებული ერების

[1] THE EUROPEAN COUNCIL LISBON 26-27 JUNE 1992 Documents in the dossier include: Lisbon European Council Reproduced from the Bulletin of the European Communities, No. 6/1992 .

[2] Rigby, V. BOSNIA-HERCEGOVINA: THE INTERNATIONAL RESPONSE. January 1994

[3] UN Security Council3087th Meeting Resolution S/RES/761 June 29, 1992 .

ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელთა ძალების (UNPROFOR) დაუყოვნებლივ დამატებითი ელემენტების განთავსებას სარაევოს აეროპორტის უსაფრთხოებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის უზრუნველყოფისთვის , რომელიც ეთანხმება 1992 წლის 6 ივნისის ანგარიშს, ასევე სთხოვს ყველა მხარეს და სხვებს, ითანამშრომლონ UNPROFOR- თან და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სააგენტოებთან და ორგანიზაციებთან , რათა გარანტირებული იყოს ყველა საჭირო ზომის მიღება მათი პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ამგვარი თანამშრომლობის არარსებობის შემთხვევაში უშიშროების საბჭო არ გამორიცხავს სარაევოსა და მის შემოგარენში ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის სხვა ზომების მიღებას.

იმავე დღეს სერბებმა დატოვეს აეროპორტი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა მედიკამენტებითა და საკვებით სავსე ფრანგული თვითმფრინავის დაშვება, თუმცა სარაევოს შემოგარენში ბრძოლები კვლავაც გრძელდებოდა.

საერთაშორისო ჩართულობა უფრო ძლიერდებოდა, რაც გამოიხატა კანადური კონტიგენტითა და ფრანგული სადესანტო-დივერსიული ნაწილის ჩამბით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.[1]

30 ივნისს ბუდაპეშტის სესიაზე ევროსაბჭომ გადაწყვიტა, რომ იუგოსლავიას უარი უნდა ეთქვა სპეციალურ სტუმრის სტატუსზე, რომელიც 1989 წლიდან ჰქონდა მოპოვებული და შეერთებოდა რეზოლუციას, რომელიც კიცხავდა მას იმ მკვლელობისთვისა და ზიანის მოტანისთვის, რომელიც ბოსნია ჰერცეგოვინის მოქალაქეებს მოუტანა.

უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციით 762 მოუწოდებს იუგოსლავიის სახალხო არმიის დარჩენილი შენაერთები, სერბეთის ტერიტორიული შეიარაღებული ძალებს ხორვატიაში და სხვებს, რომლებმაც უნდა იმოქმედონ გაეროს სამშვიდობო გეგმის შესაბამისად კერძოდ, გაიყვანონ განურჩევლად ყველა ძალები და გეგმის შესაბამისად მოხდეს მათი განიარაღება.[2]

---

[1] Canadian Forces Operations in Bosnia-Herzegovina, May 10, 2007
http://www.forces.gc.ca/en/news/article.page?doc=canadian-forces-operations-in-bosnia-herzegovina/hnps1u07
[2] UN Security Council 3088th Meeting Resolution S/RES/762 June 30, 1992.

▪ მოუწოდებს ხორვატიის მთავრობას და დანარჩენებს, რომ შეასრულონ გენერალური მდივნის მოხსენების 16-ე პუნქტში მითითებული ქმედება და მიმართავს ყველა მხარეს გაეროს გენერალური მდივნისათვის მისი გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

▪ უფლებას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავცვის ძალების გაძლიერებას დამატებით სამოცი სამხედრო დამკვირვებლებისა და ას ოცი სამოქალაქო პოლიცით, რომლებიც შეასრულებენ გენერალური მდივნის მოხსენების 16-ე მუხლში გათვალისწინებული ფუნქციებებს .

▪ კიდევ ერთხელ ადასტურებს 713 (1991) რეზოლუციის მე -6 პუნქტში გამოყენებულ ემბარგოს, 724 (1991) რეზოლუციის მე -5 პუნქტს და 727 (1992) რეზოლუციის მე -6 პუნქტს;

▪ მხარს უჭერს გენერალური მდივნის მოხსენების 18-ე პუნქტში გამოთქმულ მოსაზრებებს იმ მძიმე შედეგებზე, რომელიც გაეროს სამშვიდობო გეგმის კოლაფსს მთელ რეგიონშიმოჰყვება;

▪ კვლავ მოუწოდებს ყველა მხარეს, რომელიც ითანამშრომლებს იუგოსლავიის კონფერენციასთან და დაეხმარება მისი მიზნის მიღწევაში, რომელიც შეესაბამება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის პრინციპებს და ადასტურებს, რომ გაეროს სამშვიდობო გეგმა და მისი განხორციელება არანაირად არ განიზრახავს განსაზღვროს და დაადგინოს პოლიტიკური პირობები.

4 ივლისს ბადენტერის კომისიამ[1] ჩამოაყალიბა სამი შეხედულება , რომელიც პასუხობდა ლორდი კარინგტონის 1992 წლის 18 მაისის წერილში დასმულ კითხვაზე, ღირდა თუ არა , დაშლის პროცესი გამოცხადებულიყო დასრულებულად.[2] პირველი

---

[1] ბადენტერის კომისია (ოფიციალური ინგლისურენოვანი სახელწოდება: Arbitration Commission of the Peace Conference on the Former Yugoslavia, ასევე Badinter Arbitration Committee) იყო ევროპის თანამეგობრობის სამშვიდობო კონფერენციების იურიდიული საკითხების დამდგენი მსაჯული კომისია მიძღვნილი 90–იანი წლების იუგოსლავიისადმი. ეს კომისია 1991 წლის 27 აგვისტოს შეიქმნა ევროპის გაერთიანებაში და მისი სახელი ფრანგი საკონსტიტუციო მოსამართლის რობერ ბადენტერის გამო დაერქვა მას. რობერ ბადენტერი თავმჯდომარეობდა ამ კომისიას და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის, იტალიის, ესპანეთისა და ბელგიის წამყვანი საკონტიტუციო მოსამართლეები.

[2] THE EUROPEAN COMMUNITY ARBITRATION COMMISSION ON YUGOSLAVIA"" By MATTHEW C. R. CRAVEN, გვ. 369.

შეხედულებით[1], კომისიამ განიხილა , რომ იუგოსლავიის დაშლის პროცესი უახლოვდება დასასრულს და უფრო მეტიც უნდა ითქვას რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა აღარც არსებობდა. რაც შეეხება მომდევნო მოსაზრებას, №9 მოსაზრებით, კომისია მიიჩნევს, რომ მისი მემკვიდრეები ვალდებულნი უნდა იყვნენ წამოვიდნენ ნებისმიერ პირობაზე და შეთანხმება მიღაწიონ ზემოხსენებულთან დაკავშირებულ ყველა საკითხის ირგვლივ და ბოლოს, სერბეთი და მონტენეგრო წარმოადგენენ ახალ სახელმწიფოებს და ისინი არ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები იუგოსლავიისა და წევრი ქვეყნების ნაწილის შესაძლო აღიარება დამოკიდებული იქნება ზოგადი საერთაშორისო სამართლის პირობებით, აგრეთვე დეკლარაციისა და 1991 წლის 16 დეკემბრის დირექტივების მიხედვით.[2]

გარდა იმისა, რომ ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომი ერთი სიუჟეტით წარიმართა, სადაც მთავარ სეპარატისტულ ძალად სერბები გვევლინებიან, უნდა გამოიყოს კიდევ ერთი მხარე კონფლიქტისა, რომელიც უკავშირდება ჰერცეგ-ბოსნას ხორვატთა რესპუბლიკის სახელს. ტერმინი მეოცე საუკუნიდან გამოიყენებოდა , როგორც ბოსნიისა დაჰერეცეგოვინის ტერიტორიის აღსანიშნად, 90-იანების დასაწყისში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხორვატების დემოკრატიული გაერთიანება (ხორ. Hrvatska demokratska zajednica Bosne i Hercegovine; HDZ BiH) იყენებდა ამ ტერმინს იგივე მნიშვნელობით. ჰერცეგ-ბოსნიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კი მან უკვე კონკრეტული მნიშვნელობა შეიძინა. მისი გამოცხადებული საზღვრების ფარგლებში, ჰერცეგ-ბოსნიამ ქვეყნის 30% მოიცვა, მაგრამ არ გააჩნდა ეფექტური კონტროლი მთელ ტერიტორიაზე და მისი ნაწილები დაიკარგა ბოსნიის ომის დასაწყისში. ჰერცეგ-ბოსნიის შეიარაღებული ძალები, ხორვატიის თავდაცვის საბჭო (HVO) 1992 წლის 8 აპრილს შეიქმნა და

[1] არსებული ათი შეხედულებიდან , იგულისხმება შეხედულება ნომერი 8 , რომელიც ეხებოდა იუგოსლავიის დაშლის პორცეცის დასასრულს.

[2] Council of the European Union , Council Directive 91/672/EEC of 16 December 1991 on the reciprocal recognition of national boatmasters' certificates for the carriage of goods and passengers by inland waterway , Document 31991L0672
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31991L0672

თავდაპირველად იბრძოდა ბოსნიკებთან ერთად, თუმცა მათი ურთიერთობები გაუარესდა 1992 წლის ბოლოს, რამაც ხორვატებისა და ბოსნიაკების ომი გამოიწვია.

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ 1992 წლის 14 სექტემბერს ჰერცეგ-ბოსნა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.[1] ჰერცეგ-ბოსნიამ ოფიციალურად აღიარა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობა და სახელმწიფოში ფუნქციონირებდა სახელმწიფო, ხოლო ზოგიერთმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ერთეულის გამოყოფას და მის გაერთიანებას ხორვატიასთან.

სწორედ სამ ივლისს , გრუდში გამართულს სესიაზე ხორვატიული ჰერცეგ-ბოსნას ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბოსნია ჰერცეგოვინაში ჩამოყალიბებულიყო „ხორვატიული სახელმწიფო“ , რომელსაც ექნებოდა საკუთარი დროშა და ეყოლებოდა შეიარაღებული ძალები, საპასუხოდ კი ბოსნიის მთავრობამ გამოაცხადა ხორვატიის მინი -სახელმწიფო მოღალატედ და მისი ქმედება შეაფასა სუსტ მცდელობად, სერბებისთვის გაეწიათ წინააღმდეგობა.[2] რაც შეეხება ხორვატიის პრეზიდენტ ფრანიო ტუჯმანს, თავის მხრივ, იგი მხარს უჭერდა ბოსნიის დამოუკიდებლობას, თუმცა სერბების აგრესიის წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ, ასევე ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ომი ამ დროისთვის ხორვატიაში სრულიად დასრულებული იყო. ბოსნია - ჰერცეგოვინაში ამგვარ ვითარებას ეხმაურებოდა 7 ივლისის სამიტი მიუხენში, რომელმაც წარადგინა ანგარიში , რომელიც მიმართული იყო სერბეთისა და ხორვატიის წინააღმდეგ, რათა პატივი ეცათ ბოსნიის ტერიტორიული მთლიანობისთვის.[3]

დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების შემდეგ მცდელობას წინ უძღვოდა იუგოსლავიის პრემიერად მილან პანიჩის არჩევა, რომელმაც სცადა ხელისუფლების ფორმირება და წარმაოდგინა ძირითადი პრინციპები თავისი პროგრამის, რომელიც ითვალისწინებდა ომის დასრულებას და მულტინაციონალური საზოგადოების

---

[1] BosniaFacts, History Croatian aggression, So-called Herzeg-Bosnia.
ინტ. რეს: http://www.bosniafacts.info/history/croatian-aggression/so-called-herzeg-bosnia

[2] Ingrao, Charles W., Emmert, Thomas Allan. Confronting the Yugoslav Controversies: A Scholars' Initiative, Purdue University Press, 2013, გვ. 124.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 62.

ფორმირებას , თავისუფალი პრესისა და უფლებათა დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებას , ასევე ეკონომიკის გამოცოცხლებას.

თავად ბოსნია ჰერცეგოვინის წარმოდგენილი სამი მხარე მოლაპარაკებების სერიას განაგრძობდა ლონდონში, სადაც პრეზიდენტი რადოვან კარაჯიჩი, პრემიერ-მინისტრი სილაჯიჩი და მათე ბობანი ხელს აწერენ შეთანხმებას ბოსნია ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ცეცლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდოდა 19 ივლისს, 6 საათზე. მიუხედავად შეთანხმებისა, ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა და ცეცხლის შეწყვეტის ამოქმედებამდე სერბები ცდილობდნენ ტერიტორიების გაფართოვებას.

ბოსნიელმა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს სერბებზე სარაევოს მიმდებარედ, ამასთანავე ბიბისისთან ინტერვიუში იზეთბეგვიჩმა უარყო ევროსაბჭოს რჩევა დაეწყო მოლაპარაკებები და ამასთანავე, კარაჯიჩი შეადარა ჰიტლერს, ეთნიკური წმენდის პოლიტიკით.[1] ბოსნიელების იერიში დანაკარგით დასრულდა, დაიღუპა 100-150 ჯარისკაცი.[2]

შემდეგი რეზოლუცია, რომელიც 7 აგვისტოს იქნა დადგენილი, განიხილავდა 1992 წლის 27 ივლისის გენერალური მდივნის მოხსენებას, რომელშიც გენერალური მდივანი ურჩევს გარკვეული გაფართოებები მოხდეს თავდაცვის ძალების მანდატისა და ძალაუფლების შესახებ, ასევე რეზოლუციამ მხარი დაუჭირა თავდაცვის ძალების გაფართოვებას, რომელიც რეკომენდირებული იყო გენერალური მდივის ანგარიშით. დაგმო სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევები, განსაკუთრებით ეთნიკურ ნიადაგზე, როგორც ეს აღინიშნა გენერალური მდივნის მოხსენების 14-16 პუნქტებში.[3]

---

[1] Burns, John F. Bosnian government forces fail to break through Serbian lines around Sarajevo Gloom casts a pall on besieged capital. AUGUST 2, 1992
https://www.baltimoresun.com/news/bs-xpm-1992-08-02-1992215017-story.html

[2] Burns, John F. Bosnian government forces fail to break through Serbian lines around Sarajevo Gloom casts a pall on besieged capital. AUGUST 2, 1992
https://www.baltimoresun.com/news/bs-xpm-1992-08-02-1992215017-story.html

[3] UN Security Council 3104th Meeting Resolution S/RES/769 August 7, 1992 .

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული, რომელიც ევრო საბჭოს რეზოლუციით დაგმობილ იქნა, ბოსნიის კრაინაში [1] ეთნიკური წმენდა გრძელდებდა, ხოლო სარაევოდან სერბებმა უფლება მისცეს მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს დაეტოვებინათ ქალაქი. ამასთანავე, ხორვატია-სერბეთის საზღვართან გაგრძელდა ბრძოლები, რომელსაც შეეწირა 20 სერბი და ათობით ხორვატი.

უშიშროების საბჭო, რომელიც შეშფოთებული იყო სარაევოში არსებული მდგომარეობთ, გამოიტანა დადგენილება 770 , რომლის მიხედვითაც 1992 წლის 10 აგვისტოს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი (S / 24401) წერილით , კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის გადაუდებელი მოლაპარაკებების პოლიტიკური გადაწყვეტის აუცილებლობა, რათა უზრუნველყოს ქვეყანის საზღვრებში მშვიდობა და უსაფრთხოება.[2]

- კვლავ დაადასტურა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა.
- დადგინდა , რომ ბოსნია და ჰერცეგოვინაში არსებული მდგომარეობა საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჰუმანიტარული დახმარების გაწევასა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის საქმეში საბჭოს დიდი წვლილი აქვს.
- ასევე, აფასებს სარაევოში არსებული სიტუაციას, რომელმაც სერიოზულად გაართულა გაეროს მშვიდობისმყოფელთა ძალისხმევა თავისი მანდატის შესრულების უზრუნველსაყოფად, სარაევოს აეროპორტის უსაფრთხოებისა და ფუნქციონირებისთვის, ასევე სარაევოსა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სხვა ნაწილებში ჰუმანიტარული დახმარების გაწევის უზრუნველსაყოფად, რომელიც ეთანხმებოდა 743 , (1992), 749 (1992),

[1] ისტორიული ნაწილი ბოსნიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში , რომელიც ბოსნიის ომის დროს გაყოფილი იყო ბოსნია ჰერცეგოვინას, ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკასა და დასავლეთ ბოსნიის ავტონომიურ პროვიციას შორის.

[2] UN Security Council 3106 Meeting Resolution S/RES/770 August 13, 1992 .

761 (1992) და 764 (1992) რეზოლუციებს და მასში მითითებული გენერალური მდივნის მოხსენებებს.

▪ გააუქმა პირობები, რომლებიც ხელს უშლის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიმართულებით ჰუმანიტარული ტვირთის მიტანას , ღრმა შეშფოთებას გამოხატავს ბანაკებში, ციხეებში და პატიმრობაში მყოფი მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი მოპყრობის შესახებ.

▪ დადგინდა, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას ჰუმანიტარული დახმარების საჭირო პირობები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, 764 რეზოლუციის თანახმად(1992)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის გათვალისწინებით ,კვლავ ადასტურებს თავის მოთხოვნას, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ყველა მხარემ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბრძოლა.

▪ მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ეროვნულ დონეზე ან რეგიონალური სააგენტოების მეშვეობით გაატარონ ყველა ზომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კოორდინაციაში გაწევრიანების უზრუნველსაყოფად , მოითხოვს ყველა ბანაკში, ციხესა და პატიმრობის ცენტრებში უწყვეტი წვდომის უფლება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და სხვა შესაბამის ჰუმანიტარულ ორგანიზაციების, რათა დაუყოვნებლივ ყველა დაკავებულს ჰქონდეს საშუალება მკურნალობისა , საკვების, თავშესაფარისა თუ სამედიცინო დახმარების მიღებისა.

იმავე დღეს, უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა მომდევნო რეზოლუცია, 771, რომლის მიხედვითაც საბჭო განგაშით აღნიშნავს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მომხდარი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფართოდ გავრცელებული დარღვევებს, მათ შორის გამოყოფს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გაძევების, მოქალაქეების დეპორტაციის, პატიმრობისა და დაკავების იზოლატორებში შეურაცხყოფის ფაქტებს, განზრახ თავდასხმები არასამხედრო პირებზე ,საავადმყოფოებსა და სასწრაფო

დახმარების მანქანებზე, რაც ხელს უშლის სურსათის მიწოდებასა და სამედიცინო დახმარების მიღებას სამოქალაქო მოსახლეობას,[1]

კვლავ ადასტურებს, რომ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, კერძოდ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები[2] და ისინი, ვინც უხეშად არღვევს მას, პასუხისგებაში მიეცემიან ინდივიდუალურად .

იგი ასევე მკაცრად გმობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას, მათ შორის, "ეთნიკური წმენდის" პრაქტიკაში ჩართულ პირებს;

მოუწოდებს სახელმწიფოებს და შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, გააჩნდეთ დასაბუთებული ინფორმაცია ან წარუდგინონ მათ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებთან დაკავშირებით ცნობები, მათ შორის ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები . და ბოლოს, ამტკიცებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის თანახმად, ყველა მხარე ყოფილი იუგოსლავიის და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ყველა სამხედრო ძალა უნდა დაეთანხმონ წინამდებარე რეზოლუციის დებულებებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში საჭირო გახდება საბჭომ ქარტიის ფარგლებში შემდგომი ღონისძიებები გაატაროს.

ომის პირველი ფაზის ბოლო ეტაპზე, ანუ 1992 წლის მეორე ნახევარში საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მოხერხდა იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილობრივი გაყვანა ბოსნიიდან.[3] მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ იქნა ჯარი გაყვანილი, პირველი მასიური ხოცვა მოხდა სარაევოში პურის ხაზის მოლოდინში, როგორც საერთაშორისო მედია იუწყებოდა ეს იყო "ეთნიკური წმენდა", ამასთანავე, შექმნილი იყო სასიკვდილო ბანაკები და ადგილი ჰქონდა მასობრივ გაუპატიურებას.

---

[1]UN Security Council 3106th Meeting Resolution S/RES/771 August 13, 1992 .

[2] THE GENEVA CONVENTIONS OF 12 AUGUST 1949, INTERNATIONAL COMMITTEE OF THE RED CROSS https://www.icrc.org/en/doc/assets/files/publications/icrc-002-0173.pdf

[3] Chronology for Serbs in Bosnia. 2004. Minorities at Risk Project, *Chronology for Serbs in Bosnia*, 2004, available at: https://www.refworld.org/docid/469f386dc.html [accessed 27 July 2019]

ბოსნიელი სერბები ტერიტორიის 70 პროცენტს ინარჩუნებენ.[1] გაჩნდა ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო დიდი ნაწილი ბოსნიის "გაიწმინდა" ყველა არასერბი მოსახლეობისგან, ასევე შეიქმნა ბანაკები პრიჟედორის ჩრდილო-დასავლეთით, სერბეთის ხელისუფლების მიერ, სადაც 7 000-ზე მეტი არა სერბი იყო დაკავებული, ნაწილი აწამეს ან დახოცეს.[2] უმსხვილესი, ომარსკაში, მოგვიანებით ის კლასიფიცირდება Human Rights Watch-ის მიერ საკონცენტრაციო ბანაკად.[3] მოლაპარაკების მოგვარების პირველი ინიციატივა, რომელსაც ესწრებოდა სამი ნაციონალისტური პარტიის ლიდერი ბოსნიის მთავრობაში შეთანხმებისთვის, თუმცა მიღწეული ვერ იქნა. 1992 წლის აპრილში, მთელი ქვეყნის მასშტაბით უკიდურესი ძალადობა დაიწყო. ბოსნიისა და ხორვატის ძალები პირველად მოქმედებდა სერბეთის დომინირებული იუგოსლავიის სახალხო არმიის წინააღმდეგ (JNA) , ალყაში მოაქციეს სარაევო და დაიწყო ხშირი ნაღმტყორცნების გამოყენება ქალაქის მიმდებარედ. ამავდროულად, ბოსნიელმა სერბმა მებრძოლებმა და არარეგულარულმა ფორმირებებმა სერბეთიდან ჩაატარა ეთნიკური წმენდის კამპანია, თავდაპირველად აღმოსავლეთით , შემდეგ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ბოსნიის ეთნიკურად ერთგვაროვანი სერბეთის ტერიტორიის შექმნის მიზნით სისტემატურად განადგურდა მუსლიმური და კათოლიკური ღვთისმსახურების ადგილები.

ევროკავშირისა და გაეროს ძალისხმევა წარუმატებელი აღმოჩნდა, 1992 წლის ივლისში ბოსნიელი ხორვატების მიერ გამოცხადდა ავტონომიური ჰერცეგ ბოსნა, რომელსაც ტერიტორიის 30% ეკავა და უკვე 1992 წლის ოქტომბერში ძალადობრივი ხასიათის კონფლიქტი დაიწყო ხორვატებსა და ბოსნიას შორის, რის შედეგადაც შემდგომი ეთნიკური წმენდა ჩატარდა. ასევე ,განადგურდა ისტორიული და რელიგიური ძეგლები.

---

[1] Chronology for Serbs in Bosnia. 2004 Minorities at Risk Project, *Chronology for Serbs in Bosnia*, 2004, available at: https://www.refworld.org/docid/469f386dc.html [accessed 27 July 2019]

[2] THE ROLE OF THE PRIJEDOR AUTHORITIES DURING THE WAR AND AFTER THE SIGNING OF THE DAYTON PEACE AGREEMENT, The "Crisis Committee"and Co-Conspirators. HRW Reports ,1997 https://www.hrw.org/reports/1997/bosnia/Bosnia-03.htm

[3] THE ROLE OF THE PRIJEDOR AUTHORITIES DURING THE WAR AND AFTER THE SIGNING OF THE DAYTON PEACE AGREEMENT, The "Crisis Committee"and Co-Conspirators. HRW Reports ,1997 https://www.hrw.org/reports/1997/bosnia/Bosnia-03.htm

1992 წლის დეკემბერში გაეროს ადამიანის უფლებების კომისიამ განაცხადა, რომ ბოსნიელი სერბები დიდწილად პასუხისმგებლები არიან ადამიანის უფლებების დარღვევის გამო BIH- ში და გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც დაგმეს მიმდინარე ვითარება.

თავი IV

სერბულ - ხორვატული „მშვიდობა“

რეგიონში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში იგულისხმება ომი ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის, რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა სერბო ხორვატიული კონფლიქტი და ბოსნიის ომი , რომელიც ერთი სცენარით წარიმართა, 1992 წლის მარტის ბოლოს, ხორვატიის შეიარაღებული ძალები მზადაა შეცვალოს არასტაბილური მდგომარეობა. ამგვარად დაიწყო ომის მეორე ეტაპი, რომელიც მოიცავდა განმათავისუფლებელ ოპერაციებს, ძალების სტრატეგიულ ბალანსის შესაცვლელად . პირველი მიზანი იყო დუბროვნიკის დაბლოკვა და თავისუფალი სამხრეთ ხორვატია. 1992 წლის შუა პერიოდში ხორვატიაში დაძაბულობის კვლავ გაგრძელდა, ასევე მეზობელ ბოსნიაშიც, სადაც რესპუბლიკის ეთნიკური სერბები, მუსულმანები და ხორვატები წარმოადგენდნენ აქტორებს. ბოსნიის კონფლიქტმა ყველა მხრიდან ჩაითრია მონაწილეები, მათ შორის ხორვატია, რომელიც ბოსნიელ ხორვატებს მხარს უჭერდა.

ვითარების დარეგულირების საკითხში უნდა გამოიყოს ძირითადი სერბო-ხორვატული სამშვიდობო შეთანხმებები, რომელიც ომის ფონზე იქნა დადებული.

როგორც აღინიშნა, პირველი ასეთი შეთანხმება იყო 1992 წლის 6 თებერვალი, როდესაც ფრანიო ტუჯმანი, საირუს ვანსისადმი წერილში, აცხადებს ,რომ მისი მთავრობა

მზადაა სრულად დაეთანხმოს გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებას.[1] მეორე ეს იყო 1992 წლის 11 თებერვალი, როდესაც გაეროსთან თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარემ ბორისავ ჯოვიჩმა განაცხადა, რომ„ ლურჯჩაფხუტიანების შემოსვლას წინ არაფერი უდგას '', რადგან იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო სამშვიდობო გეგმა 31 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით სამდღიანი სესიის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ოპოზიცია გამოუჩნდა სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მილან ბაბიკის სახით.[2]

საბოლოო ჯამში, პარლამენტის თავმჯდომარემ მილე პასპალმა ხმა მისცა სამშვიდობო გეგმას ბაბიკის ნაცვლად. ამის შემდეგ , 1992 წლის 29 ივლისს ბრიტანეთის ფრეგატ "Avenger"-ზე, ადრიატიკის საერთაშორისო წყლებში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (გენერალი სტუპარი) და ხორვატიის სამხედრო წარმომადგენლებმა (გენერალი ბობეტკო) განიხილეს დუბროვნიკის რეგიონიდან იუგოსლავიის სახალხო არმიის გაყვანის საკითხი და პრევლაკის ნახევარკუნძულის სტატუსი.[3] 1992 წლის 8 აგვისტოს იუგოსლავიის ახლადარჩეული პრემიერ-მინისტრი მილან პანიკი ბუდაპეშტში ხორვატიის პრემიერ-მინისტრს ფრანიო გრეგორიჩს შეხვდა. ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო პატიმრების გაცვლისა შესახებ, რაც შემდგომში, პანიკ(ჩ?)(Panic) ის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.[4]

1992 წლის 28 სექტემბერში ბელგრადში, საირუს ვანსმა და დევიდ ოუენმა დობრიკა კოსიჩთან შეთანხმებას მიაღწიეს ფრანჩო თუდჯმანთან შეხვედრის შესახებ, ხოლო 1992 წლის 30 სექტემბერს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (SRJ) პრეზიდენტმა დობრიკა კოსიჩმა და ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ლონდონის კონფერენციაზე არსებული საზღვრების

---

[1] Trifunovska , Snežana. Yugoslavia Through Documents: From Its Creation to Its Dissolution, Martinus Nijhoff Publishers, Jan 1, 1994 , გვ. 505.

[2] The Yugoslav Crisis in International Law, Part 1, Cambridge University Press, Jul 28, 1997, გვ. 496.

[3] Svarm, Filip . Potholes on the ``Peace Highway'', October 17, 1994 Vreme News Digest Agency No 160 . http://www2.scc.rutgers.edu/serbiandigest/160/t160-3.htm

[4] International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the former Yugoslavia since 1991, Case No.: IT-95-5/18-T , 13 December 2012 Original: English. გვ. 2. http://www.icty.org/x/cases/karadzic/tdec/en/121213.pdf

ურღვევობასთან დაკავშირებით შეთანხმებას დაიცავდნენ, ამასთანავე შეთანხმდნენ, რომ ყველა დევნილს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფრო გადამწყვეტი ქმედებები გაეროს სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობით განხორციელდებოდა; შეთანხმდნენ, რომ იუგოსლავიის სახალხო არმია 20 ოქტომბრიდან ვენსის გეგმის შესაბამისად დატოვებდა პრევლაკს და ტერიტორიის უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა დემილიტარიზაციისა და დამკვირვებლების განლაგების გზით; შეთანხმდნენ, რომ მთავრობათშორისი კომიტეტები განიხილავენ ყველა გადაუჭრელ პრობლემას; ასევე, ჩატარდა ვალდებულება, რომ განახორციელონ მაქსიმალური ძალისხმევა ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამართლიანი და მშვიდობიანი შეთანხმების მისაღწევად, დაიგმო ეთნიკური წმენდა და ორივე მხარე მიესალმებოდა შეთანხმებით საერთაშორისო დამკვირვებლების ჩასვლას იუგოსლავიის ტერიტორიაზე.[1]

სწორედ ასეთი იყო ის შეთანხმებები და მოლაპარაკებათა მცდელობები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის პირველ ფაზაში.

თავი V

მუსლიმ-ხორვატთა დაპირისპირება და საერთაშორისო საზოგადოება

(მეორე ფაზა)

ლაშვას ხეობა , კონფლიქტი გორნი ვაკუფში.

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 76.

1993 წელი მოლაპარაკებებითა და სამშვიდობო გეგმებით დაიწყო, თუმცა ის მალევე გადაიზარდა კონფლიქტში. უპირველესად, ეს ეხებოდა გორნი კავუფსა და ბუსოვაჩას ტერიტორიას. სამიტზე, რომელიც 1993 წლის 2-3 იანვარს ჟენევაში შედგა, წარმოდგენილი იყო სამივე მხარე, რომელიც ბოსნიის ომში იყო ჩართული, შეხვედრას ესწრებოდა რადოვან კარაჯიჩი, მათე ბობანი , ალია იზეთბეგოვიჩი და ასევე ყოფილი იუგოსლავიის მხრიდან კოსიჩი და ხორვატიიდან ტუჯმანი.[1] ოუნერისა და ვენსის მიერ წარდგენილი იქნა სამშვიდობო გეგმა, რომელიც სთავაზობდა მათ რუკას , რომელსაც მხოლოდ მათე ბობანი დაეთანხმა მოლაპარაკებების შემდგომ. გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ბოსნია ჰერცეგოვინის რეორგანიზაცია 10 პროვინციის სახით, რომელსაც პროვინციის ან კანტონის ეთნიკური უმრავლესობა ეყოლებოდა სათავეში , ასევე უნდა შექმნილიყო 5 კორიდორი პროვინციებს შორის, რომელიც უზრუნველყოფდა სამოქალაქო პირებისა და ჰუმანიტარული დახმარების უსაფრთხო გადატანას.[2] ასევე, შეთანხმება ითვალისწინებდა კონსტიტუციურ პრინციპების უზრუნველყოფას ავტონომიებისთვის, ცეცხლის შეწყვეტისა და დემილიტარიზაციისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას. ჟენევის მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარა, ვინაიდან გეგმის მიხედვით, ხორვატები უმრავლესობაში იქნებოდნენ 3, 8 და 10 პროვინციაში, მეათე პროვინცია კი ცენტრალური ბოსნიისა და კისელაკის, გორნი ვაკუფის, ნოვი ტრავნიკისა და ბუსოვაჩას გაერთიანება იქნებოდა, თუმცა ხორვატებს ბრალი დასდეს, რომ ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ეთნიკურად სუფთა კანტონები, სადაც უმრავლესობაში მოვიდოდნენ.[3] მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა, რომ ხორვატებს გეგმა მათი მიზნების მისაღწევად სურდათ, მათი განმარტება მიღებულ არ იქნა, არ არსებობდა არანაირი მიზეზი თავშეკავებისა რომ ხორვატებს არ ჰქონოდათ მცდელობა ძალადობით მიეღწიათ მიზნებისთვის. ამ გადაწყვეტილებამ სიტუაციის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ვანს-ოუენ მშვიდობის გეგმა გამოაცხადდა შესაძლოა ითქვას, რომ სამშვიდობო გეგმაში, მუსლიმების ტერიტორიული

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 94.

[2] Bosnia-Herzegovina: The Vance/Owen Peace Plan
Edited by David Owen . Liverpool University Press, June 2013

[3] Bosnia-Herzegovina: The Vance/Owen Peace Plan. Edited by David Owen . Liverpool University Press, June 2013

ინტერესი არ იყო გათვალისწინებული, ასევე არსებობს ვარაუდები, რომ მუსლიმების ამოცანა ცენტრალური ბოსნიის დაკავება და ცალკე გამოყოფა იყო, რაც თავისთავად გულისხმობდა გაეკონტროლებინათ ინდუსტრია და კომუნიკაციები.

ხორვატები თანდათანობით გადავიდნენ იმ ტაქტიკაზე, რაც სერბებს ჰქონდათ, პირველად, 1992 წლის ოქტომბერში ხორვატები თავს დაესხნენ ქალაქ პროზორს, გადაწვეს ბოსნიელთა სახლები და აიძულეს ბოსნიელები დაეტოვებინათ იგი, რაც შეეხება მომდევნო ადგილს, გორნი ვაკუფი, რომელიც წამოადგენდა ქალაქს სტრატეგიული მნიშვნელობით, მდებარეობდა ნოვი ტრავნიკიდან 2 დღის სავალზე, მოსახლეობის 56 პროცენტი მუსლიმი , ხოლო 43 პროცენტი ხორვატები იყვნენ,[1] სწორედ მისი აღება სცადა ხორვატთა თავდაცვის ვეჩემ , თუმცა მუსლიმების წინააღმდეგობა ვერ გატეხეს, ისინი მოითხოვდნენ დანებებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქალაქის მთლიანი აღებით იმუქრებოდნენ. ბოსნიის არმიამ მოთხოვნა უარყო და ხორვატებმა საარტილერიო დაბომბვის შემდეგ რამდენიმეჯერ სცადეს ქალაქის აღება, მაგრამ წარუმატებლად. მათ დაიკავეს გორნი ვაკუფის გარშემო მყოფი ბოსნიელების სოფლები – ბისტრიცა, უზრიჩე, დუშა, ჟდრიმცი, ჰრასნიცა. ამ სოფლებში მათ დახოცეს ბოსნიელები, გადარჩენილები ზოგი დაატყვევეს და ტყვეთა ბანაკებში გადაიყვანეს, ზოგი კი აიძულეს დაეტოვებინათ საცხოვრებლები.[2]

1993 წლის იანვარში მერდანის, ლაშვასა და დუსინის სოფლებიდან დაწყებული მუსულმანური საექსპლოატაციო თავდასხმების ორი ძირითადი მიზანი იყო სოფელ კაჩუნისა და ბუსოვაჩას დაკავება, უფრო ზუსტად კი ბოსნია -ჰერცეგოვინის შეიარაღებული ძალების (AbiH) თავდამსხმელთა განზრახვას წარმოადგენდა კაჩუნის წართმევა, რათა ამით კესელიაკსა და ხორვატიის ენკლავს შორის კავშირი გაეწყვიტა ცენტრალურ ბოსნიაში.[3] ბუსოვაჩა წარმოადგენდა მთავარ პოლიტიკურ ცენტრს და აკონტროლებდა

---

[1] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ. 73.

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ. 75.

[3] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 76.

საგზაო ქსელს დასავლეთისკენ, ვიტესის და ტრავნიკის მიმართულებით. მისი აღების გზით, ABIH- ს შეეძლებოდა უზრუნველყო ლაშვას, კოზიცასა და ლეპენიცას ხეობაში საკომუნიკაციო ძირითადი ხაზების კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმ-ხორვატთა დაძაბულობა მაღალი იყო, იანვრის შეტევა მოულოდნელად მოხდა . სწორედ ამ ტერიტორიაზე 1992 წლის დეკემბერში შეიარაღებულმა მუსლიმმა ლტოლვილებმა იაიცედან, რომლებიც იბრძოდნენ კრაინაში, დაიწყეს სვლა ბუსოვაჩას მიმართულებით და 1993 წლის იანვარში მათ შეუერთდათ მუსლიმი მებრძოლები, რომლებმაც მიატოვეს სერბების წინააღმდეგ არსებული ბრძოლის ხაზი.[1]

ABIH- ის ცენტრალურ ბოსნიაში შეტევა დაიწყო 19 იანვარს მესამე კორპუსის ელემენტების მიერ საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჩამოყალიბებით ABIH- ის III კორპუსის ელემენტებით. ეს იყო პირველი ღია შეტაკება ABIH-სა და HVO- ს შორის, მუსლიმები აპირებდნენ, ხელი შეეშალათ ბუსავაჩასა და კისელიაკს შორის კავშირისთვის. იმავდროულად, ძალისხმევა მიმართეს ჰუმ-კულას მასივზე მიმავალ გზაზე, რომელიც მიჰყვებოდა ბუსოვაჩა-კაჩუნის არეალს, რათა ხელი შეეწყო ABih-ის ძალების გადაადგილების სადავო ზონებში.[2] ლაშვას და დუშინას სოფლები დაიკავეს ABIH ოპერაციების ჯგუფის ელემენტებმა, ხოლო 333-ე სამთო ბრიგადამ შექმნა ლაშვიდან ხაზი დუშინის გავლით კაჩუნამდე, ხოლო დუშინაზე კონტოლის დამყარებისას მეორე ბატალიონის მე-7 მუსულმანური მოტორიზებული ბრიგადის მიერ, რომელსაც პოლკოვნიკი შერიფ პატკოვიჩი ხელმძღვანელობდა სოფელში უამრავი ხორვატი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე იქნა მოკლული.[3] მათ ასევე სიკვდილით დასაჯეს ადგილობრივი ხორვატთა მეთაური, ზვონკო რაჯიჩი. 23-24 იანვარს, 301-ე ელემენტებმა და 303-ე, 314-ე და 333-ე სამთო ბრიგადებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა 310-ე სამთო ბრიგადის ფოინიცის ტერიტორიიდან, განაგრძეს თავდასხმა კაჩუნის მხრიდან სოფელ

---

[1] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ. 76.

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 75.

[3] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 76.

ბილალოვოკისკენ, ასევე თავს დაესხნენ 25-26 იანვარს სოფლებს: ნეზიროვიჩსა და დონიე პალიეს, შემდეგ კი ისინი ხორვატული მოსახლეობისგან გაწმინდეს.[1]

გაეროს შემდეგი 802-ე რეზოლუცია, სწორედ მიმდინარე საკითხებისადმი უკიდურესად შეშფოთებას გამოხატავდა, ასევე განიხილავდა 1993 წლის 25 იანვარს გენერალური მდივნის მიერ უშიშროების საბჭოსთვის გაგზავნილ ანგარიშს ხორვატიაში არსებული სიტუაციის სწრაფი გაუარესების შესახებ, რაც გამოწვეული იყო ხორვატიის შეიარაღებული ძალების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელეთა ძალის კონტროლირებად ტერიტორიაზე თავდასხმებით.[2] მკაცრად დაიგმო ის თავდასხმებიც, რომლებმაც გამოიწვია თავდაცვის ძალების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლის მოსპობა.[3]

ასევე თავის პოზიციას გამოხატავს ბოლო თვეებში სერბეთის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ UNPROFOR- ის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე თანამშრომლების ნაკლებობაზე და ხაზს უსვამს კონფლიქტის გაფართოების საფრთხეს. რეზოლუციით გაერთიანებული ერები მოითხოვს ხორვატიის შეიარაღებული ძალების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცული ტერიტორიების შიგნით ან მიმდებარე ტერიტორიაზე მტრული ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ამ ტერიტორიებიდან ხორვატიის შეიარაღებული ძალების გაყვანას.[4]

მკაცრად გმობს UNPROFOR- ის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცულ ტერიტორიებზე სამოქალაქო პირების დაცვის ვალდებულების შესრულებისას და დაუყონებლივ მოითხოვს მათ შეწყვეტას.

ასევე ითხოვს UNPROFOR-ის კონტროლირებად ტერიტორიიდან ამოღებული მძიმე იარაღის დაუყოვნებლივ დაბრუნებას მისსავე კონტროლქვეშ.[5]

---

[1] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 76.

[2] UN Security Council 3163rd Meeting Resolution S/RES/802 January 25, 1993 .

[3]UN Security Council 3163rd Meeting Resolution S/RES/802 January 25, 1993 .

[4] UN Security Council 3163rd Meeting Resolution S/RES/802 January 25, 1993 .

[5] UN Security Council 3163rd Meeting Resolution S/RES/802 January 25, 1993 .

ითხოვს, ყველა მხარემ და სხვა დაინტერესებულ მხარეებმა მკაცრად შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები, ასევე, ითანამშრომლონ მთლიანად და უპირობოდ გაეროს სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში.[1]

მოუწოდებს გენერალურ მდივანს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს UNPROFOR პერსონალის უსაფრთხოება; მოუწოდებს ყველა მხარეს და სხვებს, რომლებიც ითანამშრომლებენ UNPROFOR-თან სამშვიდობო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა დარჩენილი საკითხის გადაწყვეტაში. მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ ითანამშრომლონ ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო კონფერენციასთან, თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან ან მუქარისგან, რომელმაც შეიძლება შელახოს არსებული ძალისხმევა, პოლიტიკური მიზნის მისაღწევად;

1993 წლის იანვარში მუსლიმ თავდამსხმელთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო გომიონიცის მახლობლად მდებარე ბუსოვაჩა-კისელიაკის გზაზე ფოინიცის კვეთაზე კონტროლის დამყარება, რათა გაეკონტროლებინა ქალაქის სამხრეთი , რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხორვატიული ცენტრი იყო. აღნიშნული ტერიტორია დიდი ხნის მანძილზე გარშემორტყმული იყო ABIH- ს ტერიტორიული თავდაცვის ძალების მიერ, ხოლო 1992 წლის აგვისტოში კისელიაკის ადგილობრივ განყოფილებებში მითითებები გაიცა ხორვატიულ თავდაცვის ძალების წინააღმდეგ.[2]

თავდასხმა დაიწყო დილის ექვს საათზე 25 იანვარს , ხორვატიულმა თავდაცვის ძალებმა თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს, მათ წინასწარ არ ჰქონდათ მომზადებული პოზიციები. მუსლიმურმა ძალებმა, მათ შორის მუსლიმთა სამხედრო პოლიციის ელემენტებმა, ჩრდილო-დასავლეთით ბუსოვაჩა-კისელიაკის გზაზე განახორციელეს შეტევა , მაგრამ შეაჩერეს შეჩეხორვატთა თავდაცვის ძალებმა, ზანენიჩის ხელმძღვანელობით , რომელსაც აძლიერებდა HVO მე-4 სამხედრო პოლიციის

[1] UN Security Council 3163rd Meeting Resolution S/RES/802 January 25, 1993 .

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 77.

ბატალიონი.[1] მომხდარი შეტაკებისას განმავლობაში დაიჭრა მრავალი ადამიანი, რომელიც დასრულდა დაახლოებით 8 საათისთვის. HVO-ს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლო მათი პოზიციების გაუმჯობესება ღამით, დაკონტრშეტევაზე კი გადავიდნენ 27 იანვარს, დღის ბოლოსკენ. ხუთ დღიანი ბრძოლის შემდეგ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაფორმდა და მოეწერა ხელი.[2] ამგვარად, მუსლიმმა თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს თავიანთი უპირველესი ამოცანის, ფოინიცის ჯზაჯვარედინის დაკავება , მაგრამ მათ შეძლეს ჩრდილოეთის გზაზე არსებულ სოფლებზე (ბეჰრიჩი და გომიონიცა) კონტროლის დაამყარება და ასევე გომიონიცაში შექმნეს შტაბი, სადაც შვიდასი სამხედრო განთავსდა. კისელიაკის სამხრეთით მდებარე ყველა სოფელში და ჩრდილოეთით მდებარე ექვსი სოფლიდან მოსახლეობის უმრავლესობამ საცხოვრებელი ადგილი დატოვა, თუმცა ზოგი დარჩა იმ იმედით , რომ ექნებოდათ საკმარისი ძალა, რათა დაეცვათ ისინი . მათი გადაწყვეტილება საბედისწერო იყო, რადგანაც ABIH- მა კიდევ ერთი წარუმატებელი თავდასხმა განახორციელა გომიონიცის ტერიტორიაზე აპრილში , ამის შემდეგ, კისელიაკის ანკლავის ბრძოლიდან ყურადღება გადატანილ იქნა მის გარშემო აღმოსავლეთითა და სამხრეთით.

რეზოლუციები 808[3] და 807[4] 1993 წლის 19 და 22 თებერვლის, ითვალისწინებს რა 10 თებერვლის გენერალური მდივნის მოხსენებას, რომელის მიხედვითაც, ღრმად შეშფოთებულია ჩართული მხარეების და სხვათა თანამშრომლობის ნაკლებობთ ხორვატიაში გაეროს სამშვიდობო გეგმის განხორციელებაშის საქმეში (S / 23280, დანართი III), ხაზს უსვამს ასევე მხარეთა მიერ უკანასკნელი განმეორებით დარღვევებზე, რომლებიც მათი ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებების ანგარიშგაუწევლობით იქნა განხორციელებული.

---

[1] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 77.

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003. გვ. 78.

[3] UN Security Council 3175th Meeting Resolution S/RES/808 February 22, 1993 .

[4] UN Security Council 3174th Meeting Resolution S/RES/807 February 19, 1993.

განსაზღვრა, რომ შექმნილი ვითარება რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების არსებობას უქმნის საფრთხეს, სთხოვს მხარეებს და სხვებს შეასრულონ ხორვატიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო გეგმასთან და სხვა ვალდებულებებთან ერთად, მათი ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებები.

ასევე თავის შეკავებას სთხოვს ძალების გამოყენებისგან UNPROFOR- ის ერთეულების სიახლოვეს გაეროს დაცულ ტერიტორიებსა და ვარდისფერ ზონებში.

ითხოვს აგრეთვე მხარეებსგან UNPROFOR- ის შეუფერხებლად გადაადგილების თავისუფლებას, რაც საშუალებას მისცემს მას, რომ განახორციელოს ყველა საჭირო განლაგება, აღჭურვილობისა და იარაღის, ყველა ჰუმანიტარული და ლოგისტიკური საქმიანობა;

აქვე მიიღო გადაწყვეტილება, გააგრძელოს UNPROFOR- ის მანდატი, რომელიც შეწყდება 1993 წლის 31 მარტს;

მოუწოდებს მხარეებს და სხვებს, სრულად ითანამშრომლონ და მონაწილეობა მიიღონ ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეებთან ხორვატიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მანდატის სრული განხორციელების უზრუნველსაყოფად მათი ეგიდით გამართულ დისკუსიებში.

მოუწოდებს გენერალურ მდივანს, გაეროს სამშვიდობო მანდატისა და შესაბამისი უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, მათ შორის 802 (1993) რეზოლუციის სწრაფი განხორციელებისკენ, რათა მოხდეს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა UNPA- ზონებში;

იწვევს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს, თავისი ანგარიშის მე -17 პუნქტის შესაბამისად მიიღოს ყველა შესაბამისი ზომები UNPROFOR- ის უსაფრთხოების გაძლიერებისათვის.

ითვალისწინებდა რა 780 (1992 /) რეზოლუციით დადგენილ ექსპერტთა კომისიის შუალედურ მოხსენებას, რომელშიც კომისიამ დაადგინა, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოვლენებთან დაკავშირებული საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის გადაწყვეტილება შეესაბამება მისი მუშაობის მიმართულებას, კიდევ ერთხელ გამოხატავს

თავის შეშფოთებას ყოფილ იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფართოდ გავრცელებულ დარღვევებთან დაკავშირებით, მათ შორის მასობრივი მკვლელობებისა და "ეთნიკური წმენდის" პრაქტიკის გაგრძელების შესახებ. განსაზღვრავს, რომ ეს სიტუაცია საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, აცხადებს, რომ ბოლო მოეღოს ასეთ დანაშაულს და მიიღონ ეფექტური ზომები სამართალდამრღვევი პირების მიმართ. დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებლობაა ამ მიზნის განხორციელებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის აღდგენასა და შენარჩუნებას.[1]

ამ თვალსაზრისით აღინიშნა ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეების რეკომენდაცია ამ ტრიბუნალის შექმნისათვის და რომ საერთაშორისო ტრიბუნალი იქმნება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისათვის პასუხისმგებელი პირების დევნისათვის.[2]

სთხოვს გენერალურ მდივანს, უმოკლეს ვადაში წარუდგინოს ანგარიში საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში და თუ ეს შესაძლებელია, არა უგვიანეს 60 დღისა წინამდებარე რეზოლუციის მიღებიდან, ამ საკითხის ყველა ასპექტზე, მათ შორის კონკრეტულ წინადადებებსა და სათანადო ვარიანტების შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ეფექტიანი და დაჩქარებული განხორციელებისათვის, წევრ სახელმწიფოთა მიერ ამ მიმართულებით წამოყენებული წინადადებების გათვალისწინებით; და ბოლოს, ხაზს უსვამს, რომ საქმე ამ მიმართულებით აქტიურად უნდა გააგრძელდეს.

აჰმიჩი

რაც შეეხება სამხედრო მდგომარეობის მიმდინარეობას, ხეობის წმენდის კულმინაცია იყო აჰმიჩის ხოცვა-ჟლეტა 1993 წლის 16 აპრილს.[3] 16 აპრილს სოფელ აჰმიჩზე თავდასხმა

[1] UN Security Council 3175th Meeting Resolution S/RES/808 February 22, 1993

[2] UN Security Council 3175th Meeting Resolution S/RES/808 February 22, 1993

[3] Jakovčić , Eugen.The war crimes in Ahmići: How Croatia is (not) dealing with the past, 25. April 2018 .

ხორვატთა თავდაცვის ძალების (HVO) მიერ განხორციელდა, რასაც მოჰყვა მისი მუსულმან მკვიდრთა შემდგომი ხოცვა, შესაძლოა, ბოსნიაში მუსლიმ-ხორვატთა სამოქალაქო ომის ყველაზე ცნობილი მოვლენაა და სულ ცოტა იმ ხუთ მძიმე შემთხვევას მიეკუთვნება, რომელიც იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ იქნა განხილული , სამხედრო დანაშაულებებში კი ბოსნიელი ხორვატი სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები, ასევე HVO ჯარისკაცები არიან ბრალდებულნი. ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაცია ისაა, რომ სოფელში უდანაშაულო მკვიდრი მოსახლეობა სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეცრაზმელების თავდასხმის ქვეშ იმყოფებოდა.

სოფელი აჰმიჩი უდავოდ იყო სამიზნე ხორვატიის ჯარისკაცებისთვის თავდასხმის დროს, როგორც მისი ადგილმდებარეობის, ისე მისი სავარაუდო გამოყენების თვალსაზრისით, სოფელი ვიტეზის აღმოსავლეთით დაახლოებით სამნახევარი კილომეტრით იყო დაშორებული და მთავარ ტრავნიკ-ბუსოვაჩას გზის ჩრდილოეთით 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. ამგვარად, მას შეეძლო გაეკონტროლებინა მნიშვნელოვანი მარშუტი ლაშვას ხეობიდან პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლით. მუსულმანურმა შეიარაღებული ძალებმა 1992 წლის ოქტომბერში სოფელთან ახლოს მდებარე გზა ჩაკეტეს, რათა დაეცვათ გასასვლელიი ხორვატიული ძალებსგან.[1]

16 აპრილს სოფელი აჰმიჩი დაიცვა ადგილობრივი მუსულმანური ტერიტორიული თავდაცვის ძალების მიერ, 15 აპრილის დღის მეორე ნახევარში, საღამოს დაგეგმილი HVO- ის თავდასხმა განხორციელდა. მუსულმანური ცეცხლი ინტენსიური იყო, დაიღუპა სამი HVO სამხედრო პოლიციელი და კიდევ სამი დაჭრა. რაღაც მომენტში,ხორვატიის სამხედრო ძალებმა თითქოსდა სიტუაციაზე კონტორილი დაკარგეს, თუმცა შემდეგში ეფექტური მანევრით მდგომარეობა გააუმჯობესეს. HVO თავდამსხმელებმა, რომლებიც

https://www.boell.de/en/2018/04/25/die-kriegsverbrechen-ahmici-wie-kroatien-seine-vergangenheit-nicht-bewaltigt

[1] Jakovčić , Eugen.The war crimes in Ahmići: How Croatia is (not) dealing with the past, 25. April 2018 . https://www.boell.de/en/2018/04/25/die-kriegsverbrechen-ahmici-wie-kroatien-seine-vergangenheit-nicht-bewaltigt

ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს და ხელყუმბარებს იყენებდნენ, სასტიკად მოკლეს მამაკაცები, ქალები და ბავშვები.[1]

მუსულმანმა დამცველებმა დარჩენილი მოსახლეობის ევაკუაცია ვხროვინაში მოახდინეს. მუსლიმი მოსახლეობა ,რომლებიც გადარჩნენ HVO- ს თავდასხმის შემდეგ, ბანაკში გადაიყვანეს, დონაია დუბრავიცაში , სადაც მათ გარკვეული დრო გაატარეს. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, HVO-ს თავდასხმა აჰმიჩზე იყო ძალიან წარმატებული. დაგეგმილი მუსულმანური შეტევა ტრავნიკ-ბუსოვაკას გზის ირგვლივ აჰმიჩის რაიონში მთლიანად ჩაიშალა და გაგრძელებაც ვერ მოხერხდა. თუმცა, სოფელში სამოქალაქო მსხვერპლი ძალიან დიდი იყო. ზოგიერთი ანგარიშის თანახმად, 109 მუსლიმიელი სამოქალაქო პირი, გარდაიცვალა ან დაკარგულად იქნა ჩათვლილი საბრძოლო მოქმედებების დროს, მათ შორის 32 ქალი და 11 ბავშვი , ქვემო სოფელში მუსულმანთა სახლების უმრავლესობა დამწვარი იყო, ხორვატებმა ასევე ააფეთქეს მეჩეთი.[2]

მას შემდეგ, რაც აჰმიჩის 16 აპრილის მოვლენები ცნობილი გახდა HVO- ს ჯარების სისასტიკით , შემდგომში დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, მართმსაჯულების აღსადგენად დაესაჯათ დამნაშავეები.

იგივე პერიოდში ხორვატიის თავდაცვის ვეჩე სამხრეთიდან აქტიურად უტევდა იაბლანიცას, რომელიც ასევე დიდი ბოსნიური ქალაქი იყო ლაშვას ხეობასა და ჰერცეგოვინას შორის. არტილერიის დახმარებით მათ მოახერხეს დაეკავებინათ სოფლები : სოვიცი და დოლიანი, თუმცა თავად იაბლანიცაზე შეტევა ვეღარ მოახერხეს.[3]

მოსტარი

1993 წლის 9 მაისს ხორვატთა თავდაცვის ვეჩემ ალყაში მოაქცია მოსტარის აღმოსავლეთ უბანი, სადაც ბოსნიური უმრავლესობა ცხოვრობდა. დაიწყო ქალაქის ამ

---

[1] Jakovčić , Eugen.The war crimes in Ahmići: How Croatia is (not) dealing with the past, 25. April 2018 . https://www.boell.de/en/2018/04/25/die-kriegsverbrechen-ahmici-wie-kroatien-seine-vergangenheit-nicht-bewaltigt

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ. 94- 95.

[3]**Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ. 95.

ნაწილის დაბომბვა არტილერიით. მოსტარისკენ მიმავალი ყველა გზა გადაიკეტა ვეჩეს ძალების მიერ, გაეროს სამშვიდობო ძალებს აეკრძალათ მოსტარში შესვლა. ხორვატებმა მოსტარის რადიოს საშუალებით გამოაცხადეს, რომ ყოველ ბოსნიელს სახლზე თეთრი დროშა გამოეფინა დანებების ნიშნად.[1]

მაშინაც კი, როდესაც მუსლიმ-ხორვატული ბრძოლები ტრავნიკისა და ნოვი ტრავნიკის გარშემო გააქტიურდა, ABiH- მა გააძლიერა თავისი ძალისხმევა ბოსნიის ცენტრალური საოპერაციო ზონის სივრცეზე ხორვატიის უფრო სუსტი პოზიციების წინააღმდეგ. 14 ივნისს, კონიანის რაიონიდან და კორომანის ბრიგადის გადარჩენილებმა, ასევე, დაახლოებით 13 ათასიდან 15 ათასმა ხორვატიელმა ლტოლვილმა სამხრეთ კისელიაკამდე და ჩრდილოეთ ვერესამდე იცვალეს მიმართულება. ხორვატული ძალების პოსტები ნოვი ტრავნიკიდან სამხეთით ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში დაეცა: რავნო როსტოვო 24 ივნისს , ხოლო რატი და სებეშიკი ივლისში.[2] 19 ივლისსა და 23 ივლისს შორის მუსლიმური და ხორვატიული ძალები ბუგოინოს გარშემო შეეჯახნენ ერთმანეთს, შეტევა მუსლითმა გამარჯვებით დასრულდა, რომელთაც მოახერხეს ქალაქის კონტოლის ხელში აღება და მოკლეს ან დაატყვევეს უმეტესი ნაწილი ხორვატიული თავდაცვის ძალების, რომლლებიც იცავდნენ ქალაქს. კუტენიკის ბრიგადის ტყვეები, ისევე როგორც ამ რაიონის ხორვატიული მოსახლეობა, დაექვემდებარა გამარჯვებულ ჯარს.[3]

შეიარაღებული დაპირისპირება მუსლიმებსა და ხორვატებს შორის მიმდინარეობდა 1994 წლის თებერვლამდე, თუმცა ბოლო პერიოდისთვს სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ხორვატიის არმიის ჩართულობა ჰერცეგოვინაში, რის წინააღმდეგაც გაეროს უშიშროების საბჭომ განაახლა დაწესებული სანქციები, თუმცა ჯერ კიდევ აგვისტოში საერთაშორისო მედიატორების, ოუნერისა და სტოლტენბერგის მიერ წარმოდგენილ იქნა გეგმა, რომლის მიხედვითაც განაწილება უნდა მომხდარიყო ჰერცეგოვინის სამ მებრძოლ მხარეს შორის,

---

[2] **Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ 136 .

[3]**Shrader, Charles R.** The Muslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994. Texas A&M University Press, 2003, გვ 137.

გეგმის მიხედვით, 52 პროცენტი ტერიტორიის სერბების ხელში გადადიოდა, 30 პროცენტი მუსლიმების, ხოლო 18 პროცენტი ხორვატებს რჩებოდათ, ხოლო სარაევოსა და მოსტარს სპეციალური სტატუსი ენიჭებოდა გაერთიანებული ერებისა მანდატის ქვეშ, თუმცა ბოსნიელი სერბების მხრიდან გეგმა უარყოფილი იქნა, რამდენიმე დღეში კი ხორვატებმა გამოაცხადეს ჰერცეგ ბოსნას რესპუბლიკა ქალაქ ლივნოში, რამაც გამოიწვია 859 რეზოლუციის მიღება[1], რომლის მიხედვითაც მხარეებს იწვევდა სამშვიდობო მოლაპრაკებებზე ჟენევაში, მოლაპარაკებები მართლაც გაგრძელდა ჟენევაში, სადაც ოუენ-სტოლტენბერგის გეგმა ამჯერად უპირობოდ მიღებული იქნა მხოლოდ სერბების მიერ. საბოლოოდ გეგმამ არ გაამართლა, მიუხედავად იმისა რომ არსებობდა გარკვეული წინაღობა, კერძოდ სერბებსა და ხორვატებს შორის, სერბებს შეთანხმებისამებრ უნდა დაეთმოთ ტერიტორიის ნახევარი, შეთანხმება ორხმრივად მიღწეული იქნა, თუმცა რაც შეეხება იზეთბეგოვიცის მხარეს , მან თავდაპირველად მედიატორებს ამცნობა თავისი დადებითი პასუხის შესახებ, მაგრამ ორი დღის შემდეგ მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ არ იყო მზად რაიმესთვის მხარი დაეჭირა, რამაც ომის გაგრძელებას კვლავ ხელი შეუწყო.[2] მოლაპარაკებების ახალი ტალღა ჟენევაში უკვე ნოემბრიდან გაგრძელდა , რომელიც ეხებოდა როგორც სარაევოს სტატუსის გადაწყვეტას, ასევე საზღვრების საკითხს, თუმცა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე საკითხის გადადება 12 დეკემრისთვის მოხდა.

ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის პოლიტიკამ აღნიშნული კონფლიქტის თავიდან აცილების საქმეში, თუ თვალს გავადევნებთ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც გარდაუვალი გახდა იუგოსლავიის დაშლა და მისი შენარჩუნება როგორც ფედერაციისა, ამერიკა დახმარებას უწევდა ყველა „მემკვიდრე“ რესპუბლიკას, რომელსაც თავს ჰქონდა მოხვეული კომუნიზმი და მისი თავიდან აცილება სურდათ, ხოლო მას შემდეგ, რაც 1992 წლის ომი დაიწყო, შტატები სულ უფრო მეტად ემხრობოდა ძლიერი პოლიტიკის გატარებას სერბების

[1] UN Security Council 3269th Meeting Resolution S/RES/859 August 24, 1993 .

[2] A new Bosnian peace plan proposed by mediators David.., UPI ARCHIVES JULY 30, 1993 https://www.upi.com/Archives/1993/07/30/A-new-Bosnian-peace-plan-proposed-by-mediators-David/8825744004800/

წინააღმდეგ, რამაც სერბები 1993 წლიდან დააფიქრა შესაძლო კონფრონტაციაზე შტატების წინააღმდეგ, რაც შეეხება უშუალოდ მუსლიმურ-ხორვატული კონფლიქტის აღმოცენებას, იმ დროიდან , როცა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, ამერიკა უპირობო მხარდაჭრას უცხადებდა ხორვატიას, თუმცა ბოსნიაში იმის გამო, რომ ისლამიზაციის ზრდა შეინიშნებოდა, დახმარება გამოიხატებოდა უფრო მეტად სიტყვებით, ვიდრე ქმედებით. ოფიციალური პოლიტიკით კი იგმობოდა ყოველგვარი სისხლისღვრა, ხოლო მუსლიმებს მხარს უჭერდა , როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ მთავრობას ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს ფარგლებში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში მუსლიმსა და ხორვატებში მწვავე ერთწლიანი კონფლიქტის მიუხედავად, შეერთებულმა შტატებმა წარმატებას მიაღწია დიპლომატიური ძალებით ორივე მხარის მიერ საკონფერენციო მაგიდასთან მიწვევით და იძულებით, რომ უფრო მეტად ითანამშრომლონ თავიანთი საერთო მოწინააღმდეგის, სერბების წინააღმდეგ. ეს ხორციელდებოდა ისევე როგორც უშიშროების საბჭოს , ასევე აშშ-ს დიპლომატიით, რომელმაც ხორვატიის ეკონომიკური დახმარება შესთავაზა თავისი ძალების გაყვანის სანაცვლოდ და ბოსნია ჰერცეგოვინაში მუსულმან-ხორვატის ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ. კომბინაცია ეფექტური იყო და ვაშინგტონში შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტა ძალაში შევიდა 1994 წლის 25 თებერვალს და ამით დასრულდა მუსულმან-ხორვატული სამოქალაქო ომი.

სამოქალაქო ომები იშვიათადაა გამჭირვალე და არც 1994 წლის ნოემბრიდან 1994 წლის მარტის ჩათვლით ცენტრალური ბოსნიაში მუსულმან-ხორვატული ომი ყოფილა გამონაკლისი. ეთნიკური ბრძოლის მსვლელობისას ორივე მხრიდან ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მათ ვერ შეძლეს დამორჩილებოდნენ უმრავლესობათა გადაწყვეტილებებს. საბოლოო ჯამში, ცენტრალური ბოსნიის მუსლიმურ-ხორვატული სამოქალაქო ომი ასახავს მეოცე საუკუნის ბოლო კვარტლისთვის დამახასიათებელ ახალი ტიპის ომს და უახლოეს მომავალში შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლო დომინანტურ ფორმას მსოფლიოში: რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის შიდაპირეთის კონფლიქტი ცდილობს ტერიტორიული სივრცის კონტროლს. ომის ეს ახალი ფორმა ეწინააღმდეგება ტრადიციული ტომობრივი ომს ან მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალისტურ ბრძოლას, ასევე

იდეოლოგიურად შთაგონებული "ეროვნულ განმათავისუფლებელ ომებს" და 1945-1985 წლებში ცივი ომის კონფლიქტის სხვა ფორმებს. კონფლიქტის ეს ახალი ფორმა მოითხოვს ეროვნული სტრატეგიის, საშუალებებისა და მეთოდების სრულ გადახედვას.

თავი VI

უსაფრთხო ზონები

გაეროს თავდაცვის ძალები, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს ბოსნიაში, პირველად 1991 წლის ბოლო დღეებში გამოჩნდა, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ბოსნიის ომი. იგი მიჩნეული იყო როგორც მიუკერძოებელი ძალა , რომლის მიზანი იყო მებრძოლი ხორვატები და სეპარატისტული კრაინის სერბები ხორვატიაში გაეცალკევებინა. გაერომ სამშვიდობო ძალების განსალაგებლად შეარჩია ტერიტორია, რომელიც ოპტიმალურ ადგილას იყო: მრავალეროვანი ქალაქი, მიმდებარე იუგოსლავიის რესპუბლიკაში, დიდი საერთაშორისო აეროპორტი და კარგად განვითარებული სატრანსპორტო კავშირებით ყველა მიმართულებით. 1992 წლის 9 მარტს, ბოსნიის სამოქალაქო ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე - გაერომ გახსნა თავისი ახალი შტაბი ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში. გაეროს სამშვიდობო როლი ბოსნიაში როგორც 1992 წელს, ისე 1993 წელს, მნიშვნელოვნად გაფართოვდა როგორც ტერიტორიის თვალსაზრისით, ასევე მანდატით . გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სერიამ გააფართოვა UNPROFOR- ისა და ასევე ნატოს როლი -ჰუმანიტარულ მიწოდებასთან დაკავშირებული თავდაპირველი ძირითადი მისიების კუთხით. 1993 წლის 4 ივნისს მიაღწია მნიშვნელოვან მიდგომას, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭომ 836-ე რეზოლუციით მიიღო ბოსნიის 6 ქალაქში - სარაევო, ტუზლა, ბიჰაჩი, გორაჟდე , სრებრენიცა და ჟეპა - "უსაფრთხო ადგილების“ ჩამოყალიბების გადაწყვეტილება. ამასთანავე, რეზოლუცია 836 უნებლიედ აღნიშნავდა , რომ პრიორიტეტი იყო ბოსნიელი მოსახლეობის დაცვა , ვიდრე

სერბების უმცირესობათა დაცვა ხორვატიიში. ასეთი პოლიტიკური სიგნალით შესაძლოა UNPROFOR- ის ხელმძღვანელობამ წაახალისა ხორვატიის შეტევა კრაინის წინააღმდეგ.[1]

უსაფრთხო ზონების ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ 1992 წლის 12 დეკემბერს გაჟღერდა მაშინ , როცა ევროპული თანამეგობრობამ მოითხოვა ჩამოყალიბებულიყო ზონები ბოსნია ჰერცეგოვინაში , რათა უზრუნველყოფილიყო სამოქალაქო პირების უსაფრთხოება.[2] ვინაიდან 1992 წლის გაზაფხულზე ბოსნიის სერბულმა არმიამ დაიწყო "ეთნიკური წმენდის" კამპანია ბოსნიის სერბეთის კონტროლირებადი ტერიტორიებიდან არა-სერბების წინააღმდეგ. შეიარაღებული ძალები სისტემატურად დევნიდნენ არა-სერბებს, გააუპატიურეს და მოკლეს ისინი, შეუწყვიტეს ელექტროენერგია და წყალმომარაგება, რთული ვითარებიდან გამომდინარე 1993 წლის 6 მაისს 824 რეზოლუციით [3] უსაფრთოხების საბჭო დაინტერესებას იჩენს იმ ვითარებით, რომ კვლავ ადგილი ჰქონდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქების წინააღმდეგ ბოსნიელი სერბეთის შეიარაღებული ძალების მიერ საომარი მოქმედებების კვლავ გაგრძელებას და მთელი ქვეყნის მასშტაბით მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს დაუყოვნებლივ სარაევო, ტუზლა, გორაჟდე, ბიჰაჩი და ასევე სრებრენიცა ჩაითვალოს უსაფრთხო ზონებად. ამავე რეზოლუციას ეთანხმებოდა მომდევნო დღეებში სერბებისა და მუსლიმების შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და უსაფრთხო ზონების ჩამოყალიბების შესახებ. [4] მომდევნო რეზოლუციით 836[5] კი გაერთიანებული ერები უზრუნველყოფს გაგრძელდეს გაეროს სამშვიდობო მანდატი უსაფრთხო ადგილებზე, რომლებიც მითითებულია 824 (1993) რეზოლუციაში, რათა შეაჩეროს უსაფრთხო ტერიტორიებზე თავდასხმები, მოხდეს ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი და სამხედრო ძალების გაყვანის ხელშეწყობა ბოსნიჰერცეგოვინიდან, ხოლო მოსახლეობისთვის კი უზრუნველყოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება,

---

[1]**Yasushi, Akashi.** The Use of Force in a United Nations Peace-Keeping Operation: Lessons Learnt from the Safe Areas Mandate. Volume 19, Issue 2 , Article 16, 1995 , გვ. 315

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995. გვ 90.

[3] UN Security Council 3208th Meeting Resolution S/RES/824 May 6, 1993 .

[4] სერბეთის რესპუბლიკისა და ბოსნია ჰერცეგოვინის არმიის მეთაურების შეხვედრა 1993 წლის 8 მაისი.

[5] UN Security Council 3228th Meeting Resolution S/RES/836 June 4, 1993 .

რომელიც გათვალისწინებულია 1992 წლის სექტემბერის 776-ე რეზოლუციით, ზონების წინადადებას უპირობოდ უჭერდა მხარს ასევე ევროკავშირი, რომელმაც თავისი მხარდაჭერა ლუქსემბურგის შეხვედრაზე დაადასტურა.[1]

რეზოლუცია 844[2] ადასტურებს 836 (1993) რეზოლუციის მე -10 პუნქტში აღნიშნულ უსაფრთხო ადგილებს, უსაფრთხო და დაცულ ტერიტორიებს, მხარს დაუჭერს UNPROFOR-ს მისი მანდატის შესრულებაში და ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს. ამასთანავე 18 ივნისის კოპენჰაგენის შეხვედრა მიზნად ისახავდა ფინანსებისა და აღჭურვილობის მოძიებას მუსლიმთათვის ბოსნია ჰეერცეგოვინაში მსგავსი ადგილების ფორმირებისთვის. უშიშროების საბჭოს საპრეზიდენტო განცხადებაში დაიგმო საომარი მოქმედებები „უსაფრთხო ადგილებში". კერძოდ, იგულისხმდა ბოსნიელი სერბი სამხედრო ძალების მიერ სარაევოს შეუჩერებელი დაბომბვა და მოითხოვა დაუყოვნებელი შეწყვეტა დაპირისპირების, რომელმაც უამრავი სამოქალაქო პირი შეიწირა, ხოლო მას შემდეგ რაც გორაჟდეში ვითარება მკვეთრად გამწვავდა გენერალურმა მდივანმა ნატოს მიმართა რომ გამოეყენებინა უფლებამოსილება საჰაერო თავდასხმებისა, როგორც გორაჟდეში ისე , დანარჩენ ოთხ ზონაში.

ბოსნიელი სერბების დაპირისპირების ხანგრძლივი ციკლი ნატოსთან ორ წელს გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს ესკალაცია სურდა. 1994 წლის 11 აპრილს განხორციელდა ნატოს პირველი მჭიდრო საჰაერო მხარდაჭერის მისია ალიანსის ისტორიაში გორაჟდეს უსაფრთხო ზონის დასაცავად, რომელსაც სერბთა რესპუბლიკის არმია უტევდა. საჰაერო დარტყმისას განადგურდა სერბთა საველე შტაბი, რასაც მოჰყვა 150 გაეროს მშვიდობისმყოფელის დატყვევება სერბების მიერ, რომლებიც დაიმუქრნენ მათი მოკვლით, თუ მათ არმიაზე გორაჟდეს გარშემო საჰაერო დარტყმები არ შეწყდებოდა.[3] გაჭიანურებული საფრთხეებისა და მოლაპარაკებების სერიას საბოლოოდ შეთანხმებები მოჰყვა. 1995 წლის მაისში UNPROFOR- ის გენერალმა რუბერტ სმიტმა

[1] იგულისხმება 8 ივნისის შეხვედრა, ლუქსემბურგში.
[2] UN Security Council 3241st Meeting Resolution S/RES/844 June 18, 1993 .
[3]Binet, Laurence MSF and the war in the former Yugoslavia 1991-2003, Médecins Sans Frontières, Dec 1, 2015, გვ. 88.

ულტიმატუმი წაუყენა ბოსნიელ სერბებს, რომელიც ითვალისწინებდა სარაევოს ოცი კილომეტრის მანძილზე მძიმე იარაღის გამოყენების აკრძალვას, ამასთანავე ნატოს თვითმფრინავებმა დაბომბეს ბოსნიის სერბეთის დედაქალაქ პალეთან ახლოს მდებარე სარაევოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საბრძოლო ადგილები , რაზეც სერბებს საპასუხო დარტყმა არ მიუყენებიათ, მაგრამ კონფლიქტის ამ ეტაპზე ჩანდა, რომ ბოსნიელი სერბები არ იყვნენ შეშინებული ნატოს სამხედრო მოქმედებებით, ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ოთხი ათასზე მეტი UNPROFOR სამშვიდობო და გაეროს სამხედრო დამკვირვებლი მძევლად აყვანეს, საბოლოო ჯამში, ულტიმატუმი იარაღის აკრძალვასთან დაკავშირებით უკან წაიღეს, რის შემდეგაც გათავისუფლებული იქნენ მძევლები.[1]

მძევლად აყვანის ეს ეპიზოდი საკმაოდ დამამცირებელი იყო საერთაშორისო საზოგადოებისთვის, თუმცა უარესი კიდევ წინ იყო.

1995 წლის 12 ივლისს ბოსნიელი სერბების ჯარმა გენერალი მლადიჩის ხელმძღვანელობით შეტევა განხორციელეს სრებრენიცის ნაწილზე აღმოსავლეთ ბოსნიაში . [2] არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტერიტორია უსაფრთხო ზონების რიცხვში შედიოდა. გაეროს ბატალიონს , რომელიც იმ მომენტისთვის ცუდად შეიარაღებული და რიცხობრივად გაცილებით ნაკლები იყო , ძალა არ შესწევდა შეტევა განეხორციელებინათ, საჰაერო დაბომბვით მხოლოდ ორი F-16 ის მიერ ერთი ტანკის განადგურება მოხერხდა, თუმცა ამან სერბების წინსვლაზე გამაგრებულ რიგზე არანაირი ეფექტი არ მოახდინა. როდესაც F-16 დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაზე იტალიაში, ბოსნიელი სერბები შევიდნენ სრებრენიცაში.[3] აქ მომხდარი მასიური ხოცვა , რომელმაც 8000 მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა , კარგად წარმოაჩენდა ნატოს ძალების სისუსტეს, დაეცვათ მხოლოდ საჰაერო ძალებით „უსაფრთხო ზონა“. ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები 20

[1] WILKINSON , TRACY . Serbs Free More U.N. Hostages : Balkans: Release of 108 peacekeepers leaves 150 troops and observers still captive. Rebels say they did not capture U.S. pilot whose F-16 was shot down last week. JUNE 7, 1995 .
https://www.latimes.com/archives/la-xpm-1995-06-07-mn-10510-story.html

[2] The Fall of Srebrenica and the Failure of UN Peacekeeping Bosnia and Herzegovina. Human rights watch, Volume 7, No. 13, October 1995, გვ. 10.

[3] The Fall of Srebrenica and the Failure of UN Peacekeeping Bosnia and Herzegovina. Human rights watch, Volume 7, No. 13, October 1995, გვ. 10.

და 21 ივლისს ლონდონში შეხვდნენ და განაცხადეს, რომ თუ ბოსნიელი სერბები თავს დაესხნენ გორაჟდეს, ნატო მიემხრობა "არაპროპორციულ" რეაგირებას, ცოტა ხნის შემდეგ, ნატომ გააგრძელა იგივე ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც ბოსნიელი სერბები თავს არ უნდა დასხმოდნენ რომელიმე სხვა სამ უსაფრთხო ზონას: ბიჰაჩსს, ტუზლას და სარაევოს.[1]

ნატოს და ბოსნიის სერბებს შორის სამხედრო დაპირისპირების შემდეგი ეპიზოდი რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა, როდესაც 1995 წლის 28 აგვისტოს ნაღმი დაეცა ხალხმრავალ მარკელეს ბაზარს, რამდენიმე წუთში, ოცდაშვიდი სარაევოს მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და დაახლოებით ასი დაიჭრა.[2] სერბების მიერ დაბომბვა ახალი არ იყო , საარტილერიო ჭურვებით დაბომბვა 1992 წლის აპრილის შემდეგ მიმდინარეობდა. ამასთანავე, იმავე ბაზარზე 1994 წლის თებერვლში განხორციელდა თავდასხმა, რომელმაც გამოიწვია ნატოს პირველი საჰაერო ინტერვენციის საფრთხე და სარაევოს გარშემო მძიმე იარაღის აკრძალვის დაწესება. მარკალეს ხოცვა გახდა მთავარი მიზეზი, რომელმაც გაერო და ნატო გააქტიურა გაცილებით უფრო აგრესიული ქმედებების განხორციელებისკენ.

თავი VII

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და სამშვიდობო მოლაპარაკებები

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოჩენა აღნიშნულ კონფლიქტში ყველაზე მნიშვნელოვან წერტილად ითვლება, რაც ეფუძნებოდა მის გადაწყვეტილებას ,

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995 , გვ. 273.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995 , გვ. 286-287.

ჩართულიყო განურჩევლად გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, კრიზისების მართვის რეგულაციასა და სამშვიდობო მისიებში, რაც იმას ნიშნავდა რომ ალიანსისთვის საფრთხე აღარ იყო კონკრეტული ადგილმდებარეობით განსაზღვრული, პირველი ადგილი, სადაც მან სამშვიდობო მისიები განახორციელა იყო ბალკანეთი, კერძოდ ჰერცოგოვინა, 1995 წელს. მიმდინარე კონფლიქტი არამხოლოდ რეგიონალური თვალსაზრისით იყო გასათვალისწინებელი, არამედ ის საერთოევროპულ უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს. თუმცა ვიდრე უშუალოდ სამხედრო ჩარევაზე გადავიდოდა ალიანსი, იგი გაეროს რეზოლუციებისა და მოლაპარაკებების მეშვეობით მხარს უჭერდა საომარი მოქმედების შეჩერებას.

27 თებერვალს, სტრატეგიული რეაბილიტაციის პირობებში, ნატო-ს ორმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო ოთხი იუგოსლავიის რეაქტიული გამანადგურებელმა რომლებიც ბანია ლუკას მახლობლად დაფრინავდნენ არასაფრენ ზონაში.[1] ეს იყო პირველი საბრძოლო მოქმედება ალიანსის მიერ, რომელიც მისი დაარსებიდან, 1949 წლიდან განხორციელდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, 21 ნოემბერს ნატოს თვითმფრინავებმა დაარღვიეს უდბინას ავიაბაზა კნინსკი კრაინაში, საიდანაც სერბეთის საჰაერო თავდასხმები ხორციელდებოდა ბიჰაჩის წინააღმდეგ.[2]

მას შემდეგ, რაც 1994 წლის 4 თებერვალს ადგილი ჰქონდა სარაევოს ბაზრის აფეთქებას, რამაც 68 მოქალაქის მსხვერპლი გამოიწვია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა აგრესიულ პოლიტიკას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ნატოს ფარგლებში , საჰაერო თავდასხმა გამოაცხადა ბოსნიელი სერბების მიმართულებით.

ომის ბოლო ფაზის მსვლელობისას, უნდა გამოვყოთ კრაინის დაბრუნების მცდელობა, რომელიც ხორვატებმა 1995 წლის ზაფხულში დაიწყეს, მათ გადაწყვიტეს გადამჭრელი ზომები მიეღოთ ხორვატიის ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული კრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ. პირველი ასეთი ცდელობა მაისის პირველ რიცხვებში

[1] First NATO Military Action 1994 . History.com Editors, JUL 21, 2010
https://www.history.com/this-day-in-history/first-nato-military-action
[2] First NATO Military Action 1994 . History.com Editors, JUL 21, 2010
https://www.history.com/this-day-in-history/first-nato-military-action

დაიგეგმა, ოპერაცია სახელწოდებით „ფლეშ/flash".[1] შეტევები წარიმართა ზაგრებ-ბელგრადის ავტომაგისტრალის გასწვრივ ნოვო გრადიშკსა და ოკუჩანს შორის. სამი მაისისთვის იასენოვაცი , პაკრაჩი და ოკუნჩანი დაეცა, ხოლო ათიათასობით დევნილი კი სერბეთის საზღვარს მიადგა. ხორვატიის ნაჩქარევი ქმედება საერთაშორისო მასშტაბით გააკრიტიკეს, მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯი და წინაპირობა ხორვატიის წარმატებისა. შეტევები გაგრძელდა ივლისსა და აგვისტოში, წარიმართა ოპერაცია სახელწოდებით „შტორმი", რომელმაც სერბული კრაინის დაკავება მოახერხა , დედაქალაქითურთ და სერბეთის ძალების დარჩენილი ნაწილები საზღვრისკენ მიმართა. 30 ივლისს შეტევა განხორციელდა გლამოჩისა და გრაჰოვოს მიმართულებით , ოპერაცია დაიწყო 1995 წლის 4 აგვისტოს და 5 დღის შემდეგ ხორვატებისა და ბოსნიელების გამარჯვებით დასრულდა.[2] ხორვატიურმა წყაროებმა 174 ადამიანი გამოაცხადა დაღუპულად და 1,430 დაჭრილად.[3] ჯამში 180 000 ზე მეტი ლტოლვილი გადავიდა ბოსნია -ჰერცოგოვინაში, რომლებმაც ძალადობის ფონზე დატოვეს ტერიტორია, ხოლო 9000 სერბი, რომლებიც დარჩნენ, მოკლეს ან იძარცვებოდნენ ხორვატიის სპეციალური ძალების მიერ კვირების განმავლობაში. ასობით სახლი , რომელიც 1991 წლისთვის ხორვატებს ეკუთვნოდათ , დაიწვა.[4]

28 აგვისტოს განხორციელებული დაბომბვის კვალდაკვალ, რომელიც გაეროს გამოძიების მიხედვით სერბული ნაწილიდან იყო ნასროლი, კერძოდ ტრებევიჩიდან [5], ნატომ მიიღო გადაწყვეტილება 30 აგვისტოს მისი ინიციატივით დაწყებულიყო დაბომბვის კამპანია, ოპერაცია DELIBERATE FORCE,[6] რომელიც მიზნად ისახავდა ბოსნიის სერბეთის

---

[1] MAY 1 – THE CROATIAN BLOODY OPERATION "FLASH" , May 3, 2018 https://fbreporter.org/2018/05/03/may-1-the-croatian-bloody-operation-flash/

[2] Milekic, Sven., Ristic, Marija., and Nikolic, Ivana . Operation Storm: Croatia's Triumph, Serbia's Grief, August 3, 2015 https://balkaninsight.com/2015/08/03/operation-storm-croatia-s-triumph-serbia-s-grief-07-31-2015/

[3] Milekic, Sven., Ristic, Marija., and Nikolic, Ivana . Operation Storm: Croatia's Triumph, Serbia's Grief, August 3, 2015 https://balkaninsight.com/2015/08/03/operation-storm-croatia-s-triumph-serbia-s-grief-07-31-2015/

[4] Milekic, Sven., Ristic, Marija., and Nikolic, Ivana . Operation Storm: Croatia's Triumph, Serbia's Grief, August 3, 2015 https://balkaninsight.com/2015/08/03/operation-storm-croatia-s-triumph-serbia-s-grief-07-31-2015/

[5] THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNAL FOR THE FORMER YUGOSLAVIA CASE NO: IT-98-29-I THE PROSECUTOR OF THE TRIBUNAL AGAINST STANISLAV GALIC DRAGOMIR MILOSEVIC , გვ. 13

[6] Bosnia, 1995—Operation Deliberate Force The Value of Highly Capable Proxy Forces. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2017/04/9780815732419_ch1.pdf

საკომუნიკაციო აქტივების ჩაშლას და სარაევოს ალყის გატეხვას. საბოლოოდ, გადამწყვეტი ინტერვენცია, რომელიც ინსპირირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომლის განხორციელებას სათავეში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ედგა, აღადგინა ბალნსი ძალთა ბალანსი რეგიონში და შექმნა წინაპირობა სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის.

სამშვიდობო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო, ითვალისწინებდა მთლიანად ბოსნიის კრიზის მოგვარებას, რაც თავისთავად გულისხმობდა მხარდაჭერას ბოსნია ჰერცეგოვინის ერთიანობის, დედაქალაქით სარაევო, რომელიც სერბო-ხორვატიულ ძალებს შორის იყო გაყოფილი და ასევე გეგმა მოიცავდა ბოსნიის სერბული რესპუბლიკის საკითხსაც.

პროექტი ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ იყო წარმოდგენილი, თუმცა მოკავშირეების მიერ მიღებული სრულად, რაც შეეხება მოსკოვის პოზიციას, მკაცრად გააკრიტიკა საჯაროდ ბორის ელცინმა და აღნიშნეს , რომ ნატოს ქმედებებმა ბალკანეთში შესაძლოა ევროპაში სიტუაციის გამწვავება გამოიწვიოს,[1] თუმცა რუსეთმა მაინც ვერ შეძლო მისი ძალისხმევით შეეზღუდა პროექტი და მის პროტესტს არ ჰქონდა ხილული ეფექტი.

მანამ, სანამ ნატო ახორციელებდა ოპერაციაას განმათავისუფლებელი ძალა, ფრონტებზე შედარებით სიწყნარე სუფევდა, მხარეებმა აიღეს მცირე პაუზა, რათა მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის. ცოტას ეპარებოდა ეჭვი, რომ კამპანია სწორედ ასეთ სახეს მიიღებდა. დასავლეთი მთლიანად ხელმძღვანელობდა სამხედრო და სტრატეგიულ გეგმებს მუსულმანებისა და ხორვატების, რომელიც ითვალისწინებდა რაც შეიძლება დიდი ტერიტორიის დაკავების დასავლეთ ბოსნიაში , პრიედორის სანსკი მოსტისა და მკრონიჩ გრადის ჩათვლით.[2] ასევე, საფრთხე შეექმნათ ბანია ლუკასთვის და ეიძულებინათ სერბები დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ მოლაპარაკებებზე წამოსულიყვნენ.

---

[2] Ионов, Александр.Сражения в Босанской Краине в сентябре-октябре 1995 года. 10.03 , 2006 .

8 სექტემბერს ხორვატებმა გაარღვიეს შეტევით სერბების ფლანგი, ბრძოლები რამდენიმე დღე გაგრძელდა, 10 სექტემბერს ბოსნია ჰერცეგოვინის არმიამ დაიწყეს შეტევის განხორციელება დონი ვაკუფის ირგვლივ სამხრეთ დასავლეთით ტრავნიკიდან.[1] მიუხედავად იმისა რომ მათ ვერ მოახერხეს 30-ე დივიზიის პოზიციების გარღვევა, სიტუაცია შეიცვალა ხორვატების სწრაფი იერიშის შემდეგ , როდესაც სერიოზული საფრთხე დაემუქრა 302-ე დივიზიას. ამის შემდეგ მომირ ზეცი იძულებული გახდა, რომ დაეტოვებინა ბრძოლის გარეშე დონი ვაკუფი.[2]

პირველ ოქტომბერს ხორვატიის რეგულარური ჯარის ნაწილები, რომელმაც შეასრულეს თავისი მისია ტარანი, გაიყვანეს ბოსნიის ტერიტორიიდან და ჩაანაცვლეს, ყველა მიმართულებით, ხორვატიის სამხედრო ქვედანაყოფებით. თუმცა მას არანაირი შედეგი არ ჰქონდა, რადგან 12 ოქტომრებრს შევიდა ძალაში შეთანხმება. სერბებმა უკან დაიხიეს, რათა გაემაგრებინათ ბანია ლუკას მისადგომები, (მოსახლეობა აქტიურად იღებდა მონაწილეობას გაძლიერებული თავდაცვის მომზადებაში) მოწინააღმდეგის არტილერიმ გააკეთა ყველაფერი, რათა ყველანაირად შეენელებინათ ხორვატის სამხედრო ნაწილების წინსვლა. ზავის დადების წინ ხორვატები გაჩერდნენ დაგეგმილ ხაზზე სამხრეთ მიმართულებით 25 კილომეტრში ბანია ლუკასთან. შემდეგი მნიშვნელოვანი ოპერაცია რომელიც განხორციელდა ეს იყო ,,სამხრეთით სვლა“, რომელმაც დასაწყისშივე შეცვალა ვითარება სერბო მუსლიმურ ფრონტზე მდინარე სანაზე, 9 ოქტომბერს ცენტრმა და სამხრეთმა ერთდროულად შეუტიეს სერბულ პოზიციებს, სერბებმა ვერ გაუძლეს მათ შეტევას და დაიწყეს უკან დახევა, 10 ოქტომბერს 502-ე მთის ბრიგადა, გვარდია, მეხუთე ბატალიონი და სამხედრო პოლიცია შევიდა დაცარიელებულ სანსკი მოსტში. 12 ოქტომბერს კი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთელი ტერიტორია მთლიანად ჩაერთო მოლაპარაკებებში, თუმცა მუსლიმებს ერთი კვირის მანძილზე მოუწიათ სერბული კონტრშეტევების მოგერიება, რომელიც ატიფ დუდაკოვიჩის მიერ იყო პროვოცირებული. 20 ოქტომბერს ოფიციალურად დამთავრდა ბოლო ბრძოლები, რითაც

[1] Ионов, Александр.Сражения в Босанской Краине в сентябре-октябре 1995 года. 10.03 , 2006 .
[2] Ионов, Александр.Сражения в Босанской Краине в сентябре-октябре 1995 года. 10.03 , 2006 .

ბოლო მოეღო ბოსნიის ბრძოლას და სამოქალაქო ომს ყოფილ იუგოსლავიაში, თუმცა წინ დეიტონი იყო.[1]

პოლიტიკურად, დეიტონის შეთანხმებით გაფორმდა იგივე სახის კომპრომისი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ფედერაციულ პრინციპებს შორის. ამ დროისთვის ახალი ბოსნია ჰერცეგოვინა წარმოადგენდა უნიტარულ სახელმწიფოს, ფაქტობრივად არსებობდა რბილი საზღვრები მუსლიმებსა და ხორვატებს შორის, რომელთაც 51 პროცენტი ეკავათ, ხოლო დანარაჩენი 49 კი სერბულ ძალებს.[2] ცენტრალური ხელისუფლება წარმოდგენილი იყო თანმიმდევრული წარმომადგენლობით, ორპარტიული პარლამენტითა და საკონსტიტუცია სასამართლოთი. მისი ეფექტური უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა საგარეო საქმეთა, საერთაშორისო ვაჭრობისა და ფისკალური პოლიტიკით. ბოსნიის ფედერაცია და რესპუბლიკა Srpska-ს შორის არსებული შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელოვანი პრეროგატივები - მოქალაქეობის მინიჭება, შეიარაღებული ძალების შენარჩუნება და სპეციალური ურთიერთობები იქნა ჩამოყალიბებული იმდენად, რამდენადაც ამ ურთიერთობებს საფრთხე არ უნდა შეექმნა ბოსნია ჰერცოგოვინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. ბოსნია და ჰერცეგოვინის ფედერაცია და რესპუბლიკა Srpska ხელშეკრულებით ეთანხმება პატივი სცეს შემდეგ ვალდებულებებს, როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმებული ძირითადი პრინციპებით, რომელიც მიღებულია ჟენევაში, 1995 წლის 8 სექტემბერს ბოსნია და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკას წარმოადგენს ასევე ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის მიერ.[3] თუმცა დეიტონამდე განვითარებულ მოვლენებში და კონფლიქტის დარეგულირების საკითხში დიდიწვლილი შეიტანა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. აღნიშნული ბრძოლების შემდეგ

[1] Ионов, Александр.Сражения в Босанской Краине в сентябре-октябре 1995 года. 10.03 , 2006 .

[3] GENERAL ASSEMBLY SECURITY COUNCIL - Fiftieth session Fiftieth year Agenda item 28 THE SITUATION IN BOSNIA AND HERZEGOVINA. 30 November 1995, გვ. 81.

22 ოქტომბერს ბოსნიელმა სერბებმა დაადანაშაულა ხელისუფლება სერბულ პოზიციებზე ცეცხლის გახსნაში.[1]

ამერიკის თავდაცვის მდივანმა პერიმ განაცხადა, რომ რუსეთს არ ჰქონდა სურვილი გაეგზავნა სამშვიდობოები ნატოს მეთაურობის ქვეშ სამშვიდობო მისიის შესასრულებლად და ნატო განიცდის კრახს თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ გაგზავნის სამხედროებს ბოსნიაში მომავალი სამშვიდობო სიტუაციის შესაქმნელად, რის საპასუხოდაც რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით რუსი სამშვიდოებოები მხოლოდ გაეროს გენერალური საბჭოს მანდატის ქვეშ გაიგზავნებიან და ამასთანავე, უარყოფს ძალის გამოყენებას იმ საქმეებზე, სადაც დიპლომატიამ ჯერ ვერ მიაღწია წარმატებას. ამასთანავე, ნატოს ძალის განხორციელებას მიიჩნევს აშკარა დარღვევად გაეროს პრინციპების.[2] მოლაპარაკებები კლინტონსა და ელცინს შორის გაგრძელდა ნიუ იორკში, თუმცა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დასრულდა. შეთანხმებას მიაღწიეს 25 ოქტომბერს, როდესაც რუსეთის მხარე დათანხმდა ორი ათასი ჯარისკაცის გაგზავნაზე, რათა მხარი დაეჭირათ სამშვიდობო მოქმედებებისთის. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი და უილიამ პერი ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ შეთანხმდენენ მულტიეთნიკური სამხედრო ძალის შექმნაზე, თუმცა არ შეთანხმებულან როგორ უნდა ემოქმედათ მათ ნატოსთან ერთად[3], ხოლო რაც შეეხება 31 ოქტომბრის შეხვედრას, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო, გადაიდო რუსეთის პრეზიდენტ ელცინის ავადმყოფობის გამო.

ამავდროულად, ბოსნიელიი სერბების მიერ წამოყენებული იყო მოთხოვნა სარაევოს ნაწილის მათ კონტოლქვეშ ყოფნისა და უფლებას აცხადებდნენ ჩატარებულიყო რეფერენდუმი ბოსნიიდან გამოყოფის შესახებ ერთი წლის განმავლობაში. იქვე, წვდომას ითხოვდნენ ადრიატიკაზე, ასევე, 12 მილიან კორიდორს დასავლეთ და აღმოსავლეთ ბოსნიის დასაკავშირებლად და იმ დაკარგული მიწების შემოერთებას, რომლებიც ბოლო

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 306.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 306.

[3]Russian troops learn peacekeeping -- American style. October 28, 1995 From Military Affairs Correspondent Jamie McIntyre http://edition.cnn.com/US/9510/russians_in_kansas/

ბრძოლებისას დაკარგეს.[1] როგორც ამერიკის ხელმძღვანელობით წარმართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იქნა აღნიშნული, იმის გამო, რომ სერბები აცხადებდნენ უფლებას ბოსნია ჰერცეგოვინიდან გამოყოფილიყვნენ, ჰოლბრუკის განხადებით არავითარი სამშვიდობო შეთანხმება მიღწეული არ იქნებოდა.[2] თუმცა შეხვედრები კვლავ გაგრძელდა. 23-24 ოქტომბერს ასევე წარიმართა მოლაპარკებები აღმოსავლეთ სლავონიის დელეგაციასა და ხორვატებს შორის, მოლაპარაკებები არ შედგა, თუმცა ხორვატებებისა და სერბების განცხადებით პროგრესი მაინც მიღწეულ იქნა. მოლაპარაკებები გაგრძელდა 27-28 ოქტომბერს, ერდუტში. შეცვლილი ტექსტი სამშვიდობო შეთანხმების შაბლონისა წარმოადგინეს საერთაშორისო მედიატორებმა კალბრაითმა და სტოლტენბერგმა, რომელიც სერბებმა არ მიიღეს, მიზეზად კი დასახელდა ის, რომ ტექსტი სრულად მოითხოვდა უპირობო რეინტეგრაციას ხორვატიასთან.[3] მიუხედავად იმისა, რომ ხორვატია დეიტონში შეთანხმების ძალით უარს ამბობდა ძალის გამოყენებაზე, 5 ნოემბერს დაარღვია შეთანხმება და განაცხადა, რომ აღმოსავლეთ სლავონიას ძალით შეიერთებდა, ასევე სერბებს ჰქონდათ 30 ნოემბრამდე ვადა რათა, მოეხდინათ რეგიონის ხორვატიასთან შეერთება.[4]

დასავლეთ გზა სარაევოს გარეთ უნპროფორმა გახნს მას შემდეგ, რაც ნაღმებისგან გაწმინდეს. ბოსნია ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ხორვატებმა უფლება მისცეს ბოსნიელ ხორვატებს არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა.

შეხვედრები განახლდა პირველ ნოემბერს, სამშვიდობო მოლაპარაკებისას იზეთბეგოვიჩსა და ტუჯმანს შორის პირველი ფაზა მიმდინარეობდა ლტოლვილების პრობლემის შესახებ, ხოლო მილოშევიჩსა და ტუჯმანს შორის კი სლავონიის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტილება იქნა მიღწეული. უორენ მაინორ კრისტოფერის[5] მიერ

---

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 308.

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 308.

[3] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 308.

[4] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 310.

[5] აშშს სახელმწიფო მდივანი ბილ კლინტონის პირველი საპრეზიდენტო ვადისას

დელეგაციას წარედგინა მორიგი შაბლონი სამშვდობო გეგმისა, რომელიც ათი თავისგან შედგებოდა და შექმნილი იყო საერთაშორისო მედიატორების ექსპერტთა გუნდის მიერ. ტუჯმანსა და იზეთბეგოვიჩს შორის ახალი შეთანხმება გაფორმდა დეიტონში , რომელიც მუსლიმ-ხორვატიული ფედერაციის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.[1] ხოლო რაც შეეხება ხორვატებისა და სერბების ურთიერთობის მორიგ ნაბიჯს, ერდუტის შეხვედრები გაგრძელდა და 12 ნოემბერს მიიღეს ერდუტის შეთანხმება.[2]

აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, რომელიც 14 პუნქტისგან შედგებოდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ითხოვდა უფლებას საერთაშორისო ძალის სანქცირების, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო მშვიდობა , ასევე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სხვაგვარი დახმარების გასაწევად. რეგიონი უნდა იყოს დემილიტარიზებული გეგმის შესაბამისად საერთაშორისო ძალის მიერ განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინებით. ეს დემილიტარიზაცია უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 30 დღისა საერთაშორისო ძალების განლაგების შემდეგ და მოეცვა ყველა სამხედრო ძალა და იარაღი გარდა იმ შემთხვევისა, თუ ძალები იმოქმედებენ დროებითი მთავრობის ნებართვის ქვეშ. გარდა ამისა, დაინტერესებული ქვეყნები და ორგანიზაციები ითხოვდნენ შექმნას კომისიის, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა განეხორციელებინა მონიტორინგი ამ შეთანხმების, განსაკუთრებით , ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო უფლებების შესახებ დებულებებიდან შეეწავლათ ამ ხელშეკრულების დარღვევის ყველა ბრალდება და გააკეთებინათ შესაბამისი რეკომენდაციები. შეთანხმებით, ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა სრულად ითანამშრომლებდა გარდამავალ ადმინისტრაცისა და საერთაშორისო ძალებთან.[3]

---

[1] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995, გვ. 310-311.

[2] General Assembly Security Council S/1995/951 15 November 1995 Basic agreement on the region of Eastern Slavonia, Baranja and Western Sirmium

[3] General Assembly Security Council S/1995/951 15 November 1995 Basic agreement on the region of Eastern Slavonia, Baranja and Western Sirmium

გარდამავალი პერიოდისას ხორვატიის მთავრობა ანიჭებს საერთაშორისო დამკვირვებლებს ყოფნის უფლებას რეგიონის საზღვრებთან, რათა ხელი შეუწყონ ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას საზღვრის გადაკვეთისას. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ეხებოდა ქონების აღდგენის უფლებას და იმ ქონებისათვის კომპენსაციის მიღებას, რომელიც არ შეიძლებოდა დაბრუნდებოდა პირს და საკუთრება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა.[1]

დეიტონში განხორციელებული 20 დღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, შეთანხმება მიღწეულ იქნა, იგი თორმეტი დამატებისგან შედგებოდა, რომელიც მომზადებული იყო ბოსნიელი სერბების წარმომადგენლობის და მუსლიმ-ხორვატთა ფედერაციის მიერ. ბოსნია ჰერცეგოვინა და იუგოსლავიის ფედერაცია აღიარებდნენ ერთმანეთს, როგორც დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოებად თავიანთი საზღვრებით.[2]

მომდევნო დღეს, 22 ნოემბერს გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს მიერ იქნა მიღებული რეზოლუცია 1021, რომელიც იარაღის ემბარგოს საკითხს ეხებოდა, ამასთანავე საბჭო მიესალმება რა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამშვიობო შეთანხმების ინიციატივას ბოსნია-ჰეცეგოვინას, ხორვატიის რესპუბლიკას, იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და სხვა პარტიებს შორის, 21 ნოემბერს, 1995 წელს, დეიტონში, ოჰაიოში, შეთანხმების ხელმოწერას, მიესალმება აგრეთვე, შეთანხმების 1B დანართით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებს (შეთანხმება რეგიონალური სტაბილიზაციის შესახებ).

რაც შეეხება უშუალოდ ემბარგოს, გადაწყდა, რომ 713 (1991) რეზოლუციით დაკისრებული ემბარგო იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე შეწყდეს შემდეგნაირად: თავდაპირველად , გენერალური მდივანი წარუდგენს საბჭოს მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკამ, ხორვატიამ და

[1] General Assembly Security Council S/1995/951 15 November 1995 Basic agreement on the region of Eastern Slavonia, Baranja and Western Sirmium

[2] Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a “safe” area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995 , გვ. 314.

იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ ფორმალურად გააფორმეს სამშვიდობო შეთანხმება , რომლის წარდგენის შემდეგ პირველი ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში ემბარგოს ყველა დებულება რჩება უცვლელი, ხოლო ასეთი მოხსენების წარდგენიდან მეორე ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში იარაღის ემბარგოს ყველა დებულება წყდება, გარდა იმისა, რომ მძიმე იარაღის მიწოდება (როგორც ეს განსაზღვრულია სამშვიდობო შეთანხმებაში), საბრძოლო მასალა, ნაღმები, სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენები აკრძალული უნდა იქნას, სანამ დანართ 1B- ში მითითებული იარაღის კონტროლის ხელშეკრულება ძალაში იქნება.[1]

ამ ანგარიშის წარდგენიდან 180-ე დღის შემდეგ და გენერალური მდივნის მიერ 1B დანართის (რეგიონალური სტაბილიზაციის შესახებ შეთანხმების) განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მხარეთა მიერ შეთანხმებული წესით, შეიარაღების ემბარგოს ყველა დებულება შეწყდება, სანამ საბჭო მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

ამასთანავე, გაერო ინარჩუნებს თავის ვალდებულებას რეგიონალური სტაბილურობისა და შეიარაღების კონტროლის პროგრესული ღონისძიებების განსახორციელებლად.[2]

შემდეგი რეზოლუცია, 1023 კი მოუწოდებდა ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას და ადგილობრივ სერბულ მხარეს სრულად ითანამშრომლონ შეთანხმების საფუძველზე და თავი შეიკავონ ნებისმიერი სამხედრო საქმიანობისაგან , რაც ხელს შეუშლის განსაზღვრული გარდამავალი ღონისძიებების განხორციელებას, შეახსენებს მათ ვალდებულებას, ითანამშრომლონ UNCRO- სთან და უზრუნველყონ მისი უსაფრთხოება და გადაადგილების თავისუფლება, კიდევ ერთხელ ადასტურებს ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მიძღვნილი ვალდებულებას და ხაზგასმით აღინიშნავს, რომ აღმოსავლეთ სლავიონია, ბარანია და დასავლეთ სრემი, რომელიც ცნობილია როგორც აღმოსავლეთ სექტორი, არის ხორვატიის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილები.[3]

---

[1] UN Security Council 3595th Meeting Resolution S/RES/1021 November 22, 1995 .
[2] UN Security Council 3595th Meeting Resolution S/RES/1021 November 22, 1995 .
[3]UN Security Council 3596th Meeting Resolution S/RES/1023 November 22, 1995.

1025 რეზოლუციით UNCRO- ის მანდატი წყვეტს შუალედურ პერიოდს 1996 წლის 15 იანვარს[1], ხოლო 1027 რეზორუციით გადაწყვეტს გააგრძელოს UNPREDEP- ის მანდატი 1996 წლის 30 მაისს.[2]

1995 წლის 14 დეკემბერს დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 14 პარტნიორი ქვეყნის საჯარისო ნაწილები შევიდა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განლაგებულ გადაწყვეტილებების განმახორციელებელ ძალებში. განმახორციელებელ ძალებს (ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმება) ჰქონდათ გაერო-ს მანდატი სამშვიდობო შეთანხმების სამხედრო ასპექტების განსახორციელებლად ადგილზე. მათი მიზანი იყო საომარი მოქმედებების დასრულება, ომით დანგრეული ქვეყნის ახლადშექმნილი სუბიექტების (ბოსნიისა და ჰერცოგოვინას ფედერაციისა და სერბიის რესპუბლიკის) შეიარაღებული ძალების დაშორიშორება და ამ ორ სუბიექტს შორის მდებარე ტერიტორიის გადანაწილება.

1996 წლის დეკემბერში, განმახორციელებლი ძალები (ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმება) შეცვალა შედარებით მცირერიცხოვანმა სტაბილიზაციის ძალებმა (ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში). სტაბილიზაციის ძალების მოვალეობა იყო საომარი მოქმედებების თავიდან აცილება და სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, მაგრამ, მისიის გაფართოების შემდეგ, ამ მოვალეობებში ასევე შედიოდა იმ სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში, ამ ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო ძალები თავიანთ სახლებში დაბრუნებაში დაეხმარნენ ლტოლვილებს და იძულებით ადგილნაცვალ პირებს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ბოსნიის სამხედრო ძალების რეფორმირებაში. უსაფრთხოების სიტუაციის თანდათანობით გაუმჯობესებასთან ერთად, ამ ქვეყანაში განლაგებული სამშვიდობო ძალები განუხრელად მცირდებოდა. თუ თავდაპირველად აქ 60-ათასიანი ჯარები იყო განლაგებული, 2004 წელს მათგან მხოლოდ 7 ათასი დარჩა.

---

[1] UN Security Council 3600th Meeting Resolution S/RES/1025 November 30, 1995.

[2] UN Security Council 3602nd Meeting Resolution S/RES/1027 November 30, 1995.

საბოლოოდ, იუგოსლავიის დაშლა დასრულდა 2006 წელს მონტენეგროს დამოუკიდებლობის გამოცხადებით,[1] ხოლო 2008 წელს კი კოსოვოს.[2] განსაკუთრებული როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბალკანეთში ომის დასრულებაში. სხვადასხვა ღონისძიებები გატარდა ევროკავშირის მიერ, რათა მომხდარიყო დემოკრატიული ტრანსფორმაცია.

[1]BBC NEWS/ Montenegro declares independence. Sunday, 4 June 2006.
http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5043462.stm

[2] Hamilton, Douglas. Kosovo declares independence from Serbia. WORLD NEWSFEBRUARY 17, 2008
https://www.reuters.com/article/us-kosovo-serbia/kosovo-declares-independence-from-serbia-idUSHAM53437920080217

დასკვნა

დასკვნის სახით , უნდა ითქვას , რომ ბოსნიის ომმა გამოაჩინა ფართო ცვლილება საერთაშორისო თანამეგობრობის ხასიათისა და განსაკუთრებით ევროპული ერების. ცივი ომის დასრულების შემდეგ და სპარსეთის ყურის ომში გამარჯვების შემდეგ , გაიზარდა მოლოდინი იმის, რომ კოლექტიურ უსაფრთხოებას შეეძლო გამკლავებოდა რეგიონალურ არეულობებს. შესაბამისად, 1992-1995 წლებში არსებულ კონფლიქტს სწრედ ზემოაღნიშნული მოლოდინი ახლდა თან. საკითხის შეფასებისას, ბუნებრივია, უნდა გამოვყოთ ორი მხარე. პირველი ის, თუ რამდენად წარმატებულად იმუშავა ბალკანეთის კრიზისის პერიოდში საერთაშორისო ფაქტორმა. პირველ არგუმენტად წარმატებისა, უნდა მოვიყვანოთ ის, რომ რეგიონში 1995 წლის ბოლოს დამყარებული მშვიდობა კვლავ არსებობს თითქმის 25 წელია, თუ არ ჩავთვლით კოსოვოს საკითხს, რომელიც ამ შემთხვევაში, სულ სხვა პერიოდს მოიცავს.

საერთაშორისო ინტერვენციის თვალსაზრისით, საბოლოო შედეგი ნატოს საჰაერო კამპანიისა და ხორვატი-მუსლიმთა ერთობლივი შეტევების მცდელობები ითვლება , როგორც წარმატებული შეტევა, რამაც მნიშვნელოვან წვლილი შეიტანა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, კერძოდ, სარაევოს ირგვლივ სერბული რესპუბლიკის ჯარების კუთვნილი საბრძოლო იარაღის გატანაში. სარაევოს გარშემო 250-მდე მძიმე იარაღის გატანა და ასევე 238 მძიმე საბრძოლო იარაღის მონიტორინგი და გადამოწმება. მიუხედავად ყველა პოლიტიკური გამოწვევებისა, რის წინაშეც იდგა „დელიბერეით ფორსი“, კამპანიამ აიძულა ბოსნიელი სერბები, ულტიმატუმი შეესრულებინათ;

მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს საჰაერო ფაქტორი გარკვეულ როლს ასრულებდა, ამასთანავე ხორვატ – მუსულმანური ალიანსი , გადამწყვეტი ფაქტორია იმით, რომ მათმა წარმატებამ გავლენა მოახდინა ბოსნიელი სერბებისა და სერბული მხარის გადაწყვეტილებაზე , დათანხმებულიყვნენ იმაზე , რასაც დეიტონის ხელშეკრულება ითვალისწინებდა. საერთაშორისო თანამეგობრობის დაჟინებული მოთხოვნით, ჰუმანიტარული სამართლის მინიმალური სტანდარტები მკაფიოდ გამოცხადდა საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი რეზოლუციით, გადაწყვეტილებებითა და დეკლარაციებით.

ამასთანავე, დარღვევებისთვის , რომლებიც თან ახლდა აღნიშნულ პერიოდს, შეიქმნა საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც დაკომპლექტდა კომპეტენტური და ავტორიტეტული საერთაშორისო სააგენტოების მიერ. საერთაშორისო საზოგადოებამ გააკეთა ყველაფერი, რათა სამართლებრივი მდგომარეობა აღდგენილიყო. ასევე, იმუშავეს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა და დამნაშავეთა იდენტიფიცირების კუთხით, გარდა ამისა, კონფლიქტების გავრცელების თავიდან აცილების სხვადასხვა ღონისძიებები იქნა მიღებული.

თუმცა არსებობს საკითხს მეორე მხარე, კონკრეტულად , წარმატებებთან ერთად რამ განაპირობა კონფლიქტის გახანგრძლივება და რატომ ვერ მოხერხდა მისი დროულად დასრულება. წარმატებასთან ერთად, ომი ბოსნიაში ცხადყოფს იმ სირთულეებს, რომელიც თან ახლავს მრავალეთნიკურ კონფლიქტში გარე ძალების ჩარევას. ვფიქრობთ, აღსანიშნავია რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი. ვინაიდან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის ყველა ნაწილში საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მხარდაჭერა და გადაადგილების თავისუფლების მიღება ვერ მოხერხდა, მცდელობა რომ შეექმნათ ე.წ. უსაფრთხო ადგილები იძულებით გადაადგილებულ პირთა იზოლირებისთვის, რაც ამ სამოქალაქო ცენტრების წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო თავდასხმების აკრძალვასა და ჰუმანიტარულ დახმარებას ითვალისწინებდა, თავისთავად დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ , თუმცა UNPROFOR- ს ამ მიზნების მისაღწევად სააღსრულებო მანდატი მიენიჭა, რომელიც მხოლოდ ძალის გამოყენების უფლებას აძლევდა მათ დაბომბვების

საპასუხოდ ე.წ. უსაფრთხო ტერიტორიებზე და ჰუმანიტარული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ნატოსთვის მინიჭებული მანდატი კი გაცილებით უფრო ფართო იყო ვიდრე UNPROFOR- ისთვის. როდესაც სერბებმა ასობით UNPROFOR- ის ჯარები და სხვები აიყვანეს მძევლად, კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ UNPROFOR აღარ ეცდებოდა მისი მანდატის განხორციელებას. სინამდვილეში, სრებრენიცას და ზეპას დაცემის შემდეგ, რასაც მოჰყვა დეპორტაციები და წამება, გაუპატიურება და მასობრივი მკვლელობა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო UNPROFOR-ის მხრიდან მსგავსი რამის შესრულება. გაეროს სამდივნო ცდილობდა გაესამართლებინა ამ მანდატის შეუსრულებლობა შეზღუდული რესურსების მიზეზით.

მას შემდეგ, რაც რეგიონში სწრაფი რეაგირების ძალების განთავსება დაიწყო, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა არსებული სურათი. თავდაპირველად, გაეროს ძალები ცდილობდნენ სიტუაციის მონიტორინგისა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის გზით საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის გადარჩენის უზრუნველყოფას. ამგვარად, ისინი შეეცადნენ დაყრდნობოდნენ მხარეთა თანამშრომლობას, რაც აშკარად არარეალური იყო.

კრიზისის საბოლოო ფაზის დროს კი, რომელიც სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი აღარ იყვნენ დაკავშირებული 713 (1991) რეზოლუციასთან, გარდა იარაღის ემბარგოსა, ხორვატის პირდაპირი ჩართულობისა და სხვა სახელმწიფოების შესაძლო პირდაპირი ჩარევისა, როგორიცაა თურქეთი, გამოიწვია სიტუაციის რადიკალური ცვლილება და ჩატარდა საჰაერო კამპანია. საბოლოო ჯამში, საჰაერო კამპანიის მიზანი იყო ბოსნიის სერბეთის მხარის დაპყრობა და კონფლიქტის შეწყვეტა. მასობრივი საჰაერო კამპანიის დაუყოვნებლივი წარმატება, ძირს უთხრის არგუმენტს, რომ რეალური, ეფექტური სამშვიდობო ქმედებები ადრეულ ეტაპზე შეუსაბამო იქნებოდა ან შეუძლებელი იქნებოდა.

სამი წლის შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ ბევრი იმედგაცრუება დააგროვა და ოპერაცია აიფორი, რომელმაც წერტილი დაუსვა საბრძოლო მოქმედებებს, განხილულ იქნა როგორც სპეციფიკური ოპერაცია, რომელიც ნაკლებ სავარაუდოა

განმეორებულიყო სხვა პირობებში. დამოკიდებულება ბოსნიის ომისადმე ისევე როგორც დასაწყისში, ასევე ბოლო ეტაპზე იყო გადაჭარბებული . თავდაპირველმა უსაფუძვლო ოპტიმიზმმა წარუმატებლობა განიცადა.

პირველადმა ენთუზიაზმმა მოიტანა არარეალური სტრატეგია, რომელსიც არ იძლეობა საშუალებას ადეკვატური ბალანსი მიღწეულიყო . ვენს ოუენის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ ის ითვალისწინებდა სერბების გასვლას ბოსნიური ტერიტორიის 47% დან 23 %-ის ნაცვლად, ასევე ქმნიდა გარკვეულ ფორმატს 3 ეთნიკური საზოგადოების კანტონებს შორის ომისშემდგომი თანამშრომლობის თვალსაზრისით. დღევანდელი გადმოსახედიდან, ამგვარი მიზნები ზედმეტად ამბიციური იყო "საერთაშორისო საზოგადოებისათვის", რომელსაც არ სურდა ადგილზე საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობის გაძლიერება და მხოლოდ სამშვიდობი მისიით შემოიფარგლებოდა. ჩნდება ვარაუდი, რომ ასეთ გარემოებაში, ანპროფორის ყოფნა რეგიონში არ იყო მიმართული რომ უკუეგდო აგრესია და სტაბილური გარემო შეექმნა, შესაძლოა, იგი ძირითადად ცდილობდა აერიდებინა ჰუმანიტარული კატასტროფა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ გამოიყენა საერთაშორისო საზოგადოებამ საკმარისი ძალა ძალადობის შესაჩერებლად, თუმცა ამ დროის განმავლობაში მოვლენები დრამატულად წარიმართა, ვინაიდან ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკამ 49 პროცენტი შეინარჩუნა და სარგებლობდა ტერიტორიული მთლიანობით, რაც წარმოადგენდა ფუნდამენტურ წინაპირობას დანაწევრებისა.

ბოსნიის შემთხვევაში თითქოს საერთაშორისო ორგანიზაციამ თავიდან აიცილა არჩევანი და მშვიდობა გადადო სამი წლით, რომელიც სამი წლის შემდეგ დასრულდა სამართლიანობის გარეშე. მაშინ როდესაც მოახლოვდა უფსკრული , მხოლოდ მაშინ იქნა მშვიდობა მიღწეული. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ალტერნატივა. პირველი ალტერნატივა იქნებოდა ის, რომ კონფლქტის დასაწყისიდანვე განაგებულიყო ჯარების საკმარისი რაოდენობა მშვიდობის ფორმირებისთვის , მასიური და გადამწყვეტი ინტერვენციით, რათა განიარაღებულიყვნენ მეომრები. შესაძლოა ამას უფრო ნაკლები ძალის გამოყენება დასჭირვებოდა, ვიდრე გამოყენებულ იქნა 1995 წელს, რის

შემდეგაც უნდა აღდგენილიყო საერთაშორისო თანამეგობრობის ავტორიტეტი, რომელიც საკმაოდ შელახული იყო.

მიუხედავად ამისა, უფრო პრევენციული იქნებოდა მიდგომა თუ მხარეები თავს შეიკავებდნენ აქტიური ძალის გამოყენებისგან , რაც ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ სამშვიდობო პრინციპებს. ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ მას შემდეგ, როდესაც კანფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდება, ისეთი რაციონალური ზომები როგორიცაა ეკონომიკური სანქციები, შეიძლება ვერ აღწევდეს სასურველ ეფექტს. სანქციები უფრო მეტად გამართლებულია ისეთ დროს, როდესაც აქტიური საომარი მდგომარეობა არ მიმდინარეობს, თუნდაც მონტენეგროს მაგალითზე.

ადამიანის უფლებების ყველაზე სასტიკი დარღვევები, თუნდაც ისეთი, როგორიც იყო სრებრენიცას ხოცვა ომის ბოლო ეტაოზე მოხდა, რაც სწრაფი ცეცლისშეწყვეტით უნდა ყოფილიყო არიდებული.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომიუგოსლავია დაიშალა მისი შექმნის დღიდან განსხვავებული წარმოდგენებისა და სახელმწიფოს ბუნების განსხვავებული კონცეფციების გამო. ერთი მხრივ, სერბები აღიქვამდნენ, რომ იუგოსლავია – ეს იყო გაფართოებული სერბია, მათი სახელმწიფო, რისთვისაც იბრძოლეს და მსხვერპლი გაიღეს ორ მსოფლიო ომში. მეორე მხრივ, სხვა ერები – სლოვენიელები და ხორვატები, მაკედონიელები, მონტენეგროელები და ბოსნიელები იცავდნენ მსგავსი ერების ასოციაციის საკუთარ კონცეფციას. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის სერბულ კონცეფციაში შთანთქმას და ასიმილიაციას. ეს დაძაბულობა ცხადი ხდებოდა ქვეყნის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე მთელი საუკუნის განმავლობაში. სულ ბოლოს, სერბეთმა არ მიიღო შეთავაზება, შექმნილიყო თანაბარი ქვეყნების კავშირი ან კონფედერაცია.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ , ის, რაც ევროკავშირმა და აშშ-მ არ გააკეთა, არის ის, რომ არ დარჩნენ საკუთარი პრინციპული გამოსვლების ერთგული. ამის ნაცვლად მათ გზა მისცეს ეთნიკურ დანაწილებას და უფრო მეტიც, ეს ასახეს დეიტონის შეთანხმებაშიც. მათ არ აღკვეთეს გენოციდი ბოსნია-ჰერცოგოვინაში. რაც შეეხება ძალების განლაგებას რეგიონში , თავდაპირველად საიმპლემენტაციო ძალებს (IFOR) ერთი წლის განმავლობაში 60,000 სამშვიდობო ძალები ჰყავდა განთავსებული, ერთი წლის შემდეგ

IFOR გადავიდა სტაბილიზაციის ძალებზე (SFOR), თავდაპირველი ჯარისკაცების 31,000 სამშვიდობო ბრუნვით , რაც წარმოადგენდა IFOR- ის ნახევარს. როდესაც ნატო ჩაერთო ბოსნიის სამშვიდობო მისიაში , რომელსაც ევროკავშირი ახორციელებდა 2004 წლის დეკემბერში, სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ ცხრა წლის შემდეგ, დაახლოებით 7 000 საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი იმყოფებოდა. 2007 წლის თებერვალში ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა 1,600-მდე . დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ოცი წლის შემდეგ ბოსნიაში კიდევ ექვსი ასეული ევროპელი მშვიდობისმყოფელი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალექსიძე, ლ.(2010 წლის 10 მარტი). *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.* ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=664(ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს)
- მაცაბერიძე, მ. (2014 წლის 28 მარტი). კავკასიის კომფლიქტების შედარებითი ანალიზი. ვებგვერდი: http://politscience.info/Filemanager/files/bakalavriati/kavkasshedpol/Kavk-shed-pol-V-konfliqtebi-2014.pdf (ნანახია 2016 წლის 5 დეკემბერს).

- მელიქიძე, ა. (2016, ივლისი 25). საერთაშორისო სეპარატიზმის პრობლემა ჩინეთის მაგალითზე. ვებგვერდი: http://irtoday.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B/ (ნანახია 2016 წლის 27 ნოემბერს).

- მჭედლიშვილი, მ. (2015, თებერვალი 01). ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და კომფლიქტები. ვებგვერდი: http://irtoday.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B

%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98/ (ნანახია 2016 წლის 30 ნოემბერს).

• ნადარეიშვილი, თ.; ჩიტაია, დ.; დავითაია, დ.;. სეპარატიზმის პრობლემა (ისტორია და თანამედროვეობა). თბილისი: გამომცემლობა "აკადემია", 2003.

• ნაროჩნიცკაია, ე ა, სეპარატიზმი: ტიპოლოგია და ევროპული რეალობა, 2015, სექტემბერი 21. ვებგვერდი: http://inion.ru/index.php?page_id=352&id=1434(ნანახია 2016 წლის 5 დეკემბერს).

• კორკელია, ა, ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპი. 2015, 16 მარტი. ვებგვერდი: www.iuristebi.ge/5467/xder/87678 (ნანახია 2016 წლის 17 დეკემბერს).

• სმიტი, რ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები. (გამოყოფა). თბილისი, 2006 გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. თარგმნა მ. კობიაშვილმა.

• ჩიტაძე, ნიკა ,ნატო - ჩრდილოატლანტიკურ იალიანსი მსოფლიო მშიმშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი 2007

• ხუბუა, გ. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილსი 2000

• Akçali , Emel , EU's competency in conflict resolution: The Cases of Bosnia, Macedonia (FYROM) and Cyprus examined, April, 2006

• Andreatta , Filippo , The Bosnian War and the New World Order Failure and Success of International Intervention, October 1997

• Bassiouni, M. Cherif, Annex III The military structure, strategy and tactics of the warring factions, Final report of the United Nations Commission of Expertsestablished pursuant to security council resolution 780 (1992), 28 December 1994

• Bjarnason, Magnus, The War and War-Games in Bosnia and Herzegovina from 1992 to 1995, The main events, disagreements and arguments, resulting in a "de facto" divided country, 2001

• CASE NO: IT-98-29-I, THE PROSECUTOR OF THE TRIBUNAL AGAINST STANISLAV GALIC DRAGOMIR MILOSEVIC, COUNTS 2 -TERROR and 12 to 14 – SHELLING

http://www.icty.org/x/cases/galic/ind/en/gal-ii011102e.pdf

• Cohen, Ben, Why Europe Failed to Halt the Genocide in Bosnia, Washington Report on Middle East Affairs, April/May 1993, Page 39

https://www.wrmea.org/1993-april-may/why-europe-failed-to-halt-the-genocide-in-bosnia.html

• CRAVEN, MATTHEW C. R. , THE EUROPEAN COMMUNITY ARBITRATION COMMISSION ON YUGOSLAVIA

• Declaration on the `Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union' (16 December 1991)

• GENERAL ASSAMBLEYSECURITY COUNSIL agenda item 28, The situation in Bosnia and Herzegovina, 30 November, 1995

• GENERAL ASSEMBLY SECURITY COUNCIL Fiftieth session Fiftieth year Agenda item 28 THE SITUATION IN BOSNIA AND HERZEGOVINA 30 November 1995, p 81

• General Assembly Security Council S/1995/951 15 November 1995 Basic agreement on the region of Eastern Slavonia, Baranja and Western Sirmium

• Gibbs, David N , How the Srebrenica Massacre Redefined US Foreign Policy, 2015

• Hughes James and Gwendolyn Sasse, Comparing Regional and Ethnic Conflicts in Post-Soviet Transition States, 2001

• Jakesevic, Ruzica, CONFLICT RESOLUTION AND PEACEBUILDING IN THE WESTERN BALKANS – THE ROLE OF EXTERNAL ACTORS ,2018

• LEWIS, PAUL, Bosnians Divide Over New Talks To Split Country, NYTIMES / archives 1993, JUNE 23, 1993

• MARLISE, SIMONS, Court Convicts a Bosnian Serb General of Genocide, Nytimes, DEC. 12, 2012https://www.nytimes.com/2012/12/13/world/europe/zdravko-tolimir-former-commander-of-bosnian-serb-army-is-convicted-of-genocide.html?_r=1&

• Nederlandsinstitut for war documentation, Srebrenica: a "safe" area, Appendix XIII, chronology of the Bosnian conflict 1990-1995

• Owen , Col Robert C. Owen, Deliberate Force A Case Study in Effective Air Campaigning, Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama January 2000

• R. Craig Nation, War in the Balkans, 1991-2002, Strategic Studies Institute, 2003

• Russian troops learn peacekeeping -- American style October 28, 1995 From Military Affairs Correspondent Jamie McIntyre http://edition.cnn.com/US/9510/russians_in_kansas/

• Sotiropoulou, Angeliki , The role of ethnicity in ethnic conflicts: The case of Yugoslavia https://www.files.ethz.ch/isn/26506/PN04.02.pdf

• Shoup, Paul The Bosnian Crisis of 1992, University of Virginia, June 23, 1992

• Shrader, Charles R. TheMuslim-Croat Civil War in Central Bosnia - A Military History,1992–1994, Texas A&M University Press, 2003

• STATHIS N. KALYVAS and NICHOLAS SAMBANIS , Bosnia's Civil War Origins and Violence Dynamics

http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.543.8489&rep=rep1&type=pdf

• The Formation of Republika Srpska, Based on passages from the book Chronicle of an Announced Death, a piece "Bosnia 101" by Nikolaos A. Stavrou, and "Key Events In a Calendar of War" by Charles Miller, from the Press Association News file.

http://alumni.media.mit.edu/~constans/rs_beginning.html

• Tanner, Marcus, Bosnia's 'Safe Areas': West sets the stage for a human tragedy: The creation of UN 'safe' refugee zones proceeds apace. In these disease-ridden camps thousands of orphaned Muslim children, with no hope for the future, will turn to crime or terrorism,8 June,1993

https://www.independent.co.uk/news/world/europe/bosnias-safe-areas-west-sets-the-stage-for-a-human-tragedy-the-creation-of-un-safe-refugee-zones-1490291.html

• THE EUROPEAN COUNCIL , LISBON 26-27 JUNE 1992 ,Reproduced from the Bulletin of the European Communities, No. 6/1992

• United NationsGeneral Assembly, The situation in Bosnia and Herzegovina, A/RES/47/121 91st plenary meeting, 18 December 1992

• UNSecurity Council 3018th Meeting Resolution S/RES/721November 27, 1991

• UN Security Council 3023rd Meeting Resolution S/RES/724 December 15, 1991

• UN Security Council 3009th Meeting Resolution S/RES/713 September 25, 1991

• UN Security Council 3055th Meeting Resolution S/RES/743 February 21, 1992

• UN Security Council 3066th Meeting ResolutionS/RES/749 April 7, 1992

• UN Security Council 3069th Meeting Resolution S/RES/752 May 15, 1992

• UN Security Council 3086th Meeting Resolution S/RES/760 June 18, 1992

• UN Security Council3087th Meeting Resolution S/RES/761 June 29, 1992

• UN Security Council 3088th Meeting Resolution S/RES/762 June 30, 1992

• UN Security Council 3104th Meeting Resolution S/RES/769 August 7, 1992

• UN Security Council 3106 Meeting Resolution S/RES/770 August 13, 1992

• UN Security Council 3208th Meeting Resolution S/RES/824 May 6, 1993

• UN Security Council 3228th Meeting Resolution S/RES/836 June 4, 1993

• UN Security Council 3241st Meeting Resolution S/RES/844 June 18, 1993

• UN Security Council 3595th Meeting Resolution S/RES/1021 November 22, 1995 UN Security Council 3595th Meeting Resolution S/RES/1021 November 22, 1995

• UN Security Council 3596th Meeting Resolution S/RES/1023 November 22, 1995

• UN Security Council 3600th Meeting Resolution S/RES/1025 November 30, 1995

• UN Security Council 3602nd Meeting Resolution S/RES/1027 November 30, 1995

• UNITED NATIONS , International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991, 26 February 2001

• Vranic , Igor ., The International Community's Peace Plans in Croatia and Bosnia and Herzegovina 1991-1995, Croatian studies review 9, 2013

• Wellee, Marc , Peace-Keeping and Peace-Enforcement in the Republic of Bosnia and Herzegovina, © 1996, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht

• Yasushi, Akashi. The Use of Force in a United Nations Peace-Keeping Operation: Lessons Learnt from the Safe Areas Mandate, Copyright c 1995 by the authors. Fordham International Law Journal is produced by The Berkeley Electronic Press (bepress). http://ir.lawnet.fordham.edu/ilj

• Ивановский, Сергей , Падение Республики Сербская Краина http://www.coldwar.ru/conflicts/yugoslaviya/flash-and-storm.php

• Ионов, АлександрСражения в Босанской Краине в сентябре-октябре 1995 года, 10.3.2006